ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

2 — 3 თებერვალი, 2013

№27 (6028)

ფასი: 30 თეთრი

1 თებერვლიდან!

„ახალი თაობა“ +

სერია „დიდი ქართველები“

აკაკი წერეთელი

ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი



გვ.3

მიხეილ მაჭავარიანი ზურაბ ჟვანიას საქმეზე დაკითხეს

როგორ მიაბა უგულავამ დასუფთავების გადასახადს ნაცკოორდინატორები

თბილისის მერს პროკურატურაში დაიბარებენ

გვ.4

„არჩევნები ოპოზიციამ კი არა, ივანიშვილმა მოიგო“

გვ.4

მთავრობა მაღალ პრემიებზე უარს არ ამბობს

გვ.3

გვ.6

ბესო ზანგური: „ღმერთმა დაგვიფაროს, გოგა ხაჩიძის იუმორი ველოსიპედს გასცდეს“

ექიმთა პასუხისმგებლობა დაზღვეული იქნება

გვ.6

ირინა სარიშვილი: „დრო „ქართულმა ოცნებამ“ დაპირებების შესრულება დაიწყოს“

გვ.5

ყაზბეგში ჰესების მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო

გვ.9

დავით საგანელიძე: „ქართული ოცნება ნაცაქტივისტებისაგან უნდა გათავისუფლდეს“

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, დავით საგანელიძე ნაციონალურ მოძრაობას „ქართული ოცნების“ რიგებში თავისი აქტივისტების შეგზავნაში ადანაშაულებს და კოალიციაში შემავალ პარტიებს კიდევ ერთხელ მოუწოდებს, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ჩანერგილი აქტივისტები რაიონული ორგანიზაციებიდან გარიცხონ.

დავით საგანელიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ პარტნიორებს ბოდიში მოუხადა იმის გამო, რომ მათ აღნიშნული ინფორმაცია მედიიდან შეიტყვეს და პირადად არ აცნობა.

მისი თქმით, რაიონებში „ქართული ოცნების“ ყრილობების ჩაშლა, კოალიციაში შემავალი პარტიების პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან არ იყო წამოსული და დარწმუნებულია, რომ ამ პროცესის უკან „ნაციონალური მოძრაობა“ დგას, რომლის მიზანსაც „ქართული ოცნების“ დისკრედიტაცია წარმოადგენს.

„აბაშის რაიონში მომხდარი ინციდენტის მონაწილეები, რომლებიც რაიონის ორგანიზაციის თავმჯდომარედ გვილავას არჩევას აპროტესტებდნენ და ამ პროტესტის გამოსახატავად ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრთან შეიკრიბნენ, „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლები არიან.

„თავისუფალი დემოკრატების“ გარდა, მათ შორის ერთი „ფორუმის“ და ერთიც „მრეწველების“ წევრი. ასევე ასპინძასა და ადიგენში დაგეგმილ კონფერენციების ჩაშლაში მონაწილეობდნენ „კონსერვატორების“ წევრები“, - აღნიშნა საგანელიძემ.

ცნობისთვის: გუშინწინ დავით საგანელიძემ მედიას განუცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან მოშიმშილე „თავისუფალი დემოკრატების“ წევრებში მან ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები ამოიცნო.

მედიანიუსი

23 იანვრიდან!

„ახალი თაობა“

+

მარია კიური

8 ლარი

„140 ბიჭზე მეტი პატრულის მიერ არის დახვრეტილი!“

გულიკო ბალაძე

ინტერვიუ უზენაესი საბჭოს დეპუტატ თენგიზ დიხამინჯიასთან

– ბატონო თენგიზ, ხალხმა ბიძინა ივანიშვილთან ერთად იბრძოლა და 1 ოქტომბერს ნაციონალები დაამარცხა, მაგრამ ახლა ვიღაცები უკვეთავენ ნაციონალებთან კოჰაბიტაციას, ანუ თანაარსებობას...

– ვიღაცები კი არა, გავლენიანი წრეები.

– დიახ და ვადაგასული სააკაშვილი ისევ პოსტზე რჩება და ახლა, თურმე, პარლამენტს ანგარიშიც უნდა ჩააბაროს. რა პროცესებთან გვაქვს საქმე?

– ყველაფერს თავისი მიზეზები აქვს. როდესაც ოცნებამ გაიმარჯვა, გაიმარჯვა ქართველმა ხალხმა. ჩვენ მოგვეცა პოტენციური შესაძლებლობა, მოგვეხდინა არსებული კრიმინალური რეჟიმის დემონტაჟი ყველა პარამეტრით – მორალური, სამართლებრივი თუ პოლიტიკური. ჯერჯერობით, სასურველი შედეგისგან ძალიან შორს ვართ. თუმცა, პარლამენტმა ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა, როცა ქვეყანაში პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების (200-მდე ადამიანის) არსებობა აღიარა. ეს ნიშნავდა, ფაქტობრივად, რეჟიმის გასამართლებას და მყარი ბაზა შეიქმნა შემდგომი წინსვლისთვის.

– ახლა კიდევ 80-მდე განცხადებაა შესული პარლამენტში და მისი განხილვა იწყება.

– დიახ. ახალი და ახალი დანაშაულობები ჩნდება. ქართველი ერის ნება უნდა ასრულდეს, სამართლიანობა უნდა აღდგეს. უფლებამოსილება და პროფესიონალიზმი სამართლიანობის აღდგენის სამსახურში უნდა ჩადგეს.

– კოჰაბიტაცია და სამართლიანობის აღდგენა ერთად იქნება?

– ვერ იქნება. თანაარსებობა ნიშნავს განსხვავებული მსოფლმხედველობის, იდეოლოგიის მქონე ადამიანების, ჯგუფების თუ რელიგიური მიმდინარეობების დემოკრატიულ საწყისებზე პაექრობას და პოზიციების, რეზულტატების თუ იდეების ურთიერთგარკვევას, მაგრამ ეს უნდა იყოს ლეგიტიმური, არაკრიმინალური და კანონიერ საფუძველზე დამყარებული. ნაციონალური მოძრაობა ამ პარამეტრებს ვერ აკმაყოფილებს, უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი. თუმცა, ჯერჯერობით, მკაფიოდ ვერ ხერხდება იმ საქმეებზე ბრალდებების ჩამოყალიბება, რამაც ქვეყანა მიიყვანა რეალურ ნგრევამდე და უბედურებამდე. ნგრევამ უპრეცედენტოდ მასშტაბური სახე მიიღო ბოლო ისტორიულ მონაკვეთში. ჩვენს გაოცებას იწვევს ის, რომ მერაბიშვილს და სხვა პირებს სამართალდამცავ ორგანოებში იბარებენ რაღაც მეათეხარისხოვან დარღვევებზე. მეათეხარისხოვანი დარღვევები კი იქვე ბათილდება. რაღაც ფსიქოლოგიურად გვაგუებენ, რომ ისინი თითქოსდა სუფთა ადამიანები არიან და, თითქოსდა, თავისუფალი არიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან.

– ეს შეგნებულად კეთდება?

– შეგნებულად კეთდება თუ არაპროფესიონალურად, ამას ძალიან მოკლე ხანში დრო გამოაჩენს. ის, ვინც ხელისუფლებაში და პარლამენტშია, თავისი პოლიტიკური ამოცანა გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს. უნდა გაითავისოს, თუ რა დაკვეთა მისცა მას ქართველმა ერმა, როდესაც ხმა მისცა ალტერნატიულ პოლიტიკურ მიმდინარეობას „ქართულ ოცნებას“. ეს ვითარება სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აპათია იქნება და ჩვენ ისევ დავბრუნდებით მოჯადოებულ წრეში, სადაც ყოველგვარი სამართლიანობა, ჰორიზონტი, ადამიანურობა, ჰუმანიზმი, კანონიერება, კანონის უზენაესობა, რელიგიური იდეალები იქნება ნიველირებული და უგულებელყოფილი. ამ იდეების გარეშე კი ადამიანი არაფერს წარმოადგენს.

– პარლამენტი ვერ ახორციელებს იმ დაკვეთას, რომელიც მათ ქართველმა ხალხმა მისცა?

– ვერა. ჯერჯერობით, საამისოდ დრო აქვს. თუმცა, ეს დრო უსასრულო არ არის. ბიძინა ივანიშვილმა ხალხს მიმართა, რომ შევარდნაძისა და სააკაშვილისაგან განსხვავებით, ნუ აცლით ახალ მთავრობას, კონტროლი გაუწიეთო.

– მეათეხარისხოვანი ბრალდებების მიზეზი მტკიცებულებების მოპოვების პრობლემით ხომ არ არის გამოწვეული? ანუ ნაციონალები მტკიცებულებებს არ ანადგურებდნენ.

– შეიძლება ნაწილობრივ ასეცაა, მაგრამ მე რაც ვიცი, იმას გეტყვით – იური ვაზაგაშვილის ოფისში შვილმკვდარი მამები რომ არიან (ვაზაგაშვილი, რობაქიძე, გამცემლიძე და კიდევ რამდენიმე ადამიანი), მათი საქმეები ადგილიდან არ დაძრულა, რაც ძალიან დიდ კითხვის ნიშნებს ბადებს.

– პარლამენტს დადგენილება აქვს მისაღები, რომ პროკურატურამ საქმეები გადასინჯოს.

– შეიძლება წინასწარ ფაქტები მოიძიო, დაზარალებულ მშობლებსაც მიმართო და მზად გქონდეს.



– თქვენ გაქვთ ინფორმაცია, რომ მასალების შეგროვება არ ხდება?

– მე რა ინფორმაციაც მაქვს, საქმე ადგილიდან არ დაძრულა. რა სახის პაუზას აკეთებს პროკურატურა თუ იუსტიციის სამინისტრო, ამის შესახებ, ჯერჯერობით, ვერაფერს მოგახსენებთ. მე ფაქტებზე ვლაპარაკობ. ფაქტები ჯიუტია და საკმაოდ მკაცრი.

– იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურას ნაციონალები ბრალს რომ სდებენ, ახალი ხელისუფლება ძველი ხელისუფლების წარმომადგენლების პოლიტიკურ დევნას ახორციელებსო, ამას როგორ ახსნით?

– მე პირიქით ვამბობ – გაცილებით ლიბერალურად იქცევა დღევანდელი ხელისუფლება პოლიტიკური, სამხედრო და კრიმინალური დანაშაულობების მიმართ. აქ არ აქვს მნიშვნელობა, ვისი წარმომადგენელია, ნაციონალური მოძრაობის თუ სხვისი. კრიმინალი კრიმინალია, მას არანაირი პარტიული წარმომავლობა არ გააჩნია. 140 ბიჭზე მეტი პატრულის მიერ არის დახვრეტილი. თუ ამ საქმეების გამოძიება მოხდება და პოლიტიკურ დევნად ჩათვლი, პარლამენტარს დაიბარებენ პროკურატურაში და არ მიდის, ეს რომელ ქვეყანაში ხდება, არ ვიცი. მაშინ, როდესაც, მაგალითად, სარკოზი და ჰელმუდ კოლი უპრეტენზიოდ მიდიან საგამოძიებო ორგანოში. თუ ადამიანს სუფთა სინდისი და მოქალაქეობრივი ცნობიერება აქვს (კანონმორჩილია), მიდის და საუბრობს იმ პრობლემებზე, რაც მის ირგვლივ შეიქმნა.

– პარლამენტმა აღიარა პოლიტპატიმრების არსებობა. სხვა რის გაკეთება შეეძლო და არ გააკეთა?

– უნდა მოხდეს დანაშაულებრივი საქმეების სისტემატიზაცია. შედეგებთან ბრძოლა კი არ არის საკმარისი, არამედ აუცილებელია მიზეზებთან ბრძოლა და ამის კომპლექსში წარმოდგენა. ქვეყანაში მომხდარია სხვადასხვა სახის უდიდესი სახელმწიფო დანაშაულობები, რომელიც დაკავშირებულია ტერიტორიული მთლიანობის რღვევასთან, სამხედრო დანაშაულობებთან, კონსტიტუციურ და სახელმწიფო გადატრიალებასთან, კრიმინალთან. ამ საქმეებს პროკურატურამ თავი უნდა მოუყაროს. დანაშაულებრივი ქმედებების სათავედ 2004 წელი არ უნდა იყოს აღებული. სახელმწიფო დანაშაულობები გაცილებით ადრე ხდებოდა სხვადასხვა მასშტაბებით, ხარისხითა და დოზით. იმ საქმეების შეგროვება თვითმიზანი კი არ არის, საზოგადოებას სჭირდება იმისათვის, რომ ამ დატყვევებული მდგომარეობიდან, მახინჯი სისტემიდან გათავისუფლდეს და ნათელი მომავლის პერსპექტივა გაჩნდეს.

– ასეთ დიდ სახელმწიფო დანაშაულობების გამოძიებას და მტკიცებულებების მოპოვებას დიდი დრო არ სჭირდება? ალბათ, ამიტომ ფერხდება გამოძიება.

– მტკიცებულებების მოპოვებას, რა თქმა უნდა, პრობლემები ახლავს თან. მე ვსაუბრობ დამოკიდებულებაზე, პოზიციაზე. თუმცა, სხვადასხვა დანაშაულობებია ჩადენილი, რომელზეც სამხილი ძალიან იოლი მოსაპოვებელია. განსაკუთრებით, 7 ნოემბრისა და 26 მაისის დარბევის კადრები, მოტაცებული ადამიანები, რომლებიც დღესაც ცხოვრებისეული არენიდან უკვალოდ არიან გამქრალი. სახურავზე რომ იყო ორი მიცვალებული შეგდებული, ეს არის კონკრეტული სამხილები. არ ვიცი, რატომ არ ხდება ამ საკითხების დემონსტრირება, როგორც საზღვარგარეთ, ასევე ჩვენთან, მისი გაფორმება და ბრალის წაყენება.

– ბრალის წაყენება ვის მიმართ?

– ძალოვანი უწყებები აკონტროლებდნენ ამ ყველაფერს. ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები კი სხვადასხვა დროს იყვნენ გარკვეული პირები. იგივე სვანეთის ოპერაცია რომ ჩაატარეს. სააკაშვილის „ნულოვანი ტოლერანტობა“ პირდაპირი სამხილია, რომელიც ამ ადამიანის პოსტიდან ჩამოლაბორანტების საშუალებას იძლევა. ვეტერანი მეომრების დემონსტრაციულად დარბევა და სხვა. იმდენი დანაშაულია ჩადენილი და სამხილია, ათი მთავრობის გასამართლებას რომ ეყოფა. ყველაფერი ვიდეოკასეტებზეა ასახული. ერთერთ ინტერვიუში სააკაშვილმა გიგი უგულავას დაადო ხელი, რომ 7 ნოემბრის დარბევა გიგი უგულავას ინიციატივა იყოო. საზოგადოება, ჩვენ და პარლამენტი სწორ პოზიციაზე უნდა შევჩერდეთ. თუ ათვლის წერტილი სწორად მოინახა, გარედან ვერ დაგიძახებენ რევანშისტებს და პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე ვერ ისაუბრებენ. ამ თვალსაზრისით პრობლემების მოგვარების უნივერსალური სისტემა უნდა შეიქმნას. ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულობებისა და პრობლემების ლიკვიდაცია უნდა მოხდეს, საზოგადოება უნდა გაჯანსაღდეს და ტყვეობისაგან გავთავისუფლდეთ.

– ეს ვინ უნდა გააკეთოს?

– ეს საზოგადოებამ უნდა გააკეთოს. პარლამენტმა კი ნაციონალური მოძრაობის საქმიანობა უნდა შეაფასოს.

– დადგენილება მიიღოს?

– აუცილებლად.

– პოლიტიკური შეფასება უნდა მოხდეს თუ სამართლებრივი?

– სამართლებრივი. პოლიტიკური შეფასება გარკვეულწილად, სხვადასხვა ფრაგმენტული სახით არსებობს. უმთავრეს, ფუნდამენტალურ დანაშაულობებზეა საუბარი და არა ცალკეულ გამოვლინებებზე. გადავხედოთ დანაშაულებრივი სისტემის მანკიერ მხარეს, რომელიც ტვირთად გვაწევს და მისი მძევლები ვართ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება მიტაცებული ქონების, დანაშაულებრივად ჩატარებული პრივატიზაციის, სამაჩაბლოს, კოდორისა და სხვა პრობლემების მოგვარება. ამის გარეშე შეუძლებელია წინსვლა. ერი უნდა შეთანხმდეს პრობლემის გადაწყვეტის გზებზე. ეს არის პრობლემა და არა მეორე და მესამეხარისხოვანი საქმე.

– რაღაც მოჯადოებული წრეა, რომლიდანაც ვერ გამოვდივართ? როგორ გამოვალთ მოჯადოებული წრიდან?

– ამ მოჯადოებული წრიდან გამოვალთ თუ პარლამენტი იმ ნაბიჯებს გადადგამს, რაზეც ვისაუბრეთ. მას ხელი უნდა შევუწყოთ. დანაშაულებრივი სისტემის ლიკვიდაცია აუცილებელია. ახალი სააზროვნო სივრცის შექმნის პერსპექტივა უნდა გაჩნდეს.

– დანაშაულებრივი სისტემის ლიკვიდაცია და სააკაშვილის დარჩენა პრეზიდენტის პოსტზე ერთად წარმოსადგენია? სააკაშვილი შეიძლება პოსტზე ოქტომბრამდე დარჩეს.

– ეს ძალიან ძნელი წარმოსადგენია. ხალხის ნება პლებისციტის სახით (როგორც ინიციატორები ამბობენ, მილიონზე მეტი ხმა აქვთ შეგროვებული) გამოიხატა. თუ ადამიანი მხილებულია სხვადასხვა კრიმინალურ ქმედებებში, იმპიჩმენტის პროცედურა პოლიტიკური, სამართლებრივი და სამოქალაქო აქტია, ეს უკვე საზოგადოების თვითწმენდას სტიმულს მისცემს. „ობიექტივის“ წარმომადგენლებმა საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართეს, რომლის თანახმად, სააკაშვილი არის ვადაგასული, კონსტიტუციის დამრღვევი და პასუხისგებაში უნდა მიეცეს. საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი მიიღო.

– როგორც ვიცი, ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება პარლამენტის წევრთა ჯგუფს აქვს.

– ეს პეტიცია პარლამენტსაც გადაეგზავნა და უნდა დაველოდოთ. ვნახოთ, რა რეაგირებას მოახდენს პარლამენტი. საკაშვილმა დაკარგა სამაჩაბლო, ახალგორი, კოდორი. მის დროს 140 ახალგაზრდა დაიხვრიტა ქვეყანაში, ეკონომიკური კოლაფსი იყო, კონსტიტუციური გადატრიალებები მოახდინა, ეს ისეთი დანაშაულობებია, ათი პრეზიდენტის გადაყენებას ეყოფა. ფუხიმორის, ჩონდუხვანის და რო დე ვუ-ს (რომლებმაც ააყვავეს სამხრეთ კორეა) ამის ნახევარი დანაშაული არ ჩაუდენიათ, მაგრამ პასუხი მოსთხოვეს. ფუხიმორი უფრო არის სააკაშვილის მონათესავე. გიგანტი ადამიანი ჰელმუდ კოლი, რომელმაც გერმანია გააერთიანა, რაღაც პარტიული ეგიდით განხორციელებული დარღვევის გამო, გადადგა. ეს არის ინდივიდუალობაზე, შეგნებაზე, ცნობიერებაზე, საზოგადოებრივ მორალზე, კონსტიტუციაზე, პოლიტიკისა და სამართლის ურთიერთმიმართებაზე დამოკიდებული. ჩვენთან სხვა სახით ვლინდება ეს ყველაფერი.

– საუბრობენ ნაციონალების მხრიდან ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შეგნებულ გამწვავებაზე, მართვაზე, საბოტაჟზე. საბოტაჟის ნიშნები არის?

– სააკაშვილმა ვერ მოითმინა და თავიდანვე განაცხადა, საქართველოში ორხელისუფლებიანობაა. ამას ამბობს პირველი პირი და იურისტი კაცი, რომელიც 8 თუ 9 წელი პრეზიდენტი იყო და ამაყობს, რომ ამერიკაში დაამთავრა და იურისტის დიპლომი იქ მიიღო.

– ამერიკაში 2 თვიანი კურსები გაიარა. იურისტის დიპლომი უკრაინის კგბ-ს სკოლაში მიიღო.

– ახლა გამახსენდა, კოლინ პაუელი რომ ესწრებოდა სააკაშვილის პრეზენტაციას და განაცხადა, მამაჩემს არ გაუკეთებია ჩემთვის იმდენი, რაც კოლინ პაუელმა გამიკეთაო. პაუელი დააფასა თუ პირიქით იყო, ეგეც საკითხავია.

– რეგიონებში მიმდინარე პროცესებს როგორ შეაფასებთ?

– სააკაშვილი ცდილობს, ორხელისუფლებიანობა რეალურად დაამკვიდროს. ის წინ იხედება და ოქტომბრის შემდეგ მის პოლიტიკაში დარჩენაზე ფიქრობს, თუ ახალ პარლამენტთან გარიგებას მიაღწია და ოქტომბრამდე დარჩა. პარლამენტთან გარიგების გარეშე სააკაშვილი პოლიტიკაში ვერ დარჩება. ეს არის ცხადზე ცხადი. თუ პარლამენტმა პრინციპული პოზიცია დაიჭირა, ხალხის ნება შეასრულა და მართლა საქართველოს მოსახლეობის მსახურია, ეს არ მოხდება. თუ არადა, სააკაშვილს რაღაც სახით ნაციონალური მოძრაობის რესტავრაციის პერსპექტივა ექნება.

– ანუ თუ საკაშვილისა და პარლამენტის გარიგება მოხდა, მაშინ სააკაშვილი შეძლებს ნაციონალური მოძრაობის რესტავრაციას?

– რა თქმა უნდა. თუ არ მოხდა ნაციონალური მოძრაობის დანაშაულებრივი მოქმედებების სამართლებრივი შეფასება, მაშინ რაღაც სახით ნაციონალური მოძრაობის რესტავრაციისა ნამდვილად მოხდება. მათ ფულიც ძალიან ბევრი აქვთ და დანაშაულებრივი სინდიკატებიც საკმარისად ჰყავთ. თუ ის გააფთრებული მხარდაჭერა, რაც გარედან არის, ძლიერთა ამა ქვეყნისათა მხრიდან, მათ მიმართ კვლავ იქნება და საქართველოს მოსახლეობა ვერ მოახდენს თავისი ნების დემონსტრირებას – ისტორიული და პოლიტიკური თამაშიდან არ გაიყვანს დანაშაულებრივ ორგანიზაციას ნაციონალური მოძრაობის სახით, მაშინ სააკაშვილს ეძლევა შანსი, დამკვიდრდეს.

– პოლიტიკურ კრიზისს შექმნის?

– პოლიტიკურ კრიზისს გარკვეულწილად შექმნიან და დანაშაულებრივი სინდიკატის რეგიონალურ წარმომადგენლებს შეინარჩუნებენ. ისინი ქვეყნის საკეთილდღეოდ რომ არაფერს გააკეთებენ და სახელმწიფოებრივი მასშტაბების მოაზროვნეები არ არიან, ცხადია. პარლამენტთან გარიგების შემთხვევაში, ნაციონალებს რევანშის საშუალება აუცილებლად მიეცემათ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მთავრობა მაღალ პრემიებზე უარს არ ამბობს

შორენა მარსაგიშვილი

მშობლიურმა მთავრობამ (ახლაც და ძველმაც) ერს ბევრი საღაპარაჯო მისცა. მათი საქმენი საგმირონის ჩამოთვლა შორს ნაგვიყვანს. ამჯერად მთავრობის წევრთა მაღალ პრემიებს შევეხოთ. ეს პრემიები ხშირად გამხდარა ერის შეშფოთების მიზეზი. ნაციონალური მთავრობის მსგავსად, მაღალ პრემიებზე უარს არც საოცნებო მთავრობა ამბობს, მთლად არ ნაცმოძეღობენ, მაგრამ ამათაც ჯარგი მადა აღმოაჩნდათ.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა ამ დღეებში 12 საჯარო დაწესებულებიდან მიღებულ საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით 2012 წლის განმავლობაში გაცემული პრემიების ოდენობის შესახებ მონაცემები გამოაქვეყნა.

როგორც ირკვევა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ექსმინისტრმა რამაზ ნიკოლაიშვილმა 2012 წლის განმავლობაში, თებერვლის გარდა, იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით ყველა თვეში აიღო პრემიები – ყოველთვიურად 3 540 ლარი (ხელფასის ერთმაგი ოდენობა), ხოლო აპრილში, სავარაუდოდ, თებერვლის პრემიის ასანაზღაურებლად, ორჯერ მეტი – 7 080 ლარი. ასევე გაგრძელდა მისი შემცვლელის, ლაშა მგელაძის შემთხვევაშიც, რომელმაც მინისტრის პოსტზე ყოფნის ორივე თვეში 3 540 ლარის პრემიები აიღო. რაც შეეხება დავით ნარმანიას, რომელიც ოქტომბრის მერე დაინიშნა მინისტრის თანამდებობაზე, მას ნოემბერში პრემია არ აუღია.

კულტურის სამინისტროში 2012 წელს 680 378 ლარის ოდენობის პრემიები გაიცა, ყველაზე მეტი სექტემბერში – 121 978 ლარი. 2012 წლის 11 თვის მანძილზე (დეკემბრის მონაცემები არ არის მიწოდებული) პრემიები ყოველთვიურად გაიცემოდა. თანამდებობის პირების შემთხვევაშიც, მინისტრმა ნიკა რურუამ და მისმა ორივე მოადგილემ ყველა თვეში აიღეს პრემიები. მინისტრის პირველ მოადგილეს არ აუღია ნოემბრის პრემია. რაც შეეხება ნიკა რურუას, მან 2012 წლის მანძილზე 52 470 ლარი აიღო პრემიის სახით, რაც მის ხელფასზე თითქმის 15-ჯერ მეტია. სხვა სიტყვებით, თუკი წლის მანძილზე ხელფასის სახით სულ აიღო 42 480, პრემიის სახით იმავე პერიოდში აღებული თანხა 9 990 ლარით მეტი აღმოჩნდა. რურუას მიერ ყოველთვიურად პრემიის სახით აღებული თანხის ოდენობა მერყეობდა 2 770 ლარიდან 8 840 ლარამდე.

არჩევნების შემდეგ დანიშნულმა გურამ ოდიშარიამ მინისტრის თანამდებობაზე მუშაობა 29 ოქტომბრიდან დაიწყო. როგორც მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, გურამ ოდიშარიამ მინისტრად მუშაობის დაწყებიდან ერთ თვეში, ნოემბერში, პრემიის სახით აიღო 3 540 ლარი, ხელფასის ერთმაგი ოდენობა.

ინსტიტუტის განცხადებით, იუსტიციის სამინისტრომ მათ მიაწოდა გამოთხოვილი ინფორმაცია თვეების მიხედვით, როგორც თანამდებობის პირების, ისე თანამშრომლების შემთხვევაში. თუმცა, თანამდებობის პირების შემთხვევაში არ არის მიწოდებული ინფორმაცია მინისტრზე გაცემული პრემიების თაობაზე. მიღებული ინფორმაციით შესაძლებელია იმის თქმა, რომ 2012 წლის 1 იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით პრემიებზე სულ დაიხარჯა 1 292 014,1 ლარი, აქედან თანამშრომლებზე გაიცა 664 485,6 ლარი, ხოლო 627 528.6 ლარის ოდენობის პრემიები აიღეს თანამდებობის პირებმა (მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტის უფროსები და დეპარტამენტის უფროსის მოადგილეები).

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2012 წლის 11 თვის მანძილზე პრემიებზე გასცა 60 510 ლარი, საიდანაც ნახევარი – 31 450 ლარი განაწილდა თანამშრომლებზე, ხოლო დანარჩენი აიღეს თანამდებობის პირებმა. ანდრია ურუშაძემ იანვარში პრემიის სახით აიღო 3 940 ლარი, ხოლო მარტში – 3 540 ლარი (თებერვალში პრემიები არ გაცემულა). საინტერესოა, რომ მინისტრის პრემია მარტში ზურაბ ჭიაბერაშვილმაც აიღო – 3 540 ლარი და პრემიებს ყოველ მომდევნო თვეშიც იღებდა. მინიმალური ოდენობა 3 540 ლარს შეადგენს, მაისში, ივნისსა და სექტემბერში ორჯერ მეტი – 7 080 ლარი აიღო, ხოლო აგვისტოში სამჯერ მეტი – 10 620 ლარი. სულ 2012 წლის 7 თვის მანძილზე (მარტიდან სექტემბრის ჩათვლით) ჭიაბერაშვილმა პრემიის სახით აიღო 38 940 ლარი (11-ჯერ 3 540, რაც, სავარაუდოდ, მის ხელფასს შეადგენდა). მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ზურაბ ჭიაბერაშვილს ოქტომბრიდან პრემია არ აუღია. რაც შეეხება ახალ მინისტრს, დავით სერგეენკოს, მას ოქტომბერსა და ნოემბერში პრემიები არ აუღია.

მთავრობის აპარატიდან სრულყოფილად მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური იანვრიდან ივნისის ჩათვლით პერიოდში ყოველთვიურად იღებდა პრემიას – ჯამში, ამ პერიოდში მან პრემიის სახით აიღო 114 750 ლარი, აქედან იანვარში ერთ ჯერზე 14 875 ლარი, ხოლო მაისში – 17 000 ლარი. გამოდის, რომ 2012 წლის 6 თვის მანძილზე ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა პრემიის სახით აიღო ხელფასზე 27-ჯერ მეტი თანხა (მისი ხელფასი ამ თანამდებობაზე შეადგენდა 4 250 ლარს).

ნიკა გილაურს მცირედით ჩამორჩებოდნენ სხვა თანამდებობის პირები. მაგალითად, კანცელარიის უფროსმა დავით კერესელიძემ 2012 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით პერიოდში პრემიის სახით სულ აიღო 88 500 ლარი, მათ შორის, იანვარში ერთ ჯერზე – 12 390 ლარი. სულ 2012 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით მთავრობის აპარატში პრემიებზე დაიხარჯა 2 021 660.3 ლარი, საიდანაც თანამშრომლებზე განაწილდა 1 040 345 ლარი, ხოლო თანამდებობის პირებზე (პრემიები ერიცხებოდა 4-დან 9-მდე თანამდებობის პირს) 981 315,3 ლარი დაიხარჯა.

ვანო მერაბიშვილმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის დროს ოქტომბერში პრემიის სახით 8 500 ლარი აიღო. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მას ნოემბერში პრემია არ აუღია.

ინსტიტუტის განცხადებით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ პრემიების შესახებ ინფორმაცია არასრულყოფილად მიაწოდა. პასუხში ნათქვამია, რომ თანამდებობის პირებსა და თანამშრომლებზე სულ 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 დეკემბრამდე პრემიების სახით გაიცა 351 307 ლარი, თუმცა, არ არის დაკონკრეტებული თვეები და თანამდებობის პირების მიერ აღებული პრემიები.

ინსტიტუტის მტკიცებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მათ ასევე არასრულყოფილად მიაწოდა ინფორმაცია, სადაც აღნიშნულია მოთხოვნილ პერიოდში გაცემული პრემიების დაჯამებული რაოდენობა. როგორც მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, სულ პრემიებზე 2012 წლის 11 თვის მანძილზე დაიხარჯა 1 228 549 ლარი.

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის შემთხვევაში ირკვევა, რომ სულ პრემიებზე დაიხარჯა 159 519 ლარი, საიდანაც თანამშრომლებზე გაიცა 59 845 ლარი, ხოლო თანამდებობის პირებზე – 99 634 ლარი. მათ შორის სახელმწიფო მინისტრმა მირზა დავითაიამ 2012 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით პრემიის სახით სულ აიღო 36 816 ლარი, ყოველთვიურად მისი პრემია ხელფასის ერთმაგ ოდენობას 3 540 ლარს შეადგენდა, ხოლო აპრილში პრემია 4 956 ლარი იყო.

დიასპორის საკითხებში ახალმა სახელმწიფო მინისტრმა კონსტანტინე სურგულაძემ დანიშვნის შემდეგ პირველივე თვეს აიღო 2 440 ლარის ოდენობის პრემია.

– ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გამოთხოვილი ინფორმაცია არასრულად მოგვაწოდა. ირკვევა, რომ თანამშრომლებზე დარიცხული პრემია 941 480 ლარს შეადგენს, ხოლო თანამდებობის პირებმა პრემიის სახით სულ 567 410 ლარი აიღეს. თუმცა, არ არის მოწოდებული ინფორმაცია, თუ რომელ თვეში რამდენი პრემია გაიცა როგორც თანამდებობის პირებზე, ისე თანამშრომლებზე და ასევე რომელმა თანამდებობის პირმა რა ოდენობის პრემია აიღო.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტრომ პრემიების შესახებ ინფორმაცია ნაწილობრივ მოგვაწოდა. კერძოდ, მითითებულია 2012 წლის მანძილზე როგორც თანამდებობის პირებზე, ისე თანამშრომლებზე დარიცხული პრემიების ჯამი, თუმცა თანამდებობის პირების შემთხვევაში არ არის დაკონკრეტებული თითოეული თვის მონაცემები. მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ 2012 წლის მანძილზე პრემიის სახით 40 965 ლარი აიღო. საინტერესოა, რომ მინისტრზე მაღალი პრემიები აქვთ აღებული მინისტრის მოადგილეებს გიორგი არსოშვილსა და გიორგი მაკასარაშვილს – 43 680 და 46 645 ლარი შესაბამისად. წლის მანძილზე აღებული პრემიების რაოდენობით ასევე ლიდერობენ მინისტრის მოადგილე ალან პარასტაევი (28 560 ლარი), საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი დავით მიქაძე (22 090 ლარი), სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი დავით ასათიანი (21 235 ლარი), საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი გიორგი ხოჯევანიშვილი (17 320 ლარი), ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი თეიმურაზ მაღრაძე (15 150 ლარი) და ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი ამირან ჯებისაშვილი (11 730 ლარი). სულ 2012 წლის მანძილზე სამინისტრომ თანამდებობის პირების პრემიებზე დახარჯა 334 380 ლარი. რაც შეეხება თანამშრომლებს, 2012 წლის იანვარ-ნოემბერში მათ პრემიებზე დაიხარჯა 565 035 ლარი, საიდანაც ყველაზე მეტი, 97 110 ლარი, სექტემბერში გაიცა (რაც, შესაძლოა, სექტემბერში თანამდებობის პირების მიერ წინასაარჩევნოდ სამინისტროს დატოვებასთან იყოს კავშირში). ოქტომბრის შემდეგ დანიშნულ ახალ მინისტრ სოზარ სუბარს ოქტომბერსა და ნოემბერში პრემიები არ აუღია.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემთხვევაში მოწოდებულ ინფორმაციაში არ არის მითითებული მინისტრის პრემია. გამოყოფილია მინისტრის მოადგილეების პრემიები, საიდანაც ირკვევა, რომ მინისტრის პირველმა მოადგილემ პრემიის სახით 13 275 ლარი აიღო, მინისტრის მოადგილეებმა კი 34 000 ლარი, 31 280 ლარი და 9 520 ლარი. რაც შეეხება სამინისტროს დანარჩენ თანამშრომლებს, მათ პრემიებზე 2012 წლის მანძილზე სულ 969 650 ლარი დაიხარჯა. შესაბამისად, განათლების სამინისტროში 2012 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით გაცემულ პრემიებზე სულ დაიხარჯა 1 057 725 ლარი.

– მიღებული ინფორმაციით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ პრემიების შესახებ არსებული საჯარო ინფორმაციის გაცემის არაერთგვაროვანი პრაქტიკა, რომლის შესახებაც წინა სტატიაში ვსაუბრობდით, სხვა საჯარო დაწესებულებების შემთხვევაშიც გრძელდება. როგორც გაირკვა, 7 საჯარო უწყება აგრძელებს ძველ ტრადიციას და არ გასცემს საჯარო ინფორმაციას პრემიების შესახებ, ხოლო დანარჩენებმა გამოთხოვილი ინფორმაცია სრულყოფილად მოგვაწოდეს, – აცხადებენ ინსტიტუტში.

მიხეილ მაჭავარიანი ზურაბ ჟვანიას საქმეზე დაკითხეს

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ყოფილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან 8 წელი გავიდა. მისი სიკვდილი დღემდე ბურუსით არის მოცული. ჟვანიას ოჯახის წევრებს ეჭვი აქვთ, რომ ყოფილი პრემიერი მოკლეს. გარდაცვალების ოფიციალური ვერსიის არც საზოგადოებას სჯერა. ნაციონალები კი დღემდე ამტკიცებენ, რომ ჟვანია გამათბობელმა „ნიკალამ“ შეიწირა.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გაჩნდა იმედი, რომ ჟვანიას საქმე გამოძიებული იქნებოდა. ამის პირობა რესპუბლიკის მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმაც დადო. ის გპირდებოდა, რომ საქმე 2012 წლის ბოლოსთვის იქნებოდა გამოძიებული. ის წელი ისე ჩაბარდა ისტორიას, კიდევ ვერ გავიგეთ, როგორ დაიღუპა სინამდვილეში საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ახლა გვეუბნებიან, რომ სიმართლეს ძალიან მალე გავიგებთ.

ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით ბევრი ვინმე დაიკითხა. გუშინ კი დასაკითხად მიხეილ მაჭავარიანს უხმეს. ეს უკანასკნელი ყოველთვის ჟვანიას გუნდის წევრად მოიაზრებოდა. ახლა მგზნებარე ნაციონალი გახლავთ. ეს, რასაკვირველია, დანაშაული არ არის. უცნაური სხვა რამე გახლავთ. ჟვანიას გუნდის წევრები რატომღაც არ ინტერესდებიან პრემიერის გარდაცვალების ზუსტი მიზეზების გარკვევით. საეჭვოა, ისეთი გულუბრყვილოები იყვნენ, რომ ოფიციალური ვერსიის სჯეროდეთ.

პრემიერის გარდაცვალების შესახებ არაერთი ვერსია გავრცელდა. ბევრი ადამიანის გვარი დასახელდა. არასდროს დასახელებულა მაჭავარიანის გვარი. ამდენად, საზოგადოებაში დიდი დაინტერესება გამოიწვია დაკითხვაზე მისმა დაბარებამ.

თავად მაჭავარიანი ამის გამო არც გაოგნებულა და არც შეშფოთებულა. ყოველ შემთხვევაში, ემოცია ღიად არ გამოუხატავს.

როგორც მაჭავარიანმა გაზეთ „ვერსიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, მისი დაკითხვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების დღეს მის პირად ნომერზე მაჭავარიანისგან დაფიქსირებული ზარები გახდა.

– ყოფილი პრემიერი მე, ხათუნა გოგორიშვილმა და მაია ნადირაძემ იმ დღეს ვნახეთ, როდესაც გარდაიცვალა. ზურაბ ჟვანიას გვიან ღამითაც ვესაუბრე, რადგან ერთ-ერთ ტელევიზიაში ვიყავი მიწვეული და კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით მისი აზრი მაინტერესებდა. შესაბამისად, ჩემი ზარი ზურაბ ჟვანიას ნომერზე რამდენჯერმე დაფიქსირდა და დაკითხვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც ეს იყო, – განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

ჟვანიას საქმეზე კიდევ ბევრი დაიკითხება, მათ შორის – რამდენიმე დეპუტატიც. ჟვანიას ყოფილ თანაგუნდელებს ახლა მოუწევთ იმ კითხვებზე პასუხის გაცემა, რომლებსაც 2005 წელს თავი აარიდეს.

ვისაც აღარ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ 2005 წელს მაშინდელმა საპარლამენტო ოპოზიციამ მოითხოვა საპარლამენტო კომისიის შექმნა, რომელსაც ჟვანიას სიკვდილის მიზეზები უნდა შეესწავლა. ამ მხრივ ძალიან აქტიურობდნენ მემარჯვენეები. უმრავლესობამ ეს კომისია არ შექმნა. ხათუნა გოგორიშვილი და მაჭავარიანი აღშფოთებულნიც კი იყვნენ ამ ინიციატივით.

მათი თქმით, ოპოზიციას არ ჰქონდა უფლება, ეს საკითხი დაეყენებინა, რადგანაც ჟვანიას სიცოცხლეში სულ ლანძღავდნენ. შესაძლოა, ამაში მართლებიც კი იყვნენ, მაგრამ, რამდენად გამართლებული იყო მათი პოზიცია.

ჟვანიას სიკვდილს ბევრი ჭორი მოჰყვა. თავდაცვის ექსმინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა 2007 წელს სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა, თქვა, რომ ჟვანია მოკლეს. ახლა კი ამბობს, რომ ის, რაც მოხდა, მკვლელობა არ იყო.

იმედი ვიქონიოთ, რომ გამოძიება მალე დასრულდება და გავარკვევთ, როგორ დაიღუპა პრემიერი.

„არჩევნები ოპოზიციამ კი არა, ივანიშვილმა მოიგო“

თამარ ნინიძე

სახალხო ჯიების ნევრი და პოლიტპატიმარი ზვიად ბეჩაძე აცხადებს, რომ გიდანის ციხეში ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. ის პირობებში იმყოფებოდნენ პოლიტიკური პატიმრები და ის გამო დააპატიმრეს ზვიად ბეჩაძე, ამის შესახებ ის თავად „ახალ თაობას" ესაუბრა.

– ჩემი ადვოკატი გახლავთ ნათია კორკოტაძე. ქუთაისში იგივე სიტუაციაა, რაც იყო ნაცმოძრაობის დროს. ქუთაისის პროკურორ გიორგი ცხოვრებაძესთან მქონდა არასასიამოვნო შეხვედრა ჩემი ახლო ნათესავის უკანონოდ დაკავების გამო. მეუბნებოდნენ, მართალია, მტკიცებულებები არ გვაქვს, მაგრამ სხვა საქმეზე გვინდა გასვლა და ამიტომ ვაკავებთ ამ კაცსო.

ჩემი ნათესავის მეგობარს გაუძარცვეს ბინა, ჩემი ნათესავის სახლში ჩხრეკა ჰქონდათ. რა თქმა უნდა, ვერაფერი ნახეს, იმიტომ რომ ჩემი ნათესავი ამ საქმეში უდანაშაულო იყო. ეს გიორგი ცხოვრებაძე მუშაობდა თბილისში და ასრულებდა ზურაბ ადეიშვილის დავალებებს. მისი უფროსი კი არის კონდახაშვილი, ნათია მოგელაძის მეუღლე. ეს კადრები გადაისროლეს ქალაქ ქუთაისში. ჩვეულებრივად აგრძელებენ საბოტაჟს. ანალოგიური ვითარებაა ხონშიც. მე ციხეში ვიყავი, მაგრამ მქონდა საშუალება, ხმა მიმეწვდინა ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ჩართული იყვნენ „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. დღეს ეს ახალგაზრდები სახლიდან ცხვირს ვერ ყოფენ. ემუქრებიან, დაგიჭერთ, ჩაგიდებთ ნარკოტიკს, ციხეში ჩაგსვამთ, მალე დამთავრდება თქვენი კონცერტი, ჩვენ დავბრუნდებით და მერე ვნახოთო. მოგეხსენებათ, ქუთაისი პერიფერიაა, ხალხს მაინც ეშინია, ნაციონალები განაგებენ საკრებულოსაც, მერიასაც. ღვთის წყალობით, ქართველები შეგნებული ხალხი ვართ, გვჯერა ბატონი ბიძინა ივანიშვილის, ყველა დარწმუნებულია იმაში, რომ ბატონი ბიძინა საბოლოოდ ამოძირკვავს ამათ, ამიტომ ითმენენ ყოველნაირ შეურაცხყოფას.

– როგორც შევიტყვე, თქვენ მონაწილეობდით მაისის მოვლენებში და სახალხო კრების წევრიც ხართ. როგორ მოხდა თქვენი დაკავება?

– 1988 წლიდან ვმონაწილეობ ყველა პროცესში, რომელიც საქართველოს ეხებოდა, ეროვნულ მოძრაობაში ვიყავი. მიშა სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლასაც დიდი მხარდაჭერა ჰქონდა პირადად ჩემგან. მე ვიყავი ქუთაისში ერთ-ერთი პოლიციის განყოფილების უფროსი და, ნაცვლად იმისა, რომ წინააღმდეგობა გამეწია სააკაშვილისთვის, კანცელარიაში შევედით. 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ მივხვდი, ესენი ვინ იყვნენ. ესენი არ იყვნენ საქართველოს საკეთილდღეოდ მოსული. ჩემი პროტესტი გამოვხატე. შემდეგ მოხდა ეს ავბედითი ომი რუსებთან 2008 წელს, იქაც გახლდით და 2008 წლის ბოლოს საერთოდ წავედი ორგანოებიდან. ჩართული ვიყავი ეროვნულ მოძრაობაში, კერძოდ, სახალხო კრებაში. მაშინ სახალხო კრებას ებრძოდა როგორც ნაცმოძრაობა, ისე დღეს საპარლამენტო უმრავლესობაში მყოფი პარტიების დიდი ნაწილი, მაშინდელი ოპოზიციაც. მიზანმიმართულად ებრძოდნენ ნინო ბურჯანაძეს. ვინაიდან მე ვიყავი ნინო ბურჯანაძის დეიდაშვილი, მაქვს ორმაგი პასუხისმგებლობა, ნინოსა და საქართველოს გულისთვის არაფერზე დავიხევ უკან, თავს გავწირავ. 2011 წლის აქციების პარალელურად მიდიოდა ხალხის დაკავებები, 21 მაისს ქუთაისიდან მოდიოდა კოლონა, რომელსაც მოუძღვებოდა ჩემი ძმა, ირაკლი ბერაძე. ეს კოლონა თბილისში როცა შემოვიდოდა, მას ჩვენ უნდა შევხვედროდით და ერთად წავიდოდით რუსთაველზე. ქაშვეთის ეკლესიის კიბეებთან ვიკრიბებოდით. მანამდე ვიცოდი, რომ დამყვებოდნენ, უნდოდათ ჩემი ჯიპის წართმევა, ამიტომ ეს მანქანა დავმალე ჩემი მეგობრის ფარეხში და დავდიოდი სხვა მანქანით. სადარბაზოსთან დამხვდნენ, მივხვდი, რომ ჩემს დაკავებას აპირებდნენ, დამისვეს სულელური შეკითხვები, მე ჩემი მხრიდან დავუსვი მათ კითხვები, რომლებზეც მათგან პასუხები ვერ მივიღე. გლდანის პირველი მიკრორაიონი ალყაში ისე ჰქონდათ მოქცეული, თითქოს ბინ ლადენს აპატიმრებდნენ. წამიყვანეს ქალაქის სამმართველოში, კაპეზეში, ოჯახს არ აცნობეს, სად ვიმყოფებოდი. დამაკავეს 21 მაისს. ჩემთან ერთად იყო სახალხო კრების წევრი ბახვა სტურუა. გადაგვიყვანეს ხაშურში, მერე აღმკვეთი ღონისძიებით ისევ თბილისში გადმომიყვანეს. ჩემი ადვოკატები იყვნენ ნათია კორკოტაძე, შალვა ხაჭაპურიძე და მანანა კობახიძე. პროკურორმა თქვა, რომ არ იცნობდა საქმის მასალებს, მაგრამ მაინც მოითხოვდა ჩემს დაპატიმრებას. თვე-ნახევრის შემდეგ ისევ იმ პროკურორმა იგივე გაიმეორა სასამართლოზე, რომ მასალებს არ იცნობდა, მაგრამ მოითხოვდა ჩემთვის აღმკვეთ ღონისძიებას. ნივთმტკიცების გახსნის დროს გაირკვა, რომ ეს ნივთმტკიცება იყო გეკოს ლუღლაზე დამზადებული თვითნაკეთი იარაღი, ე.წ. „პუგაჩი“.

– თქვენ, როგორც პოლიციაში მომუშავე ადამიანს, იარაღი არ გქონდათ?

– იარაღი როგორ არ მქონდა, თანაც მაღალი ხარისხის რუსული წარმოების იარაღი კანონიერად გამაჩნდა, როგორც პოლიციელს, ასევე მონადირე ვარ და ისედაც მექნებოდა თოფი. იმ იარაღს კი ჯიბეში არ ჩაიდებს თორმეტი წლის ბავშვი. 35 წელია ვნადირობ, თოფი და იარაღი შემეშლებოდა? ომი არ დამკლებია. იმ თვითნაკეთ იარაღზე არ ჩატარებულა არანაირი ექსპერტიზა, არ მომხდარა ჩემი გაჩხრეკა, იყო პირდაპირი დაკვეთა, რომ უნდა დავეპატიმრებინე. იარაღი ფიგურირებდა საქმეში იმიტომ, რომ პოლიციის თანამშრომელი ვიყავი, საინტერესოა, გინეკოლოგი რომ ვყოფილიყავი, რას ჩამიდებდნენ? ვიყავი გლდანის ციხეში. მიშამ გაითხარა სამარე, არც მრჩეველი ჰყავს და თვითონ ხომ ვერ აზროვნებს, პოლიტპატიმრები თვითონ შექმნა. ამათ ეგონათ, რომ იქნებოდნენ მარადიულად. ლადო ბედუკაძემ რაც იცის, იმის ერთ მეასედს ვერ მოგიყვებით, ძნელი მოსაყოლია ის ყველაფერი, რაც იქ ხდებოდა. იქ იყო გაცემული ბრძანება, მოჰყავთ ბურჯანაძის დეიდაშვილი და აბა, თქვენ იცით, როგორ გაუმასპინძლდებითო. თოთხმეტი დღე ვიყავი ფუქსში, კარანტინზე. ასეთი გამოცდისთვის მზად ვიყავი მორალურადაც და ფიზიკურადაც, მომკლავდნენ, ამისთვისაც მზად ვიყავი. ხალხის ბრალია, ხმა არ ამოვიღეთ, როცა კერძო საკუთრებასა და ბიზნესს ართმევდნენ ადამიანებს, ხმა არ ამოვიღეთ, ვიღაცები უკანონოდ დააპატიმრეს, ხმა არ ამოვიღეთ, გთამამდნენ და ბიჭების ქუჩაში დახოცვა დაიწყეს. ეს ოჯახები არ გაჩერდნენ. აცხონოს უფალმა ქალბატონი ირინა ენუქიძის სული, მან გაიტანა უცხოეთში ეს ამბავი. უამრავი ოჯახია, რომლებსაც ხმა არ ამოუღიათ. მიკვირს, ახლაც რომ ჩუმად არიან. მიშა, როგორც მხედარი, ისე მოაჯდა საქართველოს, კონსტიტუცია კოსტიუმივით ჭრა და მოირგო. მუხროვანის ამბოხის მონაწილეები, ხუცურაული ფოცხვერაშვილი, ვერ გატეხეს, მოითხოვეს, ჩაეშვათ სხვები, მაგრამ ამათგან ამას ვერ ეღირსნენ. ზაალ ჟვანია ცნობილი პიროვნებაა, პატარა ბიჭი არ არის, დაუპატიმრეს ძმა და ორი შვილი, წაართვეს, თუ რაიმე გააჩნდა. ხელი არ დაადო არავის. კიდევ დაუმატეს რვა წელი, ვითომ კამერაში ჰქონდა მობილური ტელეფონი. ახლა გათავისუფლებულია.

– 26 მაისს სასტიკი დარბევა რომ მოხდა, ციხეში გაიგეთ? როგორი იყო იქ პატიმრების რეაქცია?

– ხალხი ციხეში არ ეტეოდა, იმდენი ადამიანი იყო დაკავებული. კარანტინში ვიყავი, ჯოხიანი ცოცხებით რეცხავდნენ პატიმრები სისხლის რუებს. ცოტა ხანი ვუყურე ამ ციხის კადრებს და ვერ გავუძელი, ჩემი თვალით ვნახე, როგორ მოდიოდა სისხლის რუები. კაცი არ იყო მომკითხავი, არავინ შემოდიოდა. კლავდნენ ცემაში ბიჭებს. ოჯახებთან მიასვენებდნენ დაღუპულებს, თითქოს დენმა დაარტყა, თითქოს გულმა უმტყუნა ამ ახალგაზრდა ბიჭებს, თითქოს სისხლი ჩაექცათ და ასე ატყუებდნენ. ხელჯოხის ხმარება იმ დანიშნულებით ამაზე გამიგია, მაგრამ ცოცხებზე არაფერი მქონდა გაგონილი მანამ, სანამ ლადო ბედუკაძემ არ გამოიტანა ეს კადრები ციხიდან.

– თქვენ არ შეგხებიან ფიზიკურად? რით ხსნით ამას, რომ თქვენ არ გეხებოდნენ და სხვა პატიმრებს სცემდნენ?

– შაქრო ზურაშვილი, ივა ჩიღვილაძე და რომელი ერთი დავასახელო ჩვენებიდან – ყველას მოხვდა, მე თავზე ხელს კი არ მისვამდნენ. დეიდაშვილმამიდაშვილობა არაფერ შუაში იყო. ეს ბიჭები ნინოსთან იყვნენ ოცდაოთხი საათი, გვერდიდან არ შორდებოდნენ. შაქროს კბილები აღარ დაუტოვეს, ჰიტლერი არ უშვრებოდა ხალხს იმას, რაც ივას გაუკეთეს. მიშამ ხალხს არ მისცა პური, მისცა მხოლოდ სანახაობა, ციხიდან გამოსული ხალხი კი დამონებული უნდა ჰყოლოდა. სადამსჯელო ღონისძიებებზე გადაიყვანა მთელი აპარატი, გარყვნა და მოსპო სამართალდამცავი ორგანოები.

– ამნისტიით გამოხვედით. ოპოზიციამ გაიმარჯვა, რა ვითარება დაგხვდათ?

– ოპოზიციამ კი არ გაიმარჯვა, არამედ – ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა. დიდი როლი ითამაშა ციხის კადრებმა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი იყო გადამწყვეტი. ამიტომ ჩემი საახლობლოს სახელით ვამბობ, მზად ვართ, საქართველოს სამსახურში ისევ ჩავდგეთ და თავიც გავწიროთ ჩვენი ქვეყნისთვის. ნაციონალური მოძრაობა უნდა დასრულდეს ერთხელ და სამუდამოდ.

– ისევ პოლიტიკურ საქმიანობაში აპირებთ ჩართვას?

– ძალიან ლამაზი სოფელი მაქვს რაჭაში. ვინც იქ ამოდის, წამოსვლა აღარ უნდათ. ისე მენატრება იქაურობა, სული მიმდის. მე არ ვარ პოლიტიკოსი, მიშამ ისე გააკეთა, რომ ყველა გააპოლიტიკოსა საქართველოში. მე რაც ვიცი, ის საქმე უნდა ვაკეთო. ნაცები იმუქრებიან, ბიძინას გავაგდებთ და ისევ მოვალთ გაზაფხულზეო, არაფრის მეშინია, ორასი კაცი ვართ გამოსული პოლიტპატიმრები, დავიწყებთ მოქმედებას. როგორ ვიმოქმედებთ, ყველა დაინახავს, წინასწარ არაფერს ვიტყვი. მიხეილ სააკაშვილი, ფაქტობრივად, უკვე წასულია. არიან ბიჭები დარჩენილი ციხეში, რომლებსაც არა აქვთ პოლიტპატიმრების სტატუსი, მაგრამ ძალიან ავად არიან. მინდა, მივიდეს სოზარ სუბარის ყურამდე, მიაქციოს ამ ბიჭებს ყურადღება. დათო ჭოლოკავა ძალიან ცუდად არის. დროზე ჩამოყალიბდეს კომისია და დაიწყოს იმ საქმეების განხილვა, რომ ვინც აბსურდული ბრალდებებით არის დაპატიმრებული, გამოვიდეს და ზედმეტი ტვირთი მოეხსნათ. მრცხვენოდა, როცა მეკითხებოდნენ, რამდენი გაქვს მისჯილიო. ვერ ვეუბნებოდი, ხუთი წელი მაქვს-მეთქი, სხვებს ოცდახუთი, ოცდაათი წელი ჰქონდათ. სამოცდაათი წლის კაცს რომ ოცდახუთ წელს მისცემ, ის გამოვა ციხიდან საერთოდ? 1982 წლიდან თბილისში ვცხოვრობ. გული მისკდება, ვითომ რაღაცას აშენებენ. რას ჰგავს სინამდვილეში თბილისი ამათ ხელში.

როგორ მიაბა უგულავამ დასუფთავების გადასახადს ნაცკოორდინატორები

თბილისის მერს პროკურატურაში დაიბარებენ

შორენა მარსაგიშვილი

თბილისის მერი გიგი უგულავა არჩევნების შემდეგ სულ გაღიზიანებულია და მთავრობის ლანძღვა-გინებაზეა გადასული. ეს გასაგებია, არჩილ კბილაშვილის უწყება მერიას ცუდად უტრიალებს. კვირა ისე არ გავა, მერიის რომელიმე თანამშრომელი დაკითხვაზე არ დაიბარონ.

დენზე ნაგვის გადასახადის მიბმამ ერის აღშფოთება გამოიწვია. ნაცმოძი და უგულავა კი ამის აუცილებლობაზე გვებაასებოდნენ. ახლა გაირკვა, რომ ეს მართლაც აუცილებელი ყოფილა. დასუფთავების სამსახურში უგულავას ნაცკოორდინატორები ჰყოლია დასაქმებული. გაირკვა, რომ „თეატრალური კვარტეტის“ მომღერლებიც ჰყავდათ დასაქმებული. ისინი ალპინისტ-დამლაგებლებად იყვნენ გაფორმებული. მომღერლები ამბობენ, რომ მათ ფული არ მიუღიათ.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური შპს „თბილსერვის ჯგუფის“ საქმიანობას სწავლობს, რომელიც თბილისის მერიამ ქალაქის დასუფთავების მიზნით 2006 წელს დააფუძნა.

გამოძიებით ამ დროისთვის დადგენილია, რომ 2009 წლის 31 დეკემბერს შპს „თბილსერვის ჯგუფის“ იმჟამინდელმა გენერალურმა დირექტორმა გიორგი ხუჭუამ მერიის დასუფთავების სამსახურის იმჟამინდელი უფროსის ტარიელ ხიზანეიშვილის დავალებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით, ამ სამსახურში ფორმალურად შექმნა „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება“, სადაც 2 წლის განმავლობაში ფიქტიურად დასაქმდა აღნიშნული პოლიტიკური პარტიის 764 აქტივისტი – ე.წ. პარტიული კოორდინატორი. უმეტესობას ამ სამსახურში არც ერთი დღე არ უმუშავია, რადგან ისინი, როგორც წესი, უკვე დასაქმებული იყვნენ სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში და პარალელურად პარტიულ საქმიანობასაც ეწეოდნენ, თუმცა დედაქალაქის ბიუჯეტისთვის განკუთვნილი ასიგნებებიდან მათ ხელფასის სახით 5 245 945 ლარი დაერიცხათ.

გამოძიებით ირკვევა, რომ 2010 წლის 6 აგვისტოს, „თბილსერვის ჯგუფის“ საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი დედაქალაქის მოქმედმა მერმა გიგი უგულავამ დაამტკიცა. რაც შეეხება დასუფთავების სამსახურის ყოფილ უფროს ტარიელ ხიზანეიშვილს, იგი ამჟამად ვიცე-მერის თანამდებობას იკავებს.

გამოძიება ინტენსიურად მუშაობს 5 245 945 ლარის გაფლანგვის ფაქტზე და უახლოეს დღეებში გადაწყვეტს ბრალეულ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხს.

ამ უცნაურ ამბავს მთავარი პროკურორიც გამოეხმაურა. არჩილ კბილაშვილი ამბობს, რომ უგულავა აუცილებლად დაიკითხება. კბილაშვილის „სმალიკი“ ისედაც დიდი ხანია თავს დასტრიალებს დედაქალაქის მერს, რომელიც ბოლო ხანებში უზრდელობაზე გადავიდა და მთავრობას მოუწოდა, ჩუკენობას თავი დაანებეთო.

არჩილ კბილაშვილის საპასუხო განცხადება თბილისის მერმა გიგი უგულავამ მალევე გააკეთა. მან მეოცნებეები და კბილაშვილი პოლიტიკური ოპონენტების დაშინებაში დაადანაშაულა.

– მთავარი პროკურორის სატელევიზიო გამოსვლიდან ნათლად ჩანს, რომ მას ვერ გაუგია სამსახურებრივი მოვალეობები, თავს მიიჩნევს პოლიტიკურ ბრალმდებლად, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს ხსენებული გამოძიების პოლიტიკურ მოტივაციას, დააშინოს და დააშანტაჟოს ყველა ის ადამიანი, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მომხრე იყო. მისი საუბარი მთლიანად სცდება პროკურორის უფლება-მოვალეობებს. რაც შეეხება ფაქტობრივ გარემოებებს, ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ პოლიტიკურად მოტივირებული გამოძიების გასამართლებლად პროკურორმა მაგალითად მოიყვანა დასუფთავების ტარიფის დარიცხვასთან დაკავშირებით საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რითაც აშკარად შეეცადა საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებასა და გამოძიების რეალური მიზნების შენიღბვას, – განაცხადა აღშფოთებულმა უგულავამ.

თბილისის მერს ბევრ კითხვაზე აქვს პასუხი გასაცემი. გუშინ გაირკვა, რომ ნაცკოორდინატორების დასაფინანსებლად კიდევ რამდენიმე მილიონია გამოყოფილი.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – თბილისის“ თავმჯდომარე გიორგი მუსხელიშვილის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორებისთვის 2013 წლის თბილისის ბიუჯეტში 3 მილიონია გათვალისწინებული.

– მერიამ საშტატო ერთეული გამოყო გაურკვეველი პედაგოგებისთვის, რომლებსაც 6-10 წლამდე ბავშვების გართობა და თამაში ევალებათ. ყოველდღიურად ბავშვების ერთი საათით გართობისთვის ეს მასწავლებლები თვეში 600 ლარამდე ხელფასს აიღებენ. სინამდვილეში ეს მასწავლებლები ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორები არიან და ნაციონალური მოძრაობის პროპაგანდას ეწევიან. ამ მიზნით 400-მდე ადამიანი შეირჩევა. ფაქტია, რომ მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში გაფორმებული 700 თანამშრომლის მსგავსად, თბილისის მერი გიგი უგულავა „ნაციონალების“ კოორდინატორებს ხალხის ხარჯზე ასაქმებს, – განაცხადა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე მუსხელიშვილმა.

ვერაფერს იტყვი, თბილისის მერიაში ნიჭიერი ხალხი მუშაობს. იდეების მოფიქრება მაგათ ნამდვილად არ უჭირთ. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ზონდერებიც საკმაოდ თბილ ადგილებზე ჰყავთ გაფორმებული და არ გაიკვირვოთ, რომელიმე ზონდერი ბაგა-ბაღში ბავშვების ძიძად იყოს გაფორმებული.

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

ირინა სარიშვილი: „დრო „ქართულმა ოცნებამ“ დაპირებების შესრულება დაიწყოს“

– ქალბატონო ირინა, ჩვენს წინა ინტერვიუში ვსაუბრობდით ირაკლი ალასანიას შესახებ, თუმცა ამ დაპირისპირების დეტალები მაშინ ცნობილი არ იყო... როგორ ფიქრობთ, რა ხდება? რაღაც ძალიან შეუტიეს დემოკრატებს... რასთან გვაქვს საქმე?

– საქმე გვაქვს დემოკრატების გულუბრყვილობასთან. ეს ყველაზე კარგ შემთხვევაში, იმიტომ, რომ შეუძლებელია ან ალასანიას, ან მის ორგანიზაციას არ სცოდნოდა, ასეთი ალიანსის დასასრული რაც იქნებოდა. თუ ალასანია დარწმუნებული იყო და ეგონა, რომ თავი ქუდში ჰქონდა ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებით საპრეზიდენტო კანდიდატობის თაობაზე, მაშინ ის იმდენად გულუბრყვილო ყოფილა, უფრო უხეში სიტყვა რომ არ ვთქვა, რომ ჯობია საერთოდ პოლიტიკაზე ფიქრს თავი დაანებოს. ეს იყო თავიდანვე ცხადი. ეს ურთიერთობა მოარული ხმების სახეს ატარებდა არჩევნებამდე, იმიტომ, რომ ალასანია იყო ივანიშვილის საკმაოდ მძიმე გარემოცვაში, ყველაზე მეტად მისაღები ფიგურა ყველასთვის და შემდეგ ეს ფიგურა, სავარაუდოდ, უნდა შეიცვალოს ვინმე რესპუბლიკელით, მაგალითად, იგივე ხმალაძით, რომელიც არაერთხელ დაასახელა ბიძინა ივანიშვილმა. თან ის ამ დროს, როგორც „იგროკი“, რამდენიმესვლიან კომბინაციას აკეთებს. ალასანია რომ აღარ არის საპრეზიდენტო კანდიდატი, ეს ყველასთვის ცხადია და ამ დროს ყველას ახსენდება მისი ნათქვამი ვახტანგ ხმალაძეზე. მეორე მხრივ, ზოგიერთი პოლიტიკური ფიგურა, რომელიც შეიძლება კარგი ვარიანტი ყოფილიყო მესამე პოლიტიკური ცენტრის შექმნისთვის, რომელიმე ასეთი პოლიტიკური ფიგურა შეიძლება ალასანიასავით გულუბრყვილოდ დაელოდოს, მას ხომ არ შესთავაზებენ ამ საპრეზიდენტო სავარძელს.

– ალასანიას შეეშალაო და რა შეეშალა ასეთი?

– ალასანიას შეეშალა თავიდან, როცა დაიჯერა, რომ მას გარანტირებული პარტნიორის ადგილი ჰქონდა ბიძინა ივანიშვილთან. სწორედ ეს შეცდომა დაუშვა თავიდან ალასანიამ. ივანიშვილს პოლიტიკაში პარტნიორები არ ჰყავს. შემდგომ თუ ის გარკვეულ თვითკმაყოფილებას გამოხატავდა და მან ამის გამო რაღაცა ქედმაღლურად დაიწყო ლაპარაკი პოლიტიკოსთან ურთიერთობისას, ეს უკვე მისი პრობლემაა და მისი არაშორსმხედველობა. ამ შემთხვევაში ისევ ღიად რჩება საკითხი, სად უნდა ვეძებოთ მესამე პოლიტიკური ცენტრი. ალასანია ძალიან სუსტია იმისთვის, რომ მან ეს გააკეთოს. თავიდან მას არაჩვეულებრივი რეიტინგი ჰქონდა, როდესაც საქართველოში ჩამოვიდა, ყოველგვარი ფულის და რაღაცა ასეთი წინაისტორიების გარეშე, მაგრამ მისმა პიროვნულმა სისუსტემ ის ძალიან ჩქარა დაწია უკან. ამიტომ ასეთი წინააღმდეგობის დროს, ალასანია ძალიან ძნელად წარმოსადგენია, თანაც ისეთ ცარიელ პოსტზე, რომელიც მას აქვს, რაიმეს გაკეთება შეძლოს. თანაც მას პარლამენტში რამდენიმე კაცი ჰყავს. სავარაუდოა, თუ ის ცოტა მაინც თუ არ გაინძრა, რაც აქვს, ისიც დაკარგოს, ანუ თავდაცვის მინისტრის პოსტი და მას ამაზეც მიანიშნეს. არის კიდევ რამდენიმე ადგილი, სადაც ჩვენ შეიძლება გვეძებნა მესამე პოლიტიკური ძალის სავარაუდო კომპონენტები. ერთ-ერთი ასეთია ნინო ბურჯანაძის გაერთიანება. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ არის იმის საშიშროება, ნინო ბურჯანაძეს გაუჩნდეს აბსოლუტურად ტყუილი, ილუზორული იმედი იმისა, რომ საპრეზიდენტო სავარძელი ბიძინა ივანიშვილმა შეიძლება შესთავაზოს მას.

– სხვათა შორის, ამაზე საუბრობდნენ კულუარულად, რომ ივანიშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად ნინო ბურჯანაძეს დაასახელებსო...

– აი, ეს ისეთივე აბსურდი და ტყუილი იქნება, როგორც ეს იყო ირაკლი ალასანიას შემთხვევაში. მე მგონი, თუ აქამდე ვინმეს ეჭვი ეპარებოდა, დღეს უკვე საბოლოოდ უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ბიძინა ივანიშვილი თავის გამარჯვების საფასურს იხდის რესპუბლიკელების ხელისუფლებაში საფუძვლიანი მოყვანით. ასე რომ, ის უცხოს და, მით უმეტეს, მათთან შეუთავსებელს, თავისი ნებით, ბუნებრივია, არავის არ გააკარებს. ის წმენდა, რაც ახლა მიმდინარეობს კოალიცია ოცნებაში, დააკვირდით, რა პარტიებს და რომელ ადამიანებს ეხება.

– გამოდის, რომ ამ დაპირისპირებაში რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს?

– რესპუბლიკელებს არსად არაფერი არ გაუმარჯვია, გაიმარჯვა მათ უკან მდგომმა ძალამ, ისევე, როგორც თავის დროზე ჟვანია-სააკაშვილი-ბურჯანაძის უკან მდგომმა ძალამ გააკეთა ე.წ. სტავკა. ესენიც თავისუფლების ინსტიტუტის ისეთივე პირმშოები არიან, როგორც სააკაშვილის ნაციონალები. ამიტომ აქ მათ გამარჯვებაზე არ არის საუბარი. ყველაფერი თავიდანვე ამ გეგმით დაიწყო, თორემ სხვა ლოგიკა არ იყო, რატომ უნდა დაკავშირებოდა ივანიშვილი ყველაზე არაპოპულარულ, ყველაზე მცირერიცხოვან და ყველაზე ტოქსიურ ხალხს, პოლიტიკაში პირველივე ნაბიჯის შემოდგმისთანავე.

– ექსპერტებისგან მესმის ასეთი შეფასებები, რომ იმ დროს, როდესაც ასეთი დაძაბულობაა, თითქმის ორხელისუფლებიანობაა ქვეყანაში, შეიძლება ასეთი შიდა დაპირისპირებები?

– ამაში ვეთანხმები ექსპერტებს, რომ არ შეიძლება, მაგრამ მე რეალურ ორხელისუფლებიანობას ვერ ვხედავ. უფრო მეტიც, მე საერთოდ ვერ ვხედავ, რომ ამ ხელისუფლებას ოპოზიცია ჰყავს, იმიტომ, რომ ნაციონალები არ არიან ოპოზიცია. ჯერ ერთი, მათ იმ დანაშაულებრივი მოღვაწეობის გამო არანაირი სტატუსის ტარების უფლება არ უნდა მისცემოდათ, არათუ 40%-იანი საპარლამენტო ოპოზიცია. ამ 40%-დან 25% მათ აჩუქა კოალიცია ოცნებამ და ამას არც მალავენ. აქ ერთმანეთთან უთანხმოება ძირითადად ხდება ვერბალურ დონეზე. თემები ძირითადად იშლება ადამიანების დაპატიმრება-განთავისუფლების თაობაზე და აი, აქ მიდის ძირითადად კინკლაობა. უმეტესწილად ეს დაპატიმრებები მთავრდება გირაოთი გამოშვებით, ხოლო ამნისტიის საკითხი, როგორც გაპიარდა ნაციონალების მიერ და შემდეგ რა საფუძველი შეიძლება შეუქმნან იგივე ნაციონალებმა, ეს არავინ იცის. აქ მიდის შიდა ბრძოლა სკამებისთვის და ამას არავითარი კავშირი პოზიციასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირებასთან არა აქვს. საქართველოში დღეს საპარლამენტო დონეზე საერთოდ არ არსებობს ოპოზიცია, ხოლო გარეთ ერთ ნაწილში არის შიში იმისა, მათ რომ აქტიური ოპოზიციონერობა დაიწყონ, მათ დაბრალდებათ მიშისტობა, რაც აბსურდია, რადგან ამის შიშით მაშინ შეიძლება ამ ხელისუფლებამ იმაზე უარესები გააკეთოს, ვიდრე წინა ხელისუფლება აკეთებდა. მეორე მხრივ, არის მეორე ნაწილი, გარეთ მყოფი ოპოზიციის, რომელიც მოლოდინის რეჟიმშია და რომელიც არ კარგავს იმედს, რომ გამოიძებნება მისი ადგილიც ივანიშვილის მზის ქვეშ.

– თქვენ ნინო ბურჯანაძე ახსენეთ და როგორ ფიქრობთ, რატომ არ აქტიურობს ის, მით უმეტეს, რომ ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები?

– მე, სამწუხაროდ, მრჩება ის აზრი, რომ ქალბატონი ნინო ბოლომდე არ კარგავს იმედს იმისას, რომ მან შეიძლება მოახერხოს თანამშრომლობა ბიძინა ივანიშვილთან და სწორედ ამიტომ არ არის ის აქტიური, თორემ სხვა ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ის არ გახლავთ ყველაზე პოპულარული პოლიტიკური ფიგურა და საკმაოდ მარგინალურ ძალად არის გადაქცეული სააკაშვილის ხელისუფლების წყალობით და იზოლაციაშია, ის მაინც ძალიან კარგ ფონს შექმნიდა და ძალიან ძლიერი მონაწილე იქნებოდა მესამე პოლიტიკური ძალის. თუმცა, ჩემი ვარაუდით, იქამდე, სანამ ქალბატონ ნინოს აქვს იმედი, რომ ის მოახერხებს ბიძინა ივანიშვილთან თანამშრომლობას და იპოვის თავის ადგილს მის გარემოცვაში, ის იქნება თავშეკავებული. უბრალოდ, ისე არ მოხედეს, ალასანიას შემთხვევისა არ იყოს, როდესაც აღმოჩნდება და როდესაც დარწმუნდება ქალბატონი ნინოც და სხვებიც, რომ პრაგმატულადაც კი არა აქვს აზრი ივანიშვილის მზის ქვეშ ადგილის დალოდებას, იმიტომ, რომ მთელი მზიანი მხარე დაკავებული აქვთ რესპუბლიკელებს, მერე გვიან არ იყოს. ამას ისეთ დროს არ მიხვდეს ყველა პოლიტიკოსი, მათ შორის ქალბატონი ნინო, როდესაც ძალიან გვიან იქნება.

– როგორ ფიქრობთ, დამოუკიდებლად თუ დააყენებს ბურჯანაძე თავის კანდიდატურას იმ შემთხვევაში, თუკი არ დაასახელა ივანიშვილმა?

– დამოუკიდებლად არა მგონია, რომ მან კანდიდატურა დააყენოს, იმიტომ, რომ თქვენ ნახეთ, რომ მან არჩევნებშიც არ მიიღო მონაწილეობა. სხვა ოპოზიციონერებისგან განსხვავებით, ყველაზე ჭკვიანურად მოიქცა ის. იმ შემთხვევაში თუ ალტერნატიული ძალა უნდა ჩამოყალიბდეს, შეიძლება მაშინ გადადგას ეს ნაბიჯი, მაგრამ ზუსტად ეცოდინება, რომ მაშინ უნდა დამარცხდეს. ამიტომ არ ვიცი, ქალბატონი ნინო ამ დოზის ავანტიურიზმს თუ დაუშვებს თავის მოღვაწეობაში. ავანტიურიზმს კარგი გაგებით. ჯერჯერობით მას ასეთი ტიპის ნაბიჯები არ გადაუდგამს. მე ვგულისხმობ იმ ტიპის ნაბიჯებს, რომელიც იდგმება დამოუკიდებლად, რომელიც იდგმება რისკიანად და რომელსაც უკვე დამოუკიდებელი გონება, ანალიზი და დამოუკიდებელი ძალა სჭირდება, რომ ბოლომდე მიიყვანო.

– ქალბატონო ირინა, ასევე ახლოვდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, როგორ ფიქრობთ, დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებს, გარდა კოალიციისა, რა შანსები აქვს და რამდენად გააქტიურდებიან ისინი?

– თუ ეს ოპოზიცია არ გაერთიანდა და არ შეიქმნა მესამე ოპოზიციური ძალა, არანაირი შანსი, გარდა თითო-ოროლა კაცის გაძრომისა, არ არსებობს. მე, როგორც პოლიტიკოსი, შემიძლია ჩემი მხრიდან განცხადება გავაკეთო, მე ამას პირველად ვამბობ, რომ თუ არ შეიქმნა მესამე პოლიტიკური ძალა და თუ არ გაერთიანდა ოპოზიციის ძირითადი ნაწილი მაინც, მე პირადად პოლიტიკაში დარჩენის ვერანაირ სურვილს ჩემს თავს ვეღარ შევამჩნევ და ვერც აზრს ვეღარ დავინახავ. იმიტომ, რომ ის, რასაც მე დღეს ვაკეთებ, ამის გაკეთებას მოვახერხებ ყოველთვის. ანუ ვაკეთებ ანალიზს, ვაკეთებ კომენტარებს და ჩემს პოზიციას ვაცხადებ ხმამაღლა, მაგრამ ეს არ არის პოლიტიკური ბრძოლა. არც არასდროს არავის არ ექნება პოლიტიკური ბრძოლა, როგორი კარგი ოფისებიც არ უნდა ჰქონდეთ და რამდენი წევრიც არ უნდა ჰყავდეთ ქაღალდზე გაფორმებული, თუ აქ არ მოხდა გლობალური შეთანხმება ოპოზიციას შორის და თუ არ შეიქმნა მესამე ოპოზიციური ძალა, რომელიც რეალური ალტერნატივა და რეალური ოპოზიცია უნდა გახდეს ამ ხელისუფლების. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ამ ხელისუფლებას არჩევნებში ვერ დაამარცხებს, ოპოზიცია უნდა იყოს ის და არა დანაშაულებრივი რეჟიმის განმახორციელებელი ნაციონალური მოძრაობა.

– ალასანიას რაც შეეხება, კულუარულად ასეთი ბრალდება გაისმა, ის შემჩნეული იყო სააკაშვილთან და ნაციონალებთან კარგ დამოკიდებულებაშიო...

– ის, რაზეც შეიძლება ისაუბრონ ალასანიასა და მიხეილ სააკაშვილს შორის ურთიერთობაზე, ეს, მე მგონი, ძალიან კარგად გამოჩნდებოდა მაშინაც, როდესაც ის და ბიძინა ივანიშვილი მთავარი პოლიტიკური პარტნიორები იყვნენ. ის რომ ვთქვათ პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ წარსულში, ჯერ ერთი, ალასანიას სტილი არ არის დედის გინებით ვინმესთან საუბარი. აქედან გამომდინარე, ის რომ ალასანიას ასეთი მანერა ჰქონდა ურთიერთობის, მათ შორის სააკაშვილთანაც, ეს არ უნდა ყოფილიყო არც ადრე არავისთვის სიახლე. ეს ყველაფერი, რაც ახლა გავიგეთ? ეს ხომ თავიდანვე ცნობილი იყო. ეს ყველაფერი შეიძლება იყოს საბაბები, მთავარი მიზეზი არის ის, რომ ივანიშვილი შემოსულია პოლიტიკაში თავისუფლების ინსტიტუტის იდეოლოგიის დასატოვებლად. მას აქვს თავისი პირადი მიზანიც, რომელიც შესრულებულია, ის როგორც ამპარტავანი და ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი მსოფლიოში, არის აბსოლუტურად კმაყოფილი იმით, რომ სააკაშვილის უძლეველობის მითი სწორედ მან დაანგრია, მაგრამ ადამიანები ჯერჯერობით კარგად ვერ აანალიზებენ, რის ხარჯზე მოხდა მისი ეს გამარჯვება.

– რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, როგორც ცნობილია, 8 თებერვალს ის პარლამენტის წინაშე ანგარიშით უნდა წარდგეს, ეს მისი ბოლო ანგარიში იქნება პრეზიდენტობის ამპლუაში. რამდენად აქვს სააკაშვილს იმის უფლება, რომ როგორც პრეზიდენტი გამოვიდეს პარლამენტის წინაშე?

– უფლება მას დიდი ხანია აღარაფრის აღარა აქვს, მაგრამ სააკაშვილი, როგორც ჩანს, არ აპირებს გადადგომას და მე მეტსაც გეტყვით, მისი გადადგომა არც კოალიცია ოცნებას არ აწყობს. იმიტომ, რომ სანამ სააკაშვილი თავისი ვადით, კანონიერი თუ უკანონო, რჩება პრეზიდენტად, მოსახლეობაში მაინც არის შიში და საფრთხის იმიჯი სააკაშვილის სახით. როდესაც სააკაშვილი საერთოდ აღარ იქნება, ბუნებრივია, კოალიცია ოცნებასაც მეტი მოეთხოვება უკვე მოსახლეობისგან, იმიტომ, რომ მტერი აღარ იარსებებს ასე ხილული სახით და ძალიან ბევრი ადამიანი უკვე რეალურად მოითხოვს დღევანდელი ხელისუფლებისგან პირობების შესრულებას.

ეკა ბესელია: „სასამართლო საშიშ დამნაშავეებს გირაოთი ათავისუფლებს“

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას განცხადებით, სასამართლო, გირაოს შეფარდებით ბრალდებულებს მიზანმიმართულად ათავისუფლებს. მისივე განცხადებით, პრეზიდენტი და სასამართლო ხელიუფლება ახალი ხელისუფლებისათვის მხოლოდ პრობლემების შექმნითაა დაკავებული.

– სასამართლო ოქტომბრამდე იყენებდა გამამტყუნებელი განაჩენების პრაქტიკას და არავის ათავისუფლებდა გირაოთი. 100 ლარის ქურდობისთვის ან ერთი ფუნთუშისთვის ადამიანებს ციხეში უშვებდნენ და დღეს ყველაზე მძიმე დანაშაულისთვის ბრალდებულ პირებსაც კი, ყველას გირაოს უფარდებენ. რა არის ეს ტენდენცია თუ არა მიზანმიმართული ქმედება.

შემთხვევითი არაა, რომ პრეზიდენტმა ოქტომბერში, ნოემბერში და დეკემბერში 1544 ადამიანი შეიწყალა. აქედან მძიმე დანაშაულის მქონე 723 პირი გათავისუფლდა, იქედან კი განსაკუთრებით მძიმე 532 პირია. მათ შორის არიან ის პირები რომლებზედაც სააკაშვილი ყალბი სიბრაზით პარლამენტისკენ იშვერდა ხელს. როდესაც ამ ფაქტებზე ვსაუბრობთ, ცხადი ხდება, რომ დღეს სააკაშვილი თავისი სასამართლო ხელისუფლებით, დაკავებულია მხოლოდ პრობლემების შექმნით ახალი ხელისუფლების მიმართ. მე დარწმუნებული ვარ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელსაც აქვს პოლიტიკური ნება, რომ ქვეყანაში მართლა მოსახლეობის უსაფრთხოებაზე იზრუნოს, თავიდან აიცილებს საბოტაჟს და პროვოკაციებს. ჩვენ ნამდვილად მივიღებთ უსაფრთხო ქვეყანას– განაცხადა ეკა ბესელიამ.

ნიუსპრესი

31 იანვარს საპატიმროები 834-მა ბრალდებულმა დატოვა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წლის 31 იანვარს, ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დანესებულებიდან 834 ბრალდებული და მსჯავრდებული გათავისუფლდა.

მთლიანად კი, 2013 წლის 31 იანვრის მონაცემებით, ამნისტიის შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები სულ 5 332-მა ბრალდებულმა და მსჯავრდებულმა დატოვა.

გათავისუფლებულთაგან 175 პოლიტმატიმარია, 217 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, 12 კი არასრულწლოვანი.

ნიუსპრესი

ექიმთა პასუხისმგებლობა დაზღვეული იქნება

მერი ნამორაძე

საქართველოში ექიმების პასუხისმგებლობა დაზღვეული იქნება. ახალი სეჰვისი „ჯი-პი-აი ჰოლდინგს" შემოაქვს სადაზღვევო ბაზარზე. ჰოლდინგის ინიციატივით საექიმო შეცდომით გამოწვეული ფინანსური ზარალი ერთ პოლისით დაიფარება, ჰომლის მაქსიმალური ლიმიტი 50 ათასი ლარით განისაზღვრა.

როგორც „ჯი-პი-აი ჰოლდინგის" გენერალურმა დირექტორმა პაატა ლომაძემ გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, დღეს საკმაოდ აქტუალურია მსგავსი დაზღვევა, ვინაიდან საექიმო შეცდომა და ამით გამოწვეული ფინანსური ზარალი მეტად პრობლემატურია სამედიცინო სფეროში მომუშავე ადამიანებისთვის. ბოლო ხანებში მომრავლდა შემთხვევები, როცა პაციენტები ექიმებს უჩივიან არასწორი მკურნალობის გამო და ხშირია სასამართლო დავებიც:

– შეცდომებისგან არავინ არის დაზღვეული, თუმცა, ამ პოლისით ანაზღაურდება ის ზარალი, რომელიც ექიმს ან ექთანს დაეკისრება სასამართლოს მიერ. პროფესიული რისკების დაზღვევა მთელ მსოფლიოში პოპულარულია და თითქმის ყველა კლინიკა და სპეციალისტი სარგებლობს მსგავსი მომსახურებით. წარმოიდგინეთ, ექიმი, რომლის ხელფასი მერყეობს 500-დან 1000 ლარამდე, ყოველდღიური პრაქტიკა აქვს და დაძაბულ რეჟიმში მუშაობს. რაღაც შემთხვევის შედეგად მას შეიძლება დაეკისროს ასობით ან ათასობით ლარის გადახდა. ეს ადამიანი უბედურდება ფინანსურადაც, მორალურადაც, შეიძლება, სამუშაო ლიცენზია სამუდამოდ ჩამოერთვას. ასევე დაზარალებული მხარისთვის, რომელსაც სასამართლომ დავა მის სასარგებლოდ გადაუწყვიტა, თანხის ამოღების შანსები მინიმალურია.

ნებისმიერ ექიმს ან ექთანს ინდივიდუალურად შეეძლება, შეიძინოს პასუხისმგებლობის დაზღვევა საკმაოდ ხელმისაწვდომ ფასად. აღსანიშნავია ამ საკითხის მეორე მხარე – სოციალური პრობლემა, რადგან სასამართლო დავა შეიძლება კი დამთავრდეს პაციენტის სასარგებლოდ, მაგრამ ექიმისგან თანხის მიღება პრობლემატური აღმოჩნდეს და პროცესი გაიწელოს. პოლისით კი პაციენტი დაკისრებულ თანხას მაშინვე იღებს და აღარ ელოდება იურიდიულ პროცედურებს, – აღნიშნა ლომაძემ.

როგორც აღინიშნა, დაზღვევის ღირებულება მედიკოსთათვის თვეში 10 ლარიდან დაიწყება და 50 ლარამდე იმერყეოებს. საზღვარგარეთ დაზღვევის ეს სახე ძალზე პოპულარულია და ხშირ შემთხვევაში – სავალდებულოც. პოლისში გათვალისწინებულია უმუშევრობის დაზღვევის კომპონენტიც, თუკი საექიმო შეცდომის გამო ექიმს ან ექთანს შეუწერდა ლიცენზია, დაზღვევა ამ პერიოდში მას დაკარგულ შემოსავალს აუნაზღაურებს. პასუხისმგებლობის დაზღვევის შეძენა კლინიკებსაც შეეძლებათ იქ მომუშავე სამედიცინო პერსონალისთვის.

ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო მედიაციის სამსახურის წარმომადგენელმა სოფიო ლებანიძემ აღნიშნა, რომ დიდი ინტერესია ოფიციალურ წრეებში ამ პროდუქტის მიმართ. სამედიცინო მედიაციის სამსახური სწორედ პაციენტისა თუ დაზღვეული ფიზიკური პირების უფლებების დაცვაზე მუშაობს, ასევე ორ სუბიექტს შორის – სამედიცინო დაწესებულებასა და სადაზღვევო კომპანიებს შორის წარმოშობილი დავების რეგულირებას ემსახურება.

– ვფიქრობ, საინტერესო ინოვაცია შემოგვთავაზა ქართულ ბაზარზე „ჯი-პი-აი ჰოლდინგმა". დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს ახალი პროდუქტი იქნება სწორად აღქმული სამედიცინო საზოგადოების მიერ, რამდენადაც ამ საშუალებებით არა მხოლოდ პაციენტის უფლება იქნება დაცული, არამედ – საექიმო პერსონალისაც, რომელთა საქმიანობა მაღალი რისკის შემცველია, – აღნიშნა ლებანიძემ. ჩვენს შეკითხვას, თუ რა მასშტაბები აქვს ყოველწლიურად პაციენტთაგან ექიმთა მისამართით გამოთქმულ პრეტენზიებს, ლებანიძემ უპასუხა, რომ უნდა გაიყოს მედიაციის სამსახურის კომპეტენცია სამედიცინო მომსახურების ხარისხის შემსწავლელი სპეციალური ორგანოსგან:

– ჩვენს სამსახურს მომართავს პაციენტი ან დაზღვეული ის პირი, რომელსაც სურს სამედიცინო დაწესებულებიდან ზიანის ანაზღაურება. ასეთ შემთხვევაში მოპასუხე მხარე არის იურიდიული პირი და არა ფიზიკური. ეს პროდუქტი შეამსუბუქებს იურიდიული პირის პასუხისმგებლობას იმდენად, რამდენადაც მესამე მხარეც იქნება ჩართული კერძო სადაზღვევო კომპანიის სახით. ფიზიკური პირების მომართვები ზიანის ასანაზღაურებლად არ არის ისეთი მასშტაბური, რომ განსაკუთრებულ დინამიკაში აღვნეროთ. სტანდარტულად თვეში 2-3 პირის სასარჩელო მოთხოვნა შემოდის არა მხოლოდ სამედიცინო დაწესებულების, არამედ სადაზღვევო კომპანიის მიმართაც, თუ სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ მომსახურებას პაციენტი ჯეროვნად ვერ იღებს. ვფიქრობთ, ამ ახალი პროდუქტის შემოტანით, როცა პაციენტთან ურთიერთობის ნაწილში ექიმთა პასუხისმგებლობა და უფლება იქნება დაცული, მედიაციის სამსახურში მომართვიანობის დინამიკა შეიძლება შეიცვალოს, რამდენადაც პაციენტს კომპენსაციის მიღების სხვა საშუალებებიც გაუჩნდება.

დევი ხეჩინაშვილი: საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე:

– დიდხანს მიმდინარეობდა საუბარი ამ პროდუქტის გაჩენის აუცილებლობაზე, მათ შორის, ექიმები მოიკითხავდნენ ხოლმე აქტიურად ამ პროდუქტს. თქვენ ხშირად მოგისმენიათ სხვადასხვა საექიმო შეცდომების შედეგად წარმოქმნილი ზარალის შესახებ. დაზღვევას აქვს არაჩვეულებრივი ფუნქცია – ის არა მარტო დაზარალებულის კომპენსაციას უზრუნველყოფს, არამედ უნებლიე დამზარალებელსაც იცავს და იმ დაწესებულებასაც, სადაც ის მუშაობს. ანუ რაც მოხდება, ის ტალღასავით არ დაანგრევს ყველაფერს გარშემო, არამედ სამართლებრივ ფარგლებში მოაქცევს, გამჭვირვალე იქნება. ბოლო წლებში ქვეყანაში სამედიცინო სერვისის სრული ლეგალიზება მოხდა და ესეც მნიშვნელოვანი ნაწილია, რომ გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულ გარემოში ზარალის ანაზღაურება მოხდეს ყველა შემთხვევაში ყველას მიმართ. ასე სისტემა გაცილებით უფრო სტაბილური ხდება. ბევრ ქვეყანაში ამ ტიპის დაზღვევა სავალდებულოა სწორედ იმ აზრით, რომ სისტემაში ყველა იყოს დაცული.

მესამე პირისადმი მიყენებული ზარალი, როგორც წესი, არაფორმალურად გვარდება საქართველოში, ამიტომ ციფრების დასახელება ძალიან რთულია. ასე რომ, მალე ეს ნაწილიც „ამოვა მზეზე" და ურთიერთობებიც დალაგდება, – აღნიშნა ხეჩინაშვილმა.

არ არის გამორიცხული, ექიმის პასუხისმგებლობის დაზღვევამ საქართველოში პაციენტი ისე გაათამამოს, ყველა ნიუანსს გამოეკიდოს და გადაჭარბებულად პრეტენზიული და ჭირვეული გახდეს.

ამის საპასუხოდ ხეჩინაშვილმა მაგალითად სამოქალაქო დავების ყველაზე მომთხოვნი ამერიკული საზოგადოება მოიყვანა, სადაც მოთხოვნები მართლაც გადაჭარბებულია, მაგრამ ასე ცხოვრობს ცივილიზებული სამყარო და ჩვენც ფეხდაფეხ უნდა მივყვეთ მათ:

– მესამე პირისადმი მიყენებული ზარალი უნდა იყოს ანაზღაურებული. საზოგადოება იქით მიდის, რომ ზარალი იყოს დაფარული, რისკები იყოს მართული. საქმიანობის პროცესში შეიძლება დაშვებულ იქნეს შეცდომა, რამაც მესამე მხარე, რომელიც კავშირში არ არის პროცესთან, შეიძლება, დააზარალოს. ამის ანაზღაურება არ უნდა იყოს დამოკიდებული დამზარალებლის ფინანსურ შესაძლებლობაზე. ეს არის მთავარი აზრი პასუხისმგებლობის დაზღვევისა. ამის მარკეტინგი არ იქნება ადვილი, რადგან ქართველ ექიმებს, როგორც მთელ ჩვენს საზოგადოებას, დაზღვევის დიდი ინტერესი, გამოცდილება თუ კულტურა არ აქვთ.

ბესო ზანგური: „ღმერთმა დაგვიფაროს, გოგა ხაჩიძის იუმორი ველოსიპედს გასცდეს"

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის" იმერეთის ბიურო

ბესო ზანგური ქართულ სინამდვილეში ერთ-ერთი გამორჩეული თეატრალური მოღვაწეა, რომელიც ბოლო რამდენიმე წელია, აქტიურად ჩანს, როგორც მეამბოხე შემოქმედი. რობერტ სტურუას მიერ წარმოჩენილი რუსთაველის თეატრის წამყვანი მსახიობი ყველაზე აქტიურად აპროტესტებდა საქართველოს №1 თეატრის მაესტროს სამხატვრო ხელმძღვანელობიდან გაშვებას (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით გაგდებას) და ბ. ივანიშვილის პოლიტიკური ძალის მხარდაჭერის გამო ითმენდა კარალეთურ ქვათასროლასა და ღია თუ ფარულ მუქარებს.

– ბესო, როგორც საზოგადოების აქტიური წევრი, მინდა დაგეკითხოთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. მსახიობი მხოლოდ სცენის ,,ადამიანი" არაა, მოგეხსენება...

– მთავრობა, რომელიც დღეს მართავს ქვეყანას, ეს იყო ჩემი უდიდესი სურვილი, რომ მოსულიყო... ჩემგან ეს სურვილი კი შემდეგმა ვითარებამ განაპირობა: არსებულმა მდგომარეობამ ანუ ქვეყანაში სიღატაკემ, მკვლელობებმა, კორუფციამ და უსამართლობამ... ძალა, რომელსაც ქართული ოცნება ჰქვია, გუნდი, რომელიც შევიდა პარლამენტში და მოვიდა ხელისუფლებაში, ზუსტად მჯერა და მწამს, რომ ქვეყანას არსებული ზემოთნახსენები ჩიხიდან გამოიყვანს და ამის მრწამსს მათი წარსული მაძლევს, მათი სუფთა ჯანსაღი აზროვნება! ხელისუფლებაში ჯანსაღი ადამიანები უნდა იყვნენ, რათა არ დაუშვან ის შეცდომები, რაც სააკაშვილის ავადმყოფმა ხელისუფლებმა და ეგრედწოდებულმა ლეკვებმა დაუშვეს! საქართველო ჯანსაღი სულის ქვეყანაა, აქ იციან პატრიარქის ფასი, აქ იციან სიცოცხლის ფასი, აქ იციან ქალის და კაცის და საერთოდ, მომიტევეთ სლენგისთვის, მაგრამ ძალიან რთულია ქართველი კაცის ,,დაგოიმება"... მოკლედ მე მჯერა, რომ ,,ქართული ოცნება" ოცნებად არ დარჩება და ის რეალურად ხდება ჩვენს თვალწინ და არა ისე, როგორც ამას სააკაშვილი აკეთებდა პიარით, კამერებით და არაკაცური გზით, არამედ კანონისა და რელიგიის ფარგლებში!

– ერთი ყველაზე აქტიური ოპონენტი ,,ნაციონალური მოძრაობისა", როგორ გადაურჩი, როგორც მსახიობი, ნაციონალურ ხელისუფლებას?

– და ვინ გითხრათ, რომ გადავურჩი? 2 ჯერ გამიტაცეს და ერთხელ სახლში შემომივარდნენ. რაც შეეძლოთ, ზიანი მომაყენეს, თუმცა მხოლოდ იმის მწამდა და მჯეროდა, რომ იმ ნიღბიანი ზონდერის უკან მხოლოდ კუნთმაგარი და ზომბირებული ,,კაცია-ადამიანი" იდგა... და მჯეროდა სიმართლის და ყველაზე უფრო მაწამებდა იმ ხალხის სიმწარე, რომელიც მოკლეს უსამართლოდ, რომელიც, როგორც თვითონ ამბობენ, ,,ჩარეცხეს", როგორც ბარბაროსები, ისე მოექცნენ აქციაზე და 2008 წლის ომის დროს! არასოდეს შემშინებია და ზუსტად ვიცი, ამ სტატიას კითხულობს ახლა არაერთი ზონდერი და თავს აქნევს, რომ ეს სიმართლეა და ჭეშმარიტება, რადგან სიმართლის შიში ყველაზე დიდი არაკაცობაა და როცა ვარ მართალი, ვერანაირი ზონდერმანქანა ვერ შემაშინებს! მოკლედ ვიტყვი: ღმერთმა შეუნდოთ მათ დანაშაული, არჩილ კბილაშვილმა კი არა!

– არც ისე დიდი ხნის წინ ანეკდოტურ სიტუაციაში ჩავარდა რუსთაველის თეატრი(,,რურუამ მოხსნა სტურუა"), მერე ,,სამართალმა პური ჭამა" და სტურუა ისევ დაბრუნდა თეატრში. საინტერესოა, როგორ შეხვდა დასის ის ნაწილი, რომელიც აპროტესტებდა ამ ვანდალიზმსა და კიდევ ისინი, ვინც ,,დუმილის ბიჭებად" არჩიეს ყოფნა?

– ამ კითხვას მხოლოდ ასე ვუპასუხებ: სტურუამ მოხსნა ყველა ეპოქის გრანპრი!

– საქართველოს თეატრალური ხელოვნების უზარმაზარი წარსული აქვს. დღეს ქართული თეატრები სულს ღაფავს. გამოსავალი სად უნდა ვეძიოთ?

– ქართული თეატრები სულს ღაფავს? და რა არ ღაფავს სულს? ეს სულ ნაციონალური გუნდის მემკვიდრეობაა! ამ ყველაფრის აღდგენას დრო სჭირდება! იმ უნიჭობის მოსაშლელად ძალიან დიდი და გაორმაგებული ნიჭიერებით სჭირდება ყველაფერს კეთება! რაც ყველაზე დიდი საკეთებელია ეს იყო–ეროვნული გემოვნების დაქვეითება! მე მინდა, რომ ყველამ თავის საქმე აკეთოს ამ ქვეყანაში! მიშას დროს ეს ყოველივე შეგნებულად არიეს, რადგან ეს საუკეთესო მექანიზმია ტვინის არევის, თუმცა კიდევ განვმეორდები, რომ ტვინის არევას ნიჭი უნდა და საქართველო ნაციონალური გუნდის უნიჭობამ გადაარჩინა! ღმერთმა დაგვიფაროს, გოგა ხაჩიძის იუმორი ველოსიპედს გასცდეს, აი, მერე გვენახა კალიების შემოსევა და საქართველოს გასაჭირი!

– სტრუქტურული თვალსაზრისით, ქართულ თეატრს რა საშტატო ერთეული სჭირდება და რომელია აშკარად ზედმეტი?

– ქართულ თეატრს სჭირდება ქართული სული! სულ ესაა.

– ბოლოს, პირადად ბესო ზანგურის შესახებ, რა ნოვაციებია რუსთაველის თეატრის გამორჩეული მსახიობის შემოქმედებით ცხოვრებაში?

– ჩემს ცხოვრებაში სულ ცვლილებებია, მე არ შემიძლია ერთ ადგილზე ყოფნა, შეიძლება ერთ ადგილას ვიყო, მაგრამ სულ რაღაცას ვაკეთებ ან ვაფუჭებ. თუ არ ვაკეთებ, ჩემთვის საშუალო არ არსებობს მდგომარეობა,ან ცაში ვარ ან მიწაში. ბევრს ცაში მოსწონს ჩემი ყოფნა, ბევრს–მიწაში! მე მინდა დავამშვიდო ყველა და ვუთხრა, რომ, ,,სანამ არ დამმარხავენ, მშვიდს მე ვერსად მნახავენ (ნ.გომელაური). ახლა რაც შეეხება სპექტაკლებს, ეს რობერტ სტურუას გადასაწყვეტია ,ის არის ადამიანი, რომელიც არასოდეს ჩაგახედებს რეპერტუარში, ან ჩაგახედებს და მე არ გეტყვით, რომ ჩაგახედებს, ან ისე, ან ასე. მოკლედ, არ ვიცი რა ვთქვა, რა გითხრათ, რით გაგახაროთ? მტერს ვეტყვი: არავინ ცხოვრობს ერთი დროით და ერთი ცხოვრებით! მოყვარეს ვეტყვი: გელოდებით რუსთაველის თეატრში, გკოცნით, გეხვევით, თქვენი ბესო ზანგური!

ლეიბორისტულ პარტიაში განხეთქილებაა

ლეიბორისტული პარტია რამდენიმე წევრმა დატოვა. აღნიშნულ ინფორმაციას „ნიუსპრესთან" საუბარში პარტიის წევრები ადასტურებენ, თუმცა მათი ვინაობა, ვინც პარტია დატოვა, ჯერჯერობით არ ხმაურდება.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ შალვა ნათელაშვილმა „რუსთავი 2"– ის ეთერში განაცხადა, რომ არის მცდელობა, მისი პარტია შიგნიდან საქართველოს ლეიბორისტული პარტია, თავის რიგებში მომხდარ უთანხმოებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„ჩვენ საზოგადოება თავის დროზე არაერთხელ გავაფრთხილეთ, რომ პრემიერი ივანიშვილი, ყველა თავისი რესურსით და სპეცსამსახურით ცდილობს, მისგან უმართავი და დაუმორჩილებელი ლეიბორისტული პარტიის დაშლას ან დისკრედიტაციას.

სამწუხაროა, რომ, როგორც ვვარაუდობდით, ამ ანკესს წამოეგო პარტიის რამოდენიმე აქტივისტი. ნანილი არჩევნებამდე, ხოლო პატარა ჯგუფი დღეს.

ლეიბორისტული პარტია ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებს უკომპრომისო ბრძოლას ივანიშვილ-სააკაშვილის მჩაგვრელი რეჟიმის წინააღმდეგ და არ არსებობს ძალა, რომელიც ამ მიზანზე ხელს აგვაღებინებს" – ნათქვამია პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ნიუსპრესი

გაიოზ კანდელაკი: ვიწყებთ უფასო საკონცერტო ტურნეს!

ეკა ირემაშვილი

თბილისის ბიგ ბენდმა უპრეცედენტო აქცია წამოიწყო. 35 კაციანი ბენდი 8 სოლისტით თბილისის უმაღლეს სასწავლებლებს სტუმრობს და სტუდენტებისთვის უფასო კონცერტებს მართავს. საკონცერტო პროგრამა კი მსოფლიოს ჰიტებით არის დაკომპლექტებული. როგორც ბიგ ბენდის დამაარსებელი და ხელმძღვანელი გაიოზ კანდელაკი აღნიშნავს, ეს არის უპრეცედენტო მოვლენა, როცა ორკესტრი საკუთარი ინიციატივით სრულიად უფასოდ მიდის უმაღლეს სასწავლებლებში და ახალგაზრდობას უმაღლესი დონის მუსიკას წარუდგენს.

აქციის ფარგლებში დაგეგმილი პირველი კონცერტი 25 იანვარს თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა. თბილისის ბიგ ბენდმა სოლისტებთან ერთად დარბაზში შეკრებილი მსმენელისთვის ცნობილი ჰიტები ააჟღერა და ღონისძიება სტივ უანდერის ცნობილი ჰიტით დაასრულა.

როგორც გაიოზ კანდელაკი აღნიშნავს, მათი პროექტით ფარგლებში მორიგი კონცერტები დაგეგმილია 8 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც უნივერსიტეტის დაარსების 95 წლის იუბილე აღინიშნება და პირველ მარტს თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში.

ბიგ ბენდის ფუძემდებლის განცხადებით, ისინი მზად არიან თბილისსაც გასცდნენ და მთელი საქართველოს რეგიონების უმაღლესი სასწავლებლები შემოიარონ, რადგან მათი ორკესტრის დევიზია, ყველაფერი საუკეთესო ჩვენს სტუდენტობას და ამიტომ სურვილის შემთხვევაში, ისინი საქართველოს ნებისმიერ რეგიონში უფასო კონცერტებს გამართავენ.

რა გზა გამოიარა თბილისის ბიგ ბენდმა არსებობის 16 წლის განმავლობაში, რა წარმატებებს მიაღწია და როგორ მოვიდა დღემდე, ამ თემებზე „ახალ თაობას“ მისი დამფუძნებელი გაიოზ კანდელაკი ესაუბრა.

გაიოზ კანდელაკი:

– ჩვენ ვიწყებთ მოგზაურობას ქალაქში და ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის სტუმრები ვიქნებით. 25 იანვარს ჩვენ დავიწყეთ საკონცერტო ტურნე თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში. პირველი იყო ტექნიკური უნივერსიტეტი, სადაც ჩვენი პროგრამის საუკეთესო ნაწილი წარმოვადგინეთ.

– რატომ ტექნიკური უნივერსიტეტი?

– იმიტომ, რომ ბიგ ბენდი, ჯაზორკესტრი, ორკესტრი, ყველაფერი ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა. ალბათ ცოტა საკვირველია, მაგრამ ტექნიკური უნივერსიტეტი ბიგ ბენდების და ნიჭიერი მომღერლების აკვანი იყო, ნანი ბრეგვაძე, ჯანო კახიძე, ბზვარელები, შვიდკაცა ყველა იქ მღეროდა. ჩვენც ყველა, ვინც ამ ორკესტრის ხელმძღვანელობა ვართ, ტექნიკური უნივერსიტეტი დავამთავრეთ. მაგ უნივერსიტეტში სწავლობდა ამ ორკესტრის მუსიკოსების 60 პროცენტიც, ამიტომ მასთან განსაკუთრებით თბილი და კარგი მოგონებები გვაკავშირებს.

– უფასო კონცერტების იდეა ვის ეკუთვნის?

– ყველას ერთად გაგვიჩნდა იდეა, მე, კახა მარკოზაშვილს და გივი გაჩეჩილაძეს, რომ ვიაროთ უმაღლეს სასწავლებლებში ყოველ წელს. ეს ჩვენი შინაგანი მოთხოვნილებაა, რომ მასტერ კლასი ჩავატაროთ. ამერიკაშიც ასეა, დიდი ორკესტრები ყოველთვის მასტერ კლასებს უტარებენ დიდ უნივერსიტეტებს, დადიან ნიუ იორკის, ვაშინგტონის უმაღლეს სასწავლებლებში და ატარებენ მასტერ კლასებს. ამას შედეგი ყოველთვის მოსდევს, რადგან პოპულარიზაცია ხდება საორკესტრო მუსიკის, ინსტრუმენტალური მუსიკის, რომ დაინტერესდნენ ახალგაზრდები და ზღვა ხალხი მიდის შემდეგ ამ დარგში. ინტერესი უფრო მეტია და თან კიდევ ერთადერთი მიზანი ჩვენი ის არის, რომ ჩვენს სტუდენტობას მივანიჭოთ ესთეტიკური სიამოვნება, მათ შინაგანი კულტურა აიმაღლონ, ცოცხლად მოისმინონ საორკესტრო სიმღერა და ჩვენი მომღერლები.

– რამდენი ვოკალისტი გყავთ ამ ეტაპზე?

– ჩვენთან 8 მომღერალია და ისინი თავისი საქმის პროფესიონალები არიან. მაია ბარათაშვილი, გიორგი სუხიტაშვილი, მარიკო ებრალიძე, ბორის ბედია, მარი პავლიაშვილი, თაკო გაჩეჩილაძე, ზაურ შავგულიძე და ალეკო ბერძენიშვილი ჩვენი ორკესტრის სოლისტები არიან. 35 კაცი უკრავს ჩვენს ბენდში და ყველა თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია.

– როგორია თქვენი საკონცერტო რეპერტუარი?

– ჩვენი მთლიანი პროგრამა არის განახლებული. შეიძლება ამ კონცერტებს პრემიერაც კი ვუწოდოთ. ეს არის მსოფლიო ჰიტების ნაკრები, ყველაზე ნაცნობი და ძალიან პოპულარული სიმღერები და საორკესტრო ნაწარმოებები დავაჯგუფეთ და გავაერთიანეთ. საკონცერტო პროგრამის ფინალურ სიმღერად კი სტივ უანდერის ნაწარმოები გვაქვს შერჩეული, რომელიც სიყვარულს და ადამიანთა ურთიერთობას ეძღვნება.

– ქართულ ნაწარმოებებს არ ასრულებთ?

– რა თქმა უნდა. ჩვენ ქართულ ნაწარმოებებსაც ვასრულებთ. ამჯერად გვინდა მსოფლიო ჰიტები შევასრულოთ. რადგან ჩვენი დევიზია ყველაფერი საუკეთესო ჩვენს ახალგაზრდობას და თანაც ყველაზე მაღალხარისხიანი. ეს არის ჩვენი ორკესტრის შინაგანი მოთხოვნილება. ბედნიერები ვართ და სულ სხვა მუხტი მოდის ამ კონცერტებიდან, ანგრევენ ყველაფერს, ისეთი ემოციებია ხოლმე.

– რატომ ატარებთ უფასო კონცერტებს?

– ეს ჩვენი მორალური ფაქტორია. გვინდა ჩავატაროთ უფასო კონცერტები და ამას ვერავინ დაგვიშლის. აბა, მითხარით, რომელი კოლექტივი დადის და უფასოდ ატარებს კონცერტებს სტუდენტებისთვის? დღეს ყველა ფულზეა გადასული, მაგრამ დამიჯერეთ, მთავარი ამ ცხოვრებაში მარტო ფული არ არის. ყველაფერი ფულზე არ იყიდება, განსაკუთრებით სულიერება, მისი ფულით ყიდვა შეუძლებელია.

– კი, მაგრამ, როცა ამხელა ორკესტრი გყავთ, მათ არ უნდათ შემოსავალი?

– ჩვენ ვახერხებთ, რომ კაპიკს კაპიკი დავადოთ, ხელფასები რაღაცნაირად ხერხდება. გვინდა, რომ მაქსიმალურად დავიხარჯოთ. ყველას აქვს ხელფასი, მაგრამ ჩვენსავით არავინ იქცევა. უკვე 10 წელია ასე ვიქცევით, მივდივართ და უნივერსიტეტებში ვატარებთ და ვატარებთ ამ კონცერტებს, სასწავლო წლის დასაწყისში, სასწავლო წლის ბოლოს, თბილისის ზღვაზე გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტში, დიღმის ბოლოში, შავი ზღვის უნივერსიტეტში, ჩვენ ყველგან დავდივართ, მთავარია ინიციატივა და სურვილი ჰქონდეთ მათ.

– კიდევ როდის გაქვთ კონცერტი?

– 8 თებერვალს. ამ დღეს არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 95 წლის იუბილე დაარსებიდან, იქ დიდი მიღება აქვთ და ჩვენ ასეთ საჩუქარს ვუკეთებთ. ვუკრავთ სრულიად უფასოდ. პირველ მარტს კი სამედიცინო უნივერსიტეტში გვაქვს კონცერტი. პარალელურად, ჩვენ ველოდებით ზარებს, ვისაც სურვილი ექნება, ყველა უმაღლეს სასწავლებელში მივალთ და მათთვის კონცერტებს ჩავატარებთ. გვინდა კონსერვატორიის, თეატრალური უნივერსიტეტის და სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისთვის კონცერტი ერთობლივად ჩავატაროთ კონსერვატორიის დიდ დარბაზში, რადგან იქ დიდი სივრცეა და ბევრი სტუდენტი დაეტევა. თან ამბობენ, ეს სამი სახელოვნებო სასწავლებელი ერთიანდებაო. კონსერვატორიის რექტორს რევაზ კიკნაძეს უკვე ველაპარაკე, ისინი შეთანხმდებიან და ერთობლივ კონცერტს ჩავატარებთ ამ სასწავლებლების სტუდენტებისთვის. ალბათ მალე შემოგვეხმიანება ილიას უნივერსიტეტი. ჩვენ გამოვაცხადეთ ეს ამბავი, ახლა უკვე მათ სურვილზეა ყველაფერი დამოკიდებული. რომელი უმაღლესი სასწავლებლის რექტორი ან სტუდენტური თვითმმართველობაც მოგვმართავს, ჩვენ ყველგან მივალთ და ჩავატარებთ უფასო კონცერტებს. ამით ჩვენი მეგობრობა დაიწყება და მომავალშიც გაგრძელდება. წმინდა გულით და ენთუზიაზმით ველოდებით ყველას, ვისაც სურვილი ექნება, ყველასთან გვექნება ურთიერთობები. ჩვენს ახალგაზრდობასთან, ჩვენს სტუდენტებთან ძალიან გვინდა ახლო კონტაქტი გვქონდეს, რადგან ისინი ჩვენი მომავალია.

– მხოლოდ თბილისის უმაღლესი სასწავლებლებისთვის ჩაატარებთ უფასო კონცერტებს?

– თუკი საქართველოს რეგიონებშიც დაგვიძახებენ, მათთანაც ჩავალთ. როგორმე გამოვნახავთ ტრანსპორტს და ყველგან ჩავალთ. მთავარია ახალგაზრდობას უნდოდეს ნამდვილი მუსიკის მოსმენა.

– როგორ გგონიათ, რამდენად კარგად გიცნობთ ქართველი მსმენელი?

– მგონია, რომ კარგად გვიცნობს. ჩვენ ყველგან ვუკრავთ. ბიგ ბენდის ტიპის ორკესტრი მთელ საქართველოში ერთადერთია. მგონია, რომ ის მარტო სახელით არ არის დანარჩენებისგან გამორჩეული. აქ მარტო 20 მუსიკოსი ზის და ყველაზე ძლიერი მუსიკოსები სწორედ ჩვენთან არიან დაწყებული ოთარ მაღრაძით და დინი ვირსალაძით დამთავრებული. აქ შეზავებულია ახალგაზრდობა და უფროსი თაობა. უფროს თაობასთან ერთად უკრავენ ახალგაზრდა მუსიკოსები და ამ მუშაობაში წლები გადის. ჩვენი სოსო კასრაძე, გეპეის ორკესტრში ბარიტონ საქსაფონზე რომ უკრავდა, გარდაიცვალა, ნელ-ნელა ორკესტრი ივსება ახალი თაობით, ახალი სისხლით და ეს ასეც უნდა იყოს. ჩვენ გვყავს მესაყვირე, რომელიც 82 წლის არის და საყვირზე უკრავს ჩვენთან. მან გეპეის ორკესტრიდან დაიწყო თავისი მოღვაწეობა 50 წლის წინ. წარმოგიდგენიათ, ნახევარი საუკუნეა სცენაზეა ადამიანი. კანადის მოქალაქე იყო, წავიდა თავის ოჯახთან, მაგრამ ვერ გაძლო ორკესტრის გარეშე და უკან ჩამოვიდა. ასეთი რამეები ხომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე არ ხდება. ეს ხომ აღნიშვნის ღირსია?!

– რამდენი წლისაა ბიგ ბენდი?

– 16 წელია ეს ორკესტრი არსებობს. მარჯანიშვილის თეატრის დირექტორი რომ ვიყავი, კახა მარკოზაშვილი, სულ პატარა ბიჭი, დავპატიჟე და დირექტორად დავნიშნე. როცა გივი გაჩეჩილაძეს ვუთხარი, ასეთი ორკესტრი უნდა გავაკეთოთ-მეთქი, ზარბაზნების ხმა ისმოდა, მაშინ საქართველოში ისეთი ამბავი იყო, შუა ომი იყო და გიჟი ხარო, მითხრა. აი, სწორედ მაშინ ჩავუყარეთ

ამ ორკესტრს საფუძველი და ის დღემდე მოდის. მთელი სისხლი და შრომაა ამაში ჩადებული, ის თაობა დაგვეხმარა ნიკო ლეკიშვილი, ბადრი შოშიტაიშვილი.

– ახლა ვინ გეხმარებათ?

– ახლა მერია გვეხმარება. ვინც ამ ორკესტრს დაეხმარა, ისინი არასოდეს დამავიწყდება და ყოველთვის მადლიერებით მოვიხსენიებ. არც პოლიტიკისკენ ვიყურებით და არც თანამდებობებისკენ. ეს არის ხელოვნება, ხელოვნება კი უნდა აერთიანებდეს ყველას, განურჩევლად მისი მოსაზრებებისა. გინდა იმ პოლიტიკაზე ფიქრობდეს და გინდა ამ პოლიტიკაზე, ეს არის მუსიკა. სადღაც პოლიტიკის გარეშე ხომ უნდა შეიკრიბოს საზოგადოება? ჰოდა, ჩვენი კონცერტები იძლევა იმის საშუალებას, რომ ადამიანმა პოლიტიკაზე არ იფიქროს და ერთმანეთი უყვარდეთ. ჩვენი შემოქმედება და მუსიკა არის ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე და რჩება მის მიღმა.

– თუმცა ბოლო დროს პოლიტიკა საკმაოდ ღრმად შეიჭრა კულტურაში.

– ეს ძალიან საწყენია. როცა წავიდა საუბარი ეს ჩემისტია, ის ჩემსიტიაო, ახლა შეიძლება ვიღაცები ძალიან უხერხულ სიტუაციებში ვარდებიან, სამაგიეროდ, ჩვენ არანაირი უხერხულობა არ გვემუქრება, რადგან ყოველთვის ყველას წინაშე მართლები ვიყავით და ასე ვიქნებით სულ. ჯაზი საერთოდ ყველაზე დემოკრატიული მუსიკაა დედამიწის ზურგზე. იცით ჯემსიეშენი რატომ ჰქვია? ერთმანეთისთვის აბსოლუტურად უცნობი მუსიკოსები შეიძლება შეხვდნენ ერთმანეთს და თქვან, მოდით, დავუკრათ ფა მაჟორში, დასხდებიან და უკრავენ სასწაულს. ხელოვნების არც ერთ დარგში მსგავსი რამ არ ხდება, არც მხატვრობაში, არც საესტრადო მუსიკაში და არც კლასიკურ მუსიკაში, ეს მარტო ჯაზში ხდება. ეს არის ჯაზის ფენომენი და იმიტომაც არის სრულიად თავისუფალი, აქ მაღალი ხარისხია, მაღალი კულტურა. ჯაზს მარტო უკრავს მაღალი დონის მუსიკოსი, ჩვეულებრივი მუსიკოსი ამას ვერ დაუკრავს, ამას ნამდვილი ტალანტები სჭირდება.

– დღეს პოპულარულია ჯაზი საქართველოში?

– როგორ არ არის. ვერ ხედავთ თბილისის და ბათუმის ჯაზფესტივალებზე რა ხდება? მსოფლიო ვარსკვლავები ჩამოდიან და მსმენელიც აქტიურად დადის.

– თქვენ თუ იღებთ ამ ჯაზფესტივალში მონაწილეობას?

– ბათუმის ჯაზფესტივალში მივიღეთ მონაწილეობა ძალიან დიდი წარმატებით, ისთერნ პრომოუშენმა დაგვპატიჟა. სამი დღე ვუკრავდით ღია ცის ქვეშ. საახალწლოდაც დავუკარით მეიდანზე ღია ცის ქვეშ.

– საქართველოს ფარგლებს გარეთ ახერხებთ კონცერტების ჩატარებას?

– დიახ. ჩვენ უკრაინაში ვიყავით, კიევის ოპერის თეატრში დავუკარით. მაპატიეთ, მაგრამ ბევრს არ ღირსებია მაგ სცენაზე გამოსვლა. უკრაინელმა მომღერალმა თავისი კონცერტი ჩვენს ორკესტრთან ერთად გამართა. მეორედ კიევში ვიყავით დამოუკიდებლობის დღეს და კონცერტი ჩავატარეთ. როცა ჯონ ტეფტი იყო ამერიკის ელჩი საქართველოში, ნაბიჯს არ დგამდა უჩვენოდ. ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს ვუკრავდით, 11 სექტემბრის ტერაქტის დღეს დავუკარით, ნაწარმოებიც კი მივუძღვენით ამ ტრაგედიას. მოსკოვიდან მოწვეული გვყავდა საქსაფონისტი იგორ გუტმანი. მონტე კარლოში 2006 წელს მივიღეთ გრანპრი. ეს პრიზი მიიღო ჩვენმა ჩანაწერმა ბობ მინცერთან ერთად, ბობ მინცერი კი არის სამი გრემის მფლობელი, ნიუ იორკის ბიგ ბენდის სამხატვრო ხელმძღვანელი. ჩამოვიდა თავის კვარტეტთან ერთად და ჩვენს ორკესტრთან ერთად იმუშავა. ამის ჩანაწერიც არსებობს. პრინცესა გრეის დარბაზში გვქონდა დანიშნული კონცერტი, უსახსრობის გამო ვერ წავედით და ეს კონცერტი გაუქმდა. სხვათა შორის, იმ პრინცესა გრეის დარბაზშიც არ ღირსებია ბევრს გამოსვლა. მინდა ერთი რამ ვთქვა, დღეს თუ ქართულ ხელოვნებაში რაღაც ღირებული არის შექმნილი, ამაში ბიგ ბენდს უდიდესი წვლილი მიუძღვის. გაიოზ კანდელაკი ამბობს ამას – ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეც ვარ, ღირსების ორდენის კავალერიც და 20 წელი მარტო მარჯანიშვილის თეატრის დირექტორი ვიყავი. სხვათა შორის, ყველა ფესტივალი ჩემი დაწყებულია. გივი გაჩეჩილაძე ქმნის ორკესტრისთვის არანჟირებებს, 16 წელია კახა მარკოზაშვილი ბიგ ბენდის დირექტორია, გაიზარდა ორკესტრთან ერთად, მას დიდი დამსახურება აქვს, სულ სხვანაირად წამოიყვანა ორკესტრი მისმა საქმიანობამ, ძალიან ბევრი კონტაქტებია. 67 წლის კაცი ვარ მე და 72 წლის არის გივი გაჩეჩილაძე და ამ ხნის ადამიანები ვუბერავთ ამ საქმეში, ადვილი კი არ არის, მაგრამ გვიყვარს ჩვენი საქმე და იმიტომ ვერ ვანებებთ თავს და არც დავანებებთ. ახლა რომ ვაკვირდები, თურმე წლოვანებაში არ ყოფილა საქმე. ზოგიერთებს ეშლებათ, როცა ამბობენ, ახალგაზრდები მოვიდნენ სათავეშიო. ჩემგან თუ არ ისწავლე, დალოცვილიშვილო, ვინ იყო ლუი არმსტრონგი ან ელა ფიტცჯერალდი, საიდან გეცოდინება?! ვიცით, რომ საზღვარგარეთაც კარგად გვიცნობენ. ჩვენმა ერთ-ერთმა მუსიკოსმა პარიზიდან დამირეკა და მითხრა, რომ შესაძლებელია პარიზის ჯაზფესტივალზე გამოვიდეთ. ამ ყველაფერს მხარდაჭერა და გვერდში დგომა სჭირდება. ყველას სპონსორი ჰყავს და ჩვენ რატომ არ გვყავს, ვერ გავიგე, მაინდამაინც ვინმეს ბიძაშვილი უნდა ვიყო?

– თქვენ მერიის დაქვემდებარებაში ხართ?

– კი, სულ თავიდანვე ასე იყო. როგორც კი ორკესტრი დაიბადა, იყო მერიის დაქვემდებარებაში და დღემდე ასეა.

– მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაქვთ?

– ჩვენ ვარდების ბაღში ვართ, ადრე რომ გორკის პარკს ეძახდნენ. აქ აგვიშენეს მერიასთან შეთანხმებით ღია კინოთეატრი და ამფითეატრის ქვეშ გვაქვს 300 კვადრატული მეტრი სარეპეტიციო დარბაზი, რომელიც ჯერ ვერ გავარემონტეთ. არ გვაქვს თანხები, რომ გავარემონტოთ და შიგ შევიდეთ. აქ სცენაზე სარეპეტიციო დარბაზი გვაქვს და იქ ვმუშაობთ, ნორმალურად ვართ, მაგრამ ალბათ გასარემონტებელ ფართსაც მოგვიწესრიგებენ.

– თქვენი შვილი, კახა რომ ჯაზშია, ეს თქვენი ბრალია?

– აბა, ვისი ბრალია?! ხომ იცით, შვილს თუ არ გაზრდი, იქნება გაუზრდელი. კახა მეცხრე კლასში იყო, როცა ჩემს ყველა ჯაზფესტივალზე მუშაც ეგ იყო და ყველაფერი. კახას ბავშვობიდან ჯაზი ესმის. სხვათა შორის, მთელი ისთერნ პრომოუშენის ბიჭები ჩემთან იყვნენ და ახლა ძალიან მაგარ რამეებს აკეთებენ. ნებისმიერმა მთავრობამ ნებისმიერ სიტუაციაში მათ მხარი უნდა დაუჭიროს, იმიტომ, რომ აქ მაღალ ესთეტიკაზე, მაღალ დონეზე, საქართველოზეა ლაპარაკი და მსოფლიოს რანგში ჩაწერაზეა ლაპარაკი. ეს ფესტივალი 1978 წელს დავიწყე და ესენი აგრძელებენ. ნახეთ, როგორი ვარსკვლავები ჩამოჰყავთ. დღესაც ლაპარაკობენ, რომ არ შეწყდა და ასე წარმატებულად გრძელდება. ეს ჩვენთვის უდიდესი მონაპოვარია, 16 ჯაზფესტივალს ეხუმრებით თქვენ? ამდენი ფესტივალი პარიზს არ აქვს. ვარშავაში უკვე ვეღარ ქაჩავენ, ჩვენთან კი ასეთი ფესტივალები ტარდება და ეს გმირობის ტოლფასია. ეს დიდი სიყვარულის შედეგია. არ არის აქ ლაპარაკი იმაზე, რომ ვინმემ ფული გააკეთა. ხომ იცით, ქვეყანა და ჯაზი როგორ შენდება? ღარიბი კაცის ჯიბიდან! მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ წინ ვართ ყველანაირად როგორც მორალურად, ასევე შემოქმედებითად და ხარისხითაც, მადლობელი ვართ აქამდე როგორც მოვედით და ახლა უკვე გვჭირდება რაღაც გასაქანი, რომ ისევ წინ წავიდეთ. ეს კონცერტები ჩვენი მხრიდან არის კიდევ ერთი „ჰოპლა, ჩვენ ისევ ვცოცხლობთ!“ საერთოდ, ჭეშმარიტი ხელოვნება ყოველთვის უსწრებს დროს. დროთა განმავლობაში ყველაფერი ჩამოირეცხება-გადაირეცხება და ახლაც ხომ ხედავთ, როგორ დარჩა ეს ყველაფერი. ნახეთ, როგორი სიტუაციაა გარშემო? ჩვენ კი ვართ და სულ ვიქნებით. ბიგ ბენდი იყო, არის და იქნება! ეს მარადიული ხელოვნებაა. ხომ არ შეიძლება გერშვინი, ჩაიკოვსკი, ფალიაშვილი, კვერნაძე დავიწყებას მიეცეს? ასეა ჩვენი საქმიანობაც. განა ქართული „ხმების ვარსკვლავი“ ჩვენს ორკესტრთან ერთად არ ჩაიდო ფილარმონიის წინ? ისე, რომ ჩვენ მსოფლიოს კლასიკურ ნაწარმოებებთან ერთად არც ქართველ შემსრულებლებს და ფოლკლორს ვივიწყებთ, კვერნაძის საღამო ჩავატარეთ, ბზვანელის საღამო ჩავატარეთ, მაცაცო სებისკვერაძის საღამო ჩავატარეთ, ამ ორკესტრის ბაზაზე ხდებოდა ყველაფერი.

– 16 წლიანი არსებობის განმავლობაში რამდენი ნაწარმოები დააგროვეთ რეპერტუარში?

– ჩვენს ბაზაში 250-მდე ნაწარმოებია და მსგავსი რამ დიდ ამერიკულ ორკესტრებს არ აქვთ. როდესაც ქვეყანას ჰყავს ასეთი ორკესტრი, ეს მისი მაღალი კულტურის მაჩვენებელია. ჩვენს მაგალითზე შეუქმნიათ ბიგ ბენდი უკრაინაში, კერძოდ კიევში. ახლა შექმნეს, დაგვირეკეს და გვითხრეს, თქვენ რომ არ ჩამოსულიყავით, უკრაინას ორკესტრი არასოდეს ეყოლებოდაო. ჩვენს ხარისხს რომ მიაღწიონ, მათ კიდევ ბევრი წელი დასჭირდებათ, მაგრამ აუცილებლად გამოუვათ. გვეხვეწებიან, ჩამოდით და კონცერტები ჩაატარეთო. ასეა, ჩემო კარგებო, ჯაზი უკვდავია!

მთავარი ხაზი მანჩესტერში და ლევერკუზენშია

ინგლისი

02.02 ქპრ-ნორვიჩი	1.95	3.5	3.6
02.02 რედინგი-სანდერლენდი	2.37	3.3	2.8
02.02 არსენალი-სტოკი	1.44	4.2	6.5
02.02 ვესტ ჰემი-სუონსი	2.4	3.2	3.0
02.02 ნიუკასლი-ჩელსი	4.33	3.6	1.75
02.02 უიგანი-საუთჰემპტონი	2.0	3.5	3.4
02.02 ევერტონი-ასტონ ვილა	1.4	4.5	7.0
02.02 ფულემი-მანჩესტერი	5.5	3.8	1.57
03.02 ვესტ ბრომვიჩი-ტოტემჰემი	3.25	3.4	2.1
03.02 სიტი-ლივერპული	1.83	3.75	3.75

ქპრ-ნორვიჩი

ქპრ: *ტრავმ*-შონ რაით-ფილიპსი, ჯუნიორ ჰოილეტი, ჟოზე ბოსინგვა, ენდრიუ ჯონსონი

ნორვიჩი: *ტრავმ*-სტივ მორისონი, ჯონ რუდი

რედინგი-სანდერლენდი

რედინგი: *ტრავმ*-ნოელ ჰანტი, ჯეისონ რობერტსი, ალექს მაკკარტნი

სანდერლენდი: *ტრავმ*-ლი კატერმოლი, კარლოს კუელარი, დანი როუზი

არსენალი-სტოკი

არსენალი: *ტრავმ*-მიკელ არტეტა, ლუკაშ ფაბიანსკი

სტოკი: *ტრავმ*-რორი დელაპი, მარკ ვილსონი

ვესტ ჰემი-სუონსი

ვესტ ჰემი: *ტრავმ*-უინსტონ რიდი, ჯეიმს კოლინზი, ჯორჯ მაკკარტნი, ენდი კეროლი

სუონსი: *ტრავმ*-მიშელ ვორმი, კემი აუგუსტინი, ნეილ ტეილორი

ნიუკასლი-ჩელსი

ნიუკასლი: *ტრავმ*-სილვიან მარვო, დენი სიმპსონი, ჰატემ ბენ არფა, რაიან ტეილორი

ჩელსი: *ტრავმ*-დავიდ ლუისი, პეტერ ჩეხი, ორიოლ რომეუ

უიგანი-საუთჰემპტონი

უიგანი: *ტრავმ*-ემერსომ ბოიე, ივან რამისი, ანტოლინ ალკარაზი, ბენ უოტსონი

საუთჰემპტონი: *ტრავმ*-გული დო პრადო, ხოსე ფონტე, ადამ ლალანა

ევერტონი-ასტონ ვილა

ევერტონი: *ტრავმ*-კევინ მირალასი, სიმუს კულემანი, დარონ გიბსონი, ტონი ჰიბერტი

ასტონ ვილა: *ტრავმ*-ფაბიან დელპი, მარკ ოლბრაიტონი, კრის ჰერდი

ფულემი-მანჩესტერი

ფულემი: *ტრავმ*-ქარიმ ფრეი, მაჰამადუ დიარა

მანჩესტერი: *ტრავმ*-ეშლი იანგი, დარენ ფლეტჩერი

ვესტ ბრომვიჩი-ტოტემჰემი

ვესტ ბრომვიჩი: *ტრავმ*-ზოლტან გერა

ტოტემჰემი: *ტრავმ*-ტომ ჰადლისტოუნი, სანდრო, იუნის ქაბული

სიტი-ლივერპული

სიტი: *ტრავმ*-ვინსენტ კომპანი, მიკა რიჩარდსი, მაიკონი

ლივერპული: *ტრავმ*-მარტინ კელი

სატურნირო ცხრილი:

1.მანჩესტერი	24	19	2	3	59:31	59
2.სიტი	24	15	7	2	45:19	52
3.ჩელსი	24	13	7	4	49:24	46
4.ტოტენჰემი	24	12	6	6	41:29	42
5.ევერტონი	24	10	11	3	37:27	41
6.არსენალი	24	10	8	6	48:29	38
7.ლივერპული	24	9	8	7	42:30	35
8.სუონსი	24	8	10	6	34:27	34
9.ვესტ ბრომვიჩი	24	10	4	10	34:34	34
10.სტოკი	24	6	12	6	24:29	30
11.სანდერლენდი	24	7	8	9	27:31	29
12.ფულემი	24	7	7	10	36:41	28
13.ვესტ ჰემი	24	7	6	11	27:36	27
14.ნორვიჩი	24	6	9	9	25:40	27
15.ნიუკასლი	24	6	6	12	30:42	24
16.საუთჰემპტონი	24	5	8	11	31:42	23
17.რედინგი	24	4	8	12	30:45	20
18.ასტონ ვილა	24	4	8	12	20:46	20
19.უიგანი	24	5	5	14	27:45	20
20.ქპრ	24	2	10	12	18:37	16

ესპანეთი

02.02 ოსასუნა-სელტა	2.1	3.2	3.6
02.02 ხეტაფე-დეპორტივო	1.95	3.4	4.0
02.02 ესპანიოლი-ლევანტე	2.05	3.4	3.5
02.02 გრანადა-რეალი	9.0	5.0	1.33
03.02 მალაგა-სარაგოსა	1.53	4.0	6.0
03.02 სევილია-რაიო	1.5	4.33	6.5
03.02 ვალენსია-ბარსელონა	7.0	4.33	1.44
03.02 ატლეტიკო-ბეტისი	1.4	4.5	7.5
03.02 სოსიედადი-მალიორკა	1.75	3.5	4.75

ოსასუნა-სელტა

ოსასუნა: *ტრავმ*-დავიდ ტიმორი, ანტონი ანანი, სისი

სელტა: *ტრავმ*-ჰუგო მალო, ანდრეს ტუნეცი, სამუელ ლორკა

ხეტაფე-დეპორტივო

ხეტაფე: *ტრავმ*-ხავი ტორესი, ლაფიტა, მანე, აბდელაზიზ ბარადა, მეჰდი ლაკენი, პედრო ლეონი

დეპორტივო: *ტრავმ*-კარლოს მარჩენა, აბელ აგილარი, ლაურე

ესპანიოლი-ლევანტე

ესპანიოლი: *ტრავმ*-კრისტიან სტუანი, ვიქტორ სანჩესი, ვაკასო მუბარაქი, კრისტიან ალვარესი

ლევანტე: *ტრავმ*-არავინ

გრანადა-რეალი

გრანადა: *ტრავმ*-ბორხა გომესი, დანიელ ბენიტესი, დარვინ მაჩისი, იუსუფ ელ არაბი

რეალი: *ტრავმ*-პეპე

მალაგა-სარაგოსა

მალაგა: *ტრავმ*-ჟულიო ბაპტისტა

სარაგოსა: *ტრავმ*-რომარიკი, ივან ობრადოვიჩი

სევილია-რაიო

სევილია: *ტრავმ*-დიეგო პეროტი, კამპანა, ჟოფრე კონდოგბა, ემირ სპაჰიჩი, ბრაიან რაბელო, პიოტრ ტროხოვსკი

რაიო: *ტრავმ*-ლეო, მიკელ ლაბაკა

ვალენსია-ბარსელონა

ვალენსია: *ტრავმ*-დავიდ ალბელდა, დანიელ პარეხო, სერხიო კანალესი, ჟერემი მეტიუ

ბარსელონა: *ტრავმ*-დავიდ ვილია

ატლეტიკო-ბეტისი

ატლეტიკო: *ტრავმ*-ფრანსისკო ხუანფრანი, ფელიპე ლუისი

ბეტისი: *ტრავმ*-პოზუელო, ხუან კარლოსი, ალექს მარტინესი

სოსიედადი-მალიორკა

სოსიედადი: *ტრავმ*-მიკელ გონსალესი, დავიდ ზურუტუზა

მალიორკა: *ტრავმ*-ხავიერ არიზმენდი, ანტონიო ლოპესი, ჟოაო ვიქტორი

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	21	19	1	1	71:24	58
2.ატლეტიკო	21	15	2	4	42:21	47
3.რეალი	21	13	4	4	54:20	43
4.მალაგა	21	10	5	6	33:19	35
5.ბეტისი	21	11	2	8	31:33	35
6.რაიო	21	11	1	9	30:36	34
7.ვალენსია	21	10	3	8	30:34	33
8.ლევანტე	21	10	3	8	26:30	33
9.სოსიედადი	21	8	6	7	32:28	30
10.ვალიადოლიდი	21	8	4	9	30:27	28
11.სევილია	21	7	5	9	27:29	26
12.ხეტაფე	21	7	5	9	27:33	26
13.ბილბაო	21	7	4	10	27:39	25
14.სარაგოსა	21	7	2	12	20:30	23
15.ესპანიოლი	21	5	7	9	23:32	22
16.სელტა	21	5	5	11	21:26	20
17.გრანადა	21	5	5	11	18:32	20
18.ოსასუნა	21	4	6	11	17:26	18
19.მალიორკა	21	4	5	12	22:39	17
20.დეპორტივო	21	3	7	11	26:45	16

იტალია

02.02 ტორინო-სამპდორია	2.15	3.25	3.4
02.02 ნაპოლი-კატანია	1.44	4.33	7.0
03.02 კიევო-იუვენტუსი	6.0	3.75	1.57
03.02 პესკარა-ბოლონია	2.87	3.2	2.5
03.02 სიენა-ინტერი	3.75	3.3	2.0
03.02 პალერმო-ატალანტა	2.25	3.2	3.3
03.02 ჯენოა-ლაციო	2.9	3.2	2.45
03.02 ფიორენტინა-პარმა	1.73	3.5	5.0
03.02 მილანი-უდინეზე	1.57	3.75	6.0

ტორინო-სამპდორია

ტორინო: *ტრავმ*-აბუ დიოპი, ანჯელო ოგბონა

სამპდორია: *ტრავმ*-რენანი, ენცო მარესკა, მაქსი ლოპესი

ნაპოლი-კატანია

ნაპოლი: *ტრავმ*-ხუან ზუნიგა

კატანია: *ტრავმ*-სერხიო ალმიროონი, ფაბიო სკიაცა

კიევო-იუვენტუსი

კიევო: *ტრავმ*-ლუჩიანო, ლუკა რიგონი, სტეფანო სორენტინო, რობერტო გუანა, პერპარიმ ჰატემაი, მამადუ სამასა, ბაქარი დრამე, ნიკოლას ფრეი

იუვენტუსი: *ტრავმ*-ფაბიო კვალიარელა, ანდრეა პირლო, არტურო ვიდალი, კლაუდიო მარკიზიო, კვადვო ასამოა, ჯორჯო კიელინი, ნიკლას ბენდტნერი, სიმონე პეპე

პესკარა-ბოლონია

პესკარა: *ტრავმ*-კრისტიან ტერლიცი, ხუან კინტერო, უროს კოსიჩი

ბოლონია: *ტრავმ*-რობერტ აკვაფრესკა, საფირ ტაიდერი, ფილიპო ლომბარდი, ჰენრი ხიმენესი, ჩეზარე ნატალი

სიენა-ინტერი

სიენა: *ტრავმ*-არავინ

ინტერი: *ტრავმ*-ანტონიო კასანო, დიეგო მილიტო, ვალტერ სამუელი, რიკარდო ალვარესი, ლუკა კასტელაცი, კოურინიუ, დეაინ სტანკოვიჩი

პალერმო-ატალანტა

პალერმო: *ტრავმ*-ფრანკო ბიენზა, ედგარ ბერეტო, ანდრეა მანტოვანი, აბელ ერნანდესი

ატალანტა: *ტრავმ*-ეზეკიელ შელოტო, ჯანპაოლო ბელინი, სტეფანო ლუჩინი, გვიდო მარილუნგო

ჯენოა-ლაციო

ჯენოა: *ტრავმ*-ხუან ვარგასი, ბოშკო იანკოვიჩი, დამიანო ფერონეტი

ლაციო: *ტრავმ*-ალვარო გონსალესი, მიროსლავ კლოზე, აბდულაი კონკო, ედერსონი

ფიორენტინა-პარმა

ფიორენტინა: *ტრავმ*-მატიას ფერნანდესი, მატია კასანი, დავიდ პიზარო

პარმა: *ტრავმ*-დანიელე გალოპა

მილანი-უდინეზე

მილანი: *ტრავმ*-მასიმო ამბროზინი, სალი მუნტარი, მარიო იეპესი, ჯამელ მესბა, ნაიჯელ დე იონგი

უდინეზე: *ტრავმ*-ანტონიო დი ნატალე, ჟელკო ბრკიჩი, მეჰდი ბეთანია

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	22	15	4	3	46:15	49
2.ნაპოლი	22	14	4	4	43:20	46
3.ლაციო	22	13	4	5	32:22	43
4.ინტერი	22	12	4	6	35:25	40
5.მილანი	22	11	4	7	39:28	37
6.ფიორენტინა	22	10	6	6	39:27	36
7.კატანია	22	10	5	7	31:28	35
8.რომა	22	10	4	8	47:38	34
9.უდინეზე	22	8	9	5	33:31	33
10.პარმა	22	8	7	7	30:29	31
11.კიევო	22	8	4	10	23:34	28
12.ტორინო	22	6	10	6	27:26	27
13.სამპდორია	22	7	4	11	28:29	24
14.ატალანტა	22	7	4	11	19:32	23
15.ბოლონია	22	6	4	12	29:31	22
16.კალიარი	22	5	6	11	21:38	21
17.პესკარა	22	6	2	14	17:45	20
18.ჯენოა	22	4	6	12	22:35	18
19.პალერმო	22	3	8	11	19:35	16
20.სიენა	22	5	5	12	20:32	14

შენიშვნა:

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა

ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა

ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა

სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

გერმანია

02.02 ვოლფსბურგი-აუგსბურგი	1.75	3.5	4.75
02.02 ჰოფენჰამი-ფრაიბურგი	2.45	3.3	2.8
02.02 ფორტუნა-შტუტგარტი	3.1	3.3	2.3
02.02 მაინცი-ბაიერნი	7.5	4.5	1.4
02.02 შალკე-ფიურტი	1.33	5.0	9.0
02.02 ჰამბურგი-აინტრახტი	2.25	3.4	3.1
03.02 ნიურნბერგი-გლადბახი	2.4	3.3	2.9
03.02 ლევერკუზენი-დორტმუნდი	3.2	3.4	2.2

ვოლფსბურგი-აუგსბურგი

ვოლფსბურგი: *ტრავმ*-ფერჰან ჰასანი, სრდან ლაკიჩი, იოჰანდრი ოროზკო

აუგსბურგი: *ტრავმ*-არისტიდ ბანცე, მილან პეტრუელა, ანდრეას ოტი, სებასტიან ლანგკამპი

ჰოფენჰამი-ფრაიბურგი

ჰოფენჰამი: *ტრავმ*-სებასტიან რუდი, შტეფან შროკი, ბორის ვუკჩევიჩი

ფრაიბურგი: *ტრავმ*-ივან სანტინი, სედრიკ მაკაიდი, ანტონ პუტსილა, სებასტიენ ფრეი, მარკო ტერლიცი, მატიას გინტერი

ფორტუნა-შტუტგარტი

ფორტუნა: *ტრავმ*-ნანდო რაფაელი, რონი გარბუჩევსკი, ჩა დუ რი, ანდრეი ვორონინი, იენს ლანგენეკე

შტუტგარტი: *ტრავმ*-არტურ ბოკა, ტიმ ჰოოგლანდი, თუნაი თორუნი, ვილიამ კვისტი, მამადუ ბა, კაკაუ

მაინცი-ბაიერნი

მაინცი: *ტრავმ*-ელკინ სოტო, ლორის კარიუსი, ნიკო ბუნგერტი, მაქსიმ ჩუპო-მოტინგი

ბაიერნი: *ტრავმ*-ჰოლგერ ბადშტურბერი

შალკე-ფიურტი

შალკე: *ტრავმ*-კრისტოფ მორიტცი, იბრაჰიმ აფელაი, კირიაკოს პაპადოპულოსი

ფიურტი: *ტრავმ*-ედგარ პრიბი, მიხაელ ჰეფელე, ჰაინრიხ შმიტგალი, სებასტიან ტირალა

ჰამბურგი-აინტრახტი

ჰამბურგი: *ტრავმ*-პეტრ იირაჩეკი

აინტრახტი: *ტრავმ*-ბენჯამინ კოლერი, ანდერსონი

ნიურნბერგი-გლადბახი

ნიურნბერგი: *ტრავმ*-მარკოს ანტონიო

გლადბახი: *ტრავმ*-ალექსანდერ რინგი

ლევერკუზენი-დორტმუნდი

ლევერკუზენი: *ტრავმ*-ქარიმ ბელარაბი, მიხაელ კადლეცი

დორტმუნდი: *ტრავმ*-ნევენ სუბოტიჩი

სატუნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	19	15	3	1	48:7	48
2.ლევერკუზენი	19	11	4	4	36:23	37
3.დორტმუნდი	19	10	6	3	43:20	36
4.აინტრახტი	19	10	3	6	36:31	33
5.მაინცი	19	9	3	7	27:21	30
6.შალკე	19	8	5	6	32:29	29
7.გლადბახი	19	7	8	4	27:27	29
8.ფრაიბურგი	19	7	7	5	24:18	28
9.ჰამბურგი	19	8	4	7	22:24	28
10.ჰანოვერი	19	8	2	9	38:37	26
11.შტუტგარტი	19	7	4	8	21:32	25
12.ვერდერი	19	6	4	9	30:37	22
13.ვოლფსბურგი	19	6	4	9	20:29	22
14.ფორტუნა	19	5	6	8	23:27	21
15.ნიურნბერგი	19	5	6	8	18:26	21
16.აუგსბურგი	19	2	7	10	15:31	13
17.ჰოფენჰაიმი	19	3	4	12	24:43	13
18.ფიურტი	19	1	6	12	11:33	9

საფრანგეთი

02.02 ლორიანი-რენი	2.5	3.1	2.9
02.02 სოშო-სენტ ეტიენი	3.5	3.2	2.15
02.02 ბორდო-ვალანსიენი	1.75	3.4	5.0
02.02 ბასტია-ევიანი	2.6	3.2	2.8
02.02 ბრესტი-ნიცა	3.25	3.2	2.25
02.02 ლილი-ტრუა	1.4	4.33	8.5
03.02 აიაჩო-ლიონი	3.75	3.3	2.0
03.02 მონპელიე-რეიმსი	1.5	3.75	7.5
03.02 მარსელი-ნანსი	1.44	4.0	8.0

ლორიანი-რენი

ლორიანი: *ტრავმ*-ალაიქის რომაო, ბენჯამინ კორნე, ალაინ ტრაორე, არნო ლე ლანი

რენი: *ტრავმ*-ონეოკაჩი აპამი, ჯონათან პიტროიპა, ჯონ ბოიე, ვიქტორ მონტანო

სოშო-სენტ ეტიენი

სოშო: *ტრავმ*-კალილუ ტრაორე, პიერიკ კროსი, ტიერი დუბაი

სენტ ეტიენი: *ტრავმ*-რომაინ ჰამუმა, მაქს გრადელი, დანიელ ალეკსიჩი, ალეხანდრო ალონსო, ისმაელ დიომანდე

ბორდო-ვალანსიენი

ბორდო: *ტრავმ*-მარკ პლანუსი, ნიკოლას მორის-ბელაი, ჯუსიე, აბდუ ტრაორე

ვალანსიენი: *ტრავმ*-კარლოს სანჩესი, გრეგოლი პუიოლი, გაელ დანიჩი

ბასტია-ევიანი

ბასტია: *ტრავმ*-ჟერომ როტენი, სამბი იატაბარე, იანიკ კარუზაკი, ვაჰბი ჰაზრი

ევიანი: *ტრავმ*-საბერ ჰელიფა, მოჰამედ რაბუი, ჯაკარიდა კონე, ბრაის ჯია ჯეჯეი, ჯონათან მენსა, ალი მადი

ბრესტი-ნიცა

ბრესტი: *ტრავმ*-ბენუა ლესომერი, ისმაილ ტრაორე, ოსმან კულიბალი, აჰმედ კანტარი, ჯონათან აიიტე, ქამელ ჩაფნი, პოლ ბაისე, ადამა ბა

ნიცა: *ტრავმ*-ლოიდ პალუნი, მაჰამანე ტრაორე, ფაბიენ დაო კასტელანა, დიაჩკო ფოფანა

ლილი-ტრუა

ლილი: *ტრავმ*-რაიან მენდესი, სალომონ კალუ, ტულიო დე მელო

ტრუა: *ტრავმ*-მოჰამედ იატარა, სებასტიენ გრო

აიაჩო-ლიონი

აიაჩო: *ტრავმ*-ფუსენი დიავარა, კარლ მეჯანი, სიგამარი დიავარა, მეჰდი მოსტეფა, რიკარდო ფატი, დავიდ ობერჰაუზერი

ლიონი: *ტრავმ*-ჯიმი ბრიანდი

მონპელიე-რეიმსი

მონპელიე: *ტრავმ*-მარკო ესტრადა, იუნის ბელანდა, ბენჯამინ სტამბული, ჯამელ საიჰი, იორის მავრო, გარი ბოკალი, ქარიმ აიტ ფანა

რეიმსი: *ტრავმ*-ფლოიდ აიიტე, კოსი აგასა, გაეტან კურტე

მარსელი-ნანსი

მარსელი: *ტრავმ*-ჩარლზ კაბორი

ნანსი: *ტრავმ*-არავინ

სატენირო ცხრილი:

1.პსჟ	22	13	6	3	38:12	45
2.ლიონი	22	13	6	3	37:18	45
3.მარსელი	22	13	3	6	30:27	42
4.რენი	22	11	3	8	33:28	36
5.ბორდო	22	8	11	3	24:15	35
6.ნიცა	22	9	8	5	33:27	35
7.სენტ ეტიენი	22	9	7	6	30:16	34
8.ლორიანი	22	9	7	6	36:35	34
9.მონპელიე	22	9	5	8	35:27	32
10.ტულუზა	22	8	7	7	30:24	31
11.ლილი	22	7	9	6	25:23	30
12.ვალანსიენი	22	8	6	8	32:32	30
13.ბასტია	22	7	4	11	28:47	25
14.ბრესტი	22	7	3	12	23:31	24
15.სოშო	22	6	4	12	21:32	22
16.აიაჩო	22	5	9	8	23:31	22
17.ევიანი	22	5	6	11	21:35	21
18.რეიმსი	22	4	8	10	18:24	20
19.ტრუა	22	3	7	12	25:43	16
20.ნანსი	22	2	9	11	20:38	15

შენიშვნა:

აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა

ჯანო მხოლოდ ერთია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სანტიმეტრია (4 სანტიმეტრით ნაკლები, ვიდრე ანანიძე), წონა კი იგივე – 60 კილოგრამი. შარშან ჯოვინკომ „პარმას“ შემადგენლობაში 15 გოლი გაიტანა, 11 საგოლე პასი გააკეთა და „იუვენტუსში“ 11 მილიონ ევროდ გაყიდეს.

ამ ცეროდენას შესახებ პირველად რომ გავიგე, გავიფიქრე: როგორ არ გადათელეს სერია ა-ს ხისტმა „ტყისმჭრელებმა“? მაგრამ, საქმეში რომ ვნახე, კითხვები აღარ გამჩენია.

ჯერ შეეცადე და ჯოვინკოს დაეწიე. მას ყველაფერი წესრიგში აქვს როგორც სისწრაფის, ასევე დრიბლინგის მხრივ. მეტოქეს ბურთსაც კარგად ართმევს და პასიც დროული აქვს. ამასთან, მეტოქეთა ფეხებში ვარდნებს თავს დროულად არიდებს, თან გამძლეა. აი, ნამდვილი „ატომური ჭიანჭველა“ და საუცხოო მისაბაძი მაგალითი, განსაკუთრებით ისეთი ბიჭებისთვის, როგორიც ჯანოა.

ორი წლის წინ რევაზ ჩელებაძეს ვესაუბრე, რომელიც ჯანოზე ისე ლაპარაკობდა, როგორც საკუთარ შვილზე:

– დიდი ქალაქი შენს თვისებებს ამრავლებს – ცუდი კაცი თუ ჩადიხარ, ბოლო ნაძირალა ხდები. თუ კარგი ბიჭი ხარ – უკეთესი ხდები. ჯანო საოცარი ბიჭია, რომელიც მოსკოვში მხოლოდ დადებითისკენ შეიცვალა. საქართველო ღარიბად ცხოვრობს. მას ბევრი მეგობარი ჰყავს, რომელთა შორის ისეთს ვერ იპოვი, რომ არ დახმარებოდეს. ვიღაცას დაბადების დღე აქვს, ვიღაცას შეყვარებული ჰყავს, მაგრამ საჩუქრისთვის ფული არ აქვს. ის უარს არავის ეუბნება. კეთილშობილი, კარგად აღზრდილი ბიჭია. ეს მე და ამირანმა ვასწავლეთ – ვარჯიშებზე უფროსებს მოუსმინოს, ადგილი დაუთმოს.

ჩვენ ვსაუბრობდით ბინაში, რომელსაც „სპარტაკი“ ანანიძისთვის ქირაობს. ჯანოს მამა, ამირანი, გვერდით იჯდა, ბევრს ეწეოდა და ლაპარაკში, ფაქტობრივად, არ ერეოდა. არ ვიცოდი, რომ ის სერიოზულად ავად იყო. თურქეთში მკურნალობამ და ოპერაციამ შედეგი არ გამოიღო. 2012 წლის ნოემბერში უფროსი ანანიძე გარდაიცვალა, როცა 48 წლის იყო.

იმ მომენტისთვის ჯანომ მამის რჩევით მენეჯერი შეიცვალა. ჩელებაძემ განშორება რთულად გადაიტანა. ჩანს, ჭრილობა არც დრომ შეახორცა. როდესაც მისი ტელეფონის ნომერი ავკრიფე, რომ „სპარტაკში“ ანანიძის პერსპექტივის შესახებ მესაუბრა, ტელეფონის ყურმილში შემდეგი გავიგე: – ძვირფასო, მოდი, უკეთესია, სოლომონ კვერკველიაზე მოგიყვები. მაღალი კლასის მცველი იზრდება. ჯანოს კი, ყველა იმ გამოცდის შემდეგ, რაც გადაიტანა, უბრალოდ, წარმატებას ვუსურვებ. დაე, ბედნიერი იყოს. სხვათა შორის, ქობულეთში, ჩემს კლუბში, სადაც პრეზიდენტი ვარ, ახლა მისი უმცროსი ძმა თამაშობს.

– ისეთივე ნიჭიერია, როგორც ჯანო? – დავინტერესდი.

– რას ამბობ! ჯანო მხოლოდ ერთია.

ბატონმა რეზომ ამოიხვნეშა და ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

რა თქმა უნდა, 20 წელი ფეხბურთელისთვის ასაკი არ არის. თუმცა, რატომღაც მეჩვენება, რომ ეს წელი ანანიძისთვის განმსაზღვრელი გახდება. თუ „სპარტაკის“ სასტარტოში ადგილის მოპოვებას ვერ მოახერხებს, დუბლშემადგენლობასა და სასტარტოს შორის სიარულს აზრი არ აქვს. ამ შემთხვევაში უკეთესია, ძალა სხვა კლუბში მოსინჯოს, თუნდაც იჯარით. შესაძლოა, მაშინ, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილი ჯანო ვიხილოთ.

ყაზბეგში ჰესების მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო

ყაზბეგის რაიონში მიმდინარე და დაგეგმილი ჰესების მშენებლობის შესაჩერებლად ელექტრონული ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. პეტიციას ამ დროისთვის ხელს 324 ადამიანი აწერს. მიმართვაში, რომელიც პრემიერ მინისტრის, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის, გარემოს დაცვის მინისტრის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელზე მომზადდა, ნათქვამია, რომ ჰესების მშენებლობა კანონდარღვევით და მოსახლეობის აზრის გათვალისწინების გარეშე დაიწყო. გარდა ამისა, მიმდინარე და დაგეგმილი ჰესების მშენებლობა ყაზბეგის უნიკალურ ბუნებას საფრთხეს უქმნის, ამიტომ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა უნდა შეჩერდეს.

„ყაზბეგის რაიონში, დარიალის ხეობაში 2011 წლიდან ორი ჰიდროელექტროსადგურის – „დარიალი ჰესის“ და „ლარსი ჰესის“ მშენებლობა მიმდინარეობს. ჰესების მშენებლობა კანონის დარღვევით დაიწყო და საზოგადოების, მათ შორის, ადგილობრივი მოსახლეობის აზრი არ იქნა გათვალისწინებული. საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმდინარე წლის იანვრის ბოლოს, ყაზბეგის რაიონში, ხდის ხეობაში „ყაზბეგის ჰესის“ მშენებლობის დაწყება იგეგმება. ხდის ხეობა უნიკალურია და იგი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში იყო გამოცხადებული ბუნების ძეგლად. მიგვაჩნია, რომ მის თუნდაც ნაწილზე, მსგავსი პროექტის განხორციელება გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს მთელ ხეობას. გარდა ზემოთ ნახსენები სამი ჰესისა, ყაზბეგის რაიონში კიდევ შვიდი ახალი ჰესის აშენება დაიგეგმა. ბოლო დროს ცნობილი გახდა, რომ მალტაში რეგისტრირებულმა კომპანიამ რომელთანაც 2012 წლის 25 იანვარს საქართველოს მთავრობამ დადო მემორანდუმი, ამ შვიდი ჰესის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლისა და მშენებლობის შესახებ, უარი განაცხადა ექვსი მათგანის გაგრძელებაზე. მიუხედავად ამისა, მთავრობას არ უთქვამს უარი ამ პროექტებზე, რაც ნიშნავს, რომ სხვა ინვესტორის გამოჩენის შემთხვევაში, ისინი ისევ აქტუალური გახდება. დაგეგმილი და მშენებარე ჰესები დერივაციული ტიპისაა, რაც მდინარის უდიდესი ნაწილის კალაპოტიდან მილებსა და გვირაბებში გადაგდებას გულისხმობს, ეს კი, გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ყაზბეგის რაიონის ბუნებას. ეს პროცესი შეამცირებს ჩამოსული ტურისტების რაოდენობას, რაც დღეს შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ადგილობრივებისთვის. პროექტების განხორციელება აბსოლუტურად შეცვლის ყაზბეგის რაიონის ლანდშაფტს, რის გამოც ის დაკარგავს ისტორიულად ჩამოყალიბებულ კულტურულ და ეთნოგრაფიულ ფასეულობას.

მივმართავთ საქართველოს მთავრობას, პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს, გარემოს დაცვის, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრებს და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობას, რომ შეჩერდეს ყაზბეგის რაიონში მშენებარე და დაგეგმილი ჰესების პროექტები, სანამ არ მოხდება საზოგადოებისთვის იმის დასაბუთება, თუ რა საჭიროებას წარმოადგენს ამ ჰესების აშენება, რამდენად მიზანშეწონილია ყაზბეგის რაიონში ათი ჰესის აშენება და რა ზიანს მიაყენებს ყოველივე ეს რაიონის ბუნებას და მოსახლეობას.

იმედი გვაქვს, რომ საქართველოს ახალი მთავრობა დროულად და ობიექტურად შეაფასებს ყაზბეგის რაიონში მშენებარე და დაგეგმილი ჰესების საკითხს და მიიღებს სწორ და დასაბუთებულ გადაწყვეტილებას საზოგადოების მონაწილეობითა და აზრის გათვალისწინებით, როგორც ეს მოთხოვნილია ორჰუსის კონვენციით,“ – აღნიშნულია მიმართვაში.

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი

სომხეთის პრეზიდენტობის კანდიდატი დაჭრეს



გასულ ღამეს ერევანში, სომხეთის პრეზიდენტობის კანდიდატ პარეირ აირიკიანზე თავდასხმა მოხდა. როგორც სომხური მედია ქვეყნის პოლიციის პრესსამსახურზე დაყრდნობით იუწყება, პრეზიდენტობის კანდიდატი ცეცხლსასროლი იარაღით მხარში დაჭრეს. შემთხვევა ადგილობრივი დროით, 23:30 საათზე, ერევნის ცენტრში, აირიკიანის მშობლების სახლთან მოხდა.

ინციდენტის შემდეგ, აირიკიანი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც იგი ერევნის პოლიციის უფროსმა, ნერსეს ნაზარიანმა მოინახულა. აირიკიანს ოპერაცია წარმატებით ჩაუტარდა და ამ დროისათვის მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. გამოძიებას სომხეთის ნაციონალური უსაფრთხოების სამსახური აწარმოებს.

მოგვიანებით აირიკიანის მოსანახულებლად საავადმყოფოში მმართველი „რესპუბლიკური პარტიის“ პრესმდივანი, ედუარდ შარმაზანოვი მივიდა. საავადმყოფოდან გამოსვლისას შარმაზანოვმა განაცხადა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატის ჯანმრთელობა სტაბილურია და იგი მშვიდად საუბრობდა. პრესმდივნის თქმით, პარეირ აირიკიანმა როგორც მოუყვა, იგი თავისი მანქანიდან გადმოდიოდა, როდესაც უცნობმა პირმა 30-40 სმ-ის დაშორებიდან ესროლა. კანდიდატის თქმით, მან მსროლელი დაინახა, თუმცა არ ახსოვს. მისი თქმით, მან სროლის ხმა ორჯერ გაიგო, თუმცა მხოლოდ ერთი ტყვია მოხვდა.

სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარის ოვიკ აბრამიანის განცხადებით, არ არის გამორიცხული, რომ მომხდარის გამო ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნების ვადამ გადაიწიოს. მისივე განცხადებით, საარჩევნო კამპანიის მონაწილეზე თავდასხმა სომხეთის სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია.

სომხეთის კანონმდებლობის მიხედვით, პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატისთვის შექმნილი გადაულახავი წინააღმდეგობის შემთხვევაში, რესპუბლიკის არჩევნები ორი კვირის ვადით უნდა გადაიდოს. თუ ამ პერიოდის განმავლობაში, დაბრკოლებას გადაულახავად ცნობენ, ინიშნება ახალი არჩევნები, ხმის მიცემის პროცედურა კი, აღნიშნული ორკვირიანი ვადის გასვლიდან მეორმოცე დღეს ინიშნება.

პარეირ აირიკიანი მანამდეც მონაწილეობდა საპრეზიდენტო არჩევნებში. 2003 წელს მან ხმათა 1%-ზე ნაკლები მიიღო.

„პირადი განცხადებები“ გუბერნატორ ბარნოვის უწყებაშიც გამოჩნდა

შიდა ქართლის რწმუნებულ-გუბერნატორის აპარატის სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ზურაბ რევაზიშვილმა სამსახურიდან წასვლის შესახებ პირადი განცხადება დაწერა. ამის შესახებ მან შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა. მისი თქმით, პირადი განცხადების საფუძველი ოჯახური მდგომარეობა გახდა. ,,ოჯახი თბილისში მყავს, მე კიდევ გორში მუშაობა მიჭირს. მხოლოდ ესაა მიზეზი“ – ამბობს ზურაბ რევაზიშვილი.

როგორც შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოში განუცხადეს, გუბერნატორსა და რევაზიშვილს შორის უთანხმოება იმ ფაქტორმა გამოიწვია, რომ რევაზიშვილი კოალიცია ,,ქართული ოცნების“ წევრებთან ურთიერთობაში შეამჩნიეს. ჩვენი ინფორმაციით, ანალოგიურ ბედს ამავე სამსახურის სპეციალისტი სამსონ ქებაძე გაიზიარებს, თუმცა ქებაძე ამბობს, რომ ჯერ-ჯერობით მისი გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია მცდარია.

ანდრო ბარნოვი აცხადებს, რომ ზურაბ რევაზიშვილის პირადი განცხადება ჯერ არ უნახია:

,,მე გავეცნობი ამ წერილს, შევხვდები პიროვნებას და ამის შემდეგ მივიღებ გადაწყვეტილებას. მე აპარატში არანაირ საკადრო ცვლილებებს არ ვგეგმავ. თუ ვინმე კარგად არ მუშაობს, მხოლოდ, ეს გახდება მისი გათავისუფლების მიზეზი“ – განმარტავს ბარნოვი.

ზურაბ რევაზიშვილის ,,პირადი განცხადების“ გამოჩენიდან ორი დღით ადრე გუბერნატორის პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ანდრო ბარნოვი ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში ,,პირადი განცხადებებით“ გათავისუფლებულ საჯარო მოხელეებს შეხვდა.

,,გასული კვირის განმავლობაში ანდრო ბარნოვი რეგიონში მცხოვრებ 100-მდე ადამიანს შეხვდა, რომლებიც აცხადებენ, რომ განცხადებები სამსახურიდან წასვლის შესახებ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ზეწოლით დაწერეს.“ – წერია პრესრელიზში. ამის შემდეგ გუბერნატორი შეფასებას აკეთებს:

„საჯარო სამსახურის პოლიტიზება არაჯანსაღი ტენდენციაა, რაც არ უნდა დავუშვათ და მე ყველანაირად შევეცდები, წინ აღვუდგე მსგავს გამოვლინებებს. საჯარო მოხელეებს, იმის მიუხედავად, თუ საით იხრება მათი პოლიტიკური სიმპათია, უნდა ჰქონდეთ სტაბილურობისა და დაცულობის გრძნობა. ეს ხელს უწყობს საჯარო სამსახურის გრძელვადიან ეფექტიან მუშაობას და, ესეც არ იყოს, ელემენტარული სამართლიანობის საკითხია,“ – განაცხადა ანდრო ბარნოვმა.

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი

სერბეთის პრემიერი: „ეს ყველაფერი დიდი სირცხვილია“

სერბეთის პრემიერ-მინისტრმა ივიცა დაჩიჩმა, რომელიც ეროტიკული სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა, მას შემდეგ, რაც სერბულ ტელეარხ „პინკზე“ გადაცემა „მისია შეუსრულებელიაში“ მიიღო მონაწილეობა, განაცხადა, რომ ამ „ხუმრობის“ ორგანიზატორებმა ის ხაფანგში მოტყუებით გააბეს. პრემიერის თქმით, პროგრამის ავტორებისაგან მსგავს არასერიოზულ ნაბიჯს არ ელოდა. გადაცემაში პრემიერს კითხვებს ჟურნალ „პლეიბოის“ ყოფილი მოდელი უსვამდა, რომელსაც ქვედა საცვალი არ ეცვა.

„მე სრულიად არ ველოდი მსგავს არასერიოზულ მოქცევას. ეს ადამიანურად მივიღე, თუმცა ეს ყველაფერი დიდი სირცხვილია“, - განაცხადა პრემიერმა.

დაჩიჩის თქმით, გადაცემაში მონაწილეობა მას მეგობარმა სთხოვა, რომლის გვარიც არ დაუსახელებია.

შეგახსენებთ, რომ სერბეთის პრემიერი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და გლამურულ ტელეწამყვანს სატელევიზიო შოუში სტუმრობდა, როდესაც უხერხულობისგან ლამის დამუნჯდა. ბალკანეთის პოლიტიკაზე ცხარე დიალოგის დროს ტელეწამყვანმა, რომელსაც მინი-კაბა ეცვა, ფეხი ფეხზე გადაიდო და დაჩიჩს მთელი თავისი „ღირსებები“ დაანახა. პრემიერმა საუბარი შეწყვიტა და უხერხულად გაეღიმა. ვიდეო „იუთუბზე“ ორი დღის წინ განთავსდა და უკვე 2 მილიონზე მეტმა მომხმარებელმა ნახა.

მომხდარმა ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის და პოლიციის სამინისტროს მხრიდან მკვეთრი კრიტიკა გამოიწვია.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხოგის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, ოტიტის, ოსტეოქონდროზის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ღევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

ოთხშაბათი 4 თებერვალი

06.30 დ/ფ „ანატოლიის გარგარი„ 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.30 „მოამბე„ 10.30 „დილის საუბარი„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ადამიანი– პლანეტა„ 17.00 „სპიკერი„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ„სინსლი და ვარდი„ 21.00 ტ/სერ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 „ევერესტი — ორმაგი გასროლა„ 00.00 „საფარი„ 01.00 მხ/ფ „როკინროლა„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 14.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები„ . 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 16.00 დ/ფ„თანამედროვე იარაღი„ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ მე-5 ს 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „ილბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.20 დოკ.ფილმი: ჰოლივუდის წყვილები 1 სერ. 13.00 სერ. „ბაძცევა – 4„ 14.40 სერ. „24 – 4„ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „სულების სახლი„ (ჯ.აირონსი) 01.00 სერ. „ღვინის გზა„ 01.45 მხ/ფ „იტალიური ისტორია„ (ა.ბონი) (ტიტ.) 04.15 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 შერეკილები 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდა 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.20 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.45 მხ/ფ „თვალი პატიოსანი„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „სარფი მოლენა„ I ნაწ. 11.00 საღვთისმეტყველო საუბრები 11.30 დრო და ტრადიციები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „უცხო„ 13.20 კონცერტი-ელისო ბოლქვაძე 14.50, 18.20, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 კონცერტი-ჯუმბერ ჯანდიერი 17.35 აქტუალური თემა 18.10 ტელეზღაპარი 18.25 დებიუტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „უცხო„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.25 დოკ/ფ „სარფი მოლენა„ I ნაწ. 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დრო და ტრადიციები „ქართულ-ებრაული ურთიერთობები„ გად.III 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

სამშაბათი 5 თებერვალი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.20 „მოამბე„ 10.30 „დილის საუბარი„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ძვლების მკვლევარები„ 17.00 „საფარი„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი„ 21.00 ტ/სერ 22.00 „აქცენტები„ 23.30 მხ/ფ „ლუდის ფესტივალი„ 01.40 დ/ფ „ჩირლიდერები„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 14.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები„ . 16.00 დ/ფ „თანამედროვე იარაღი„ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „ილბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.20 დოკ.ფილმი: ჰოლივუდის წყვილები 2 სერ. 13.00 სერ. „ბაძცევა – 4„ 14.40 სერ. „24 – 4„ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „ეხსნელი„ (ნ.კინსკი) 00.15 სერ. „ღვინის გზა„ 01.00 მხ/ფ „საშიში ბავშვები„ (ბ.უილისი) 02.55 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 შერეკილები 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ (ს.2) 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.40 სპექტაკლი „ბნელ ოთახში„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „სარფი მოლენა„ II ნაწ. 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 კონცერტი-გია ყანჩელი 14.50, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დოკ/ფ „პეტრინონი„ 16.45 კვირიაკე 18.05 ტელეზღაპარი 18.15 დეკორატიული ფლორა 18.25 დებიუტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „სხვისი შვილები„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 იეღოველთა სექტის სწავლების შეცდომები 21.30 გზა, რომლითაც ვიარე 22.20 ქართული ალბომი 22.40, 23.15 დოკ/ფ „გამჭოლი მოქმედება„ 23.00 საღამოს ლოცვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ჩემი მსახურის და„

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ოთხშაბათი 6 თებერვალი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00 „მოამბე„ 10.30 „დილის საუბარი„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 17.00 „გურმანია„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი„ 21.00 ტ/სერ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 მხ/ფ „სასიკვდილო იარაღი -2„ (მ.გიბსონი) 01.20 მხ/ფ „დაჯავშნას არ საჭიროებს„ (ტიტ.) (კ.ზეტა-ჯონსი)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „ილბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.20 დოკ.ფილმი: ჰოლივუდის წყვილები 3 სერ. 13.00 სერ. „ბაძცევა – 4„ 14.40 სერ. „24 – 4„ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქ.მხ/ფ „იდიოტოკრატია„ (კ.მიქაშვილი) 00.30 სერ. „ღვინის გზა„ 01.15 მხ/ფ „ყველაფერი დედაჩემის შესახებ„ (მ.პარედესი) 02.55 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 იღბლიანი ბორბალი 17.00 სერ„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ (ს.2) 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.50 მხ/ფ „ლომა„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 შარავანდედი გად. 6 11.00 დოკ/ფ „სარფი მოლენა„ II ნაწ. 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 კონცერტი-გია ყანჩელი 14.50, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დოკ/ფ „პეტრინონი„ 16.45 კვირიაკე 18.05 ტელეზღაპარი 18.15 დეკორატიული ფლორა 18.25 დებიუტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „სხვისი შვილები„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 იეღოველთა სექტის სწავლების შეცდომები 21.30 გზა, რომლითაც ვიარე 22.20 ქართული ალბომი 22.40, 23.15 დოკ/ფ „გამჭოლი მოქმედება„ 23.00 საღამოს ლოცვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ჩემი მსახურის და„

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

ხუთშაბათი 7 თებერვალი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 „მოამბე„ 10.30 „დილის საუბარი„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 17.00 „ჩვენი ფერმა„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი„ 21.00 ტ/სერ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „უდანაშაულობის პრეზუმფცია„ (ჰ.ფორდი) 02.20 დ/სერ „ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 14.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები„ 16.00 დ/ფ „თანამედროვე იარაღი„ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „ილბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.20 დოკ/ფ ჰოლივუდის წყვილები 4 სერ. 13.00 სერ. „ბაძცევა – 4„ 14.40 სერ. „24 – 4„ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „ხმელი„ (კ.ბიბერ) 00.15 სერ. „ღვინის გზა„ 01.15 მხ/ფ „ყველაფერი დედაჩემის შესახებ„ (მ.პარედესი) 02.55 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ 17.00 სერ„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 მხ/ფ „ჩემი მსახურის და„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „გამჭოლი მოქმედება„ 11.20 ჩვენი ტრაპეზი 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „სხვისი შვილები„ 13.20 კონცერტი-პავაროტის გახსენება 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 მხ/ფ „ფატიმა„ 18.10 ტელეზღაპარი 18.20, 23.15 ფოტოგალერეა 18.25 დებიუტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ლომა,დავიწყებული მეგობარი„ 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.20, 23.20 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 23.00 საღამოს ლოცვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ბესამე„

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

პარასკევი 8 თებერვალი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 „მოამბე„ 10.30 „დილის საუბარი„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ეგვიპტიდან„ 17.00 დ/ფილ. 1) „ჩინეთის კულტურული მემკვიდრეობის სამკვიდრო„; 2) „შავი ელფების ისტორია„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი„ 21.00 ტ/სერ 22.00 „აქცენტები„ 23.30 „წითელი ზონა„ 00.30 ქართ. მხ/ფ „ნარინჯის ველი„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „ილბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.20 დოკ/ფ „ჰოლივუდის წყვილები„ 5 სერ. 13.00 სერ. „ბაძცევა – 4„ 14.40 სერ. „24 – 5„ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.15 სერ. „ღვინის გზა„ 00.50 მხ/ფ „რევოლვერი„ (რ.ლიოტა) 02.40 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 პროფილი 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანსო შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „ბესამე„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „ლომა,დავიწყებული მეგობარი„ 13.20 კონცერტი-ჩვენებურები 14.50, 18.20, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დეკორატიული ფლორა 16.05 მხ/ფ „მოკვეთილი„ 18.10 ტელეზღაპარი 18.25 დებიუტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „კეთილი ადამიანები„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 იეღოველთა სექტის სწავლების შეცდომები 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 დოკ/ფ „წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ—შოუ - „კვირის არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.40 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

შაბათი 9 თებერვალი

08.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ 08.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.30 საბ. ან/ფ „დენისი შობის მწვალებელი„ 11.00 „ეთნოგრაფიული ნარკვევები„ 11.30 საბ. ტ/სერ „პირველყოფილი„ 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 02.20 „მოამბე„ 12.30 ქართ. მოკ. მხ/ფ „მიძელს„ 13.30 დ/ფ „ბალადა დედოფლისთვის„ 15.00 რაგბი. ერთა თასის გათამაშება: საქართველო — პორტუგალია (პ/რ) 17.00 „ჩემპიონთა ლიგის დღიური„ 17.30 „აღმოაჩინე საქართველო„ 18.00 „ეტალონი„ 19.00 „გურმანია„ 22.00 „ელექტრონავტები„ — ნომინაციები 23.00 „ახალი ქართული კინო„ 23.30 დ/ფ „ხვალ„ ზეგ„ მაზეგ„ (რეჟ: ზ. ინაშვილი) 00.30 მხ/ფ „კარგი გერმანელი„ (ჯ. კლუნი)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 10.00, 15.00 „ბრიფინგის დრო„ 17.00 მხ/ფ „ის ჩემზე უარესია„ (ა.ჩელენტანო) 19.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ — აგატა კრისტი 20.00 მხ/ფ „სანამ მოკვდები„ (ჯ. ნიკოლსონი) 22.00 ტ/სერ „კიარა და ფრანჩესკოე„ 1 სერ. 23.00 მხ/ფ „სტლანტა„ (ტიტ.)

08.00 ან/ფილმი: „მოხუცი ჯადოქრის ზღაპრები„ 31„ 09.00 მხ/ფ „სონედორი„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან.ფ. „ავატარი„ 44„ 12.00 ქ.სერ. „შუა ძალაძში„ 13.00 სერ. „აიძარლი„ მე–17„ 14.20 მხ/ფ „ბაროლინა„ 16.00 სერ. „ბმირები – 4„ 8 სერ. 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქ.სერ. „შუა ძალაძში„ 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ „88 წუთი„ (ა.უიტი) 02.00 მხ/ფ „დაცველი„ (დ.ლუნდგრენი) (ტიტ.) 03.25 მუსიკა

08.00 კურიერი დაიჯესტი 10.00 MTV TEEN CRIBS 11.00 სერ. „კლუბი„ (ს1) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 15.30 შერეკილები 16.30 „ნანუკას შოუ„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ (ს.2) 00.30 „Latin Angels„ 01.00, 03.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 დოკ/ფ „ყველაზე,ყველაზე„ 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „კეთილი ადამიანები„ 13.35 ეთნოგრაფია 13.50 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 15.10 გიგი მუნჯიშვილის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო 17.15 სატელევიზიო არქივიდან -შორეული ახლობელი „არსენალის მთა„ 18.10 ფოტოგალერეა 18.15 აქტუალური თემა 18.35 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 იეღოველთა სექტის სწავლების შეცდომები 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 დოკ/ფ „სინა„

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 11.20, 12.30, 13.25, 14.25, 15.30, 16.25, 17.05, 18.45, 19.10, 21.40, 0.30, 4.30, 5.25, 6.20 უცხოეთის ამბები 9.30 კვირის არგუმენტები (გამ) 11.00 ყოველდღიური ბები (გამ) (პარასკ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00 ამბები მოკლედ 13.05 ყოველდღიური ბები (გამ) (ორშ) 14.05 ყოველდღიური ბები (გამ) (სამშ) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.05 ყოველდღიური ბები (გამ) (ოთხშ) 16.35 ყოველდღიური ბები (გამ) (ხუთშ) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 20.10, 1.30 სტუდია „მონიტორის„ ჟურნ. გამოძიება 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 2.00 „პრეს-პრესი„ 23.00, 3.30 „ჩვენ„ - თამარ ჩიქოვანთან ერთად 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება) 1.00 ახალი ამბების კოლაჟი

კვირა 10 თებერვალი

08.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ 08.30 საბ/ფ „პატარა პრინცესა„ 10.00 „ეტალონი„ 11.00 „ჩვენი ექსპრესი„ 11.30 საბ. ტ/სერ „პირველყოფილი„ 12.00, 14.00, 16.00, 19.00 „მოამბე„ 12.30 „ჩვენი ფერმა„ 13.00 მუსკომედიის თეატრის სპექტაკლი: „მარლენ დიტრიხი„ 16.30 „ჩვენი ეზო„ 17.30 „ვაშინგტონი დღეს„ 18.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ 18.30 ნუნუ დუღაშვილი 20.00 მხ/ფ „ბაძაგბე ბონეგბა„ (ს.კარელი) 22.00 ტ/სერ „ერთი სასიყვარულო ღამისთვის„ 23.00 „აღმოაჩინე საქართველო„ 23.30 „უცნობი მუსიკა„ 00.30 კონცერტი 01.30 მხ/ფ „ოუშენის 12 მეგობარი„ (ტიტ.) (ბ.პიტი)

08.00 დ/ფ „პატარა მომთბარე ტომები და პოლარული სიცივე„ 09.00 „ბრიფინგის დრო„ 10.00 მხ/ფ „საოცარი მისტერ ბარნანდერი„ 11.50 მხ/ფ „სუპერმენის დაბრუნება„ (ფანტასტიკა„ რეჟ: ბ. სინგერი) 14.30 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„

გიორგი ღონღაძის მკვლელს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა

თუმცა, მოკლულის ოჯახი განაჩენით კმაყოფილი არ არის

– გიორგი ღონღაძის მკვლელს, გენერალ პუკაჩს, სამუდამო პატიმრობა მიესაჯა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“, – მიუხედავად ამისა, ამ საქმესთან დაკავშირებით კითხვები მაინც რჩება.

გიორგი ღონღაძე უკრაინაში მცხოვრები ქართველი ჟურნალისტი იყო. მამამისი, რუსლან ღონღაძე, ეროვნული მოძრაობის აქტივისტი გახლდათ, დედა, ლესია კორჩაკი კი უკრაინელია (ლვოველი). გიამ საშუალო სკოლა თბილისში დაამთავრა. ის მონაწილეობდა აფხაზეთის ომში, სადაც ხელში დაიჭრა. მის მიერ გადაღებული ფილმი „ომის ჩრდილები“ აფხაზეთის მოვლენებს მიეძღვნა. ფილმს წარმატება ხვდა. ეს იყო გიორგის, როგორც ჟურნალისტის, პირველი ტრიუმფი.

ღონღაძე 2000 წლის სექტემბერში დაიღუპა. ამ მკვლელობამ მთელი უკრაინა შეძრა და დასაბამი მისცა „საკასეტო სკანდალს“. ამას შედეგად მოჰყვა მასობრივი აქციები მაშინდელი პრეზიდენტის კუჩმას წინააღმდეგ. კუჩმა ჟურნალისტის მკვლელობის ორგანიზებაში დაადანაშაულეს, რადგან ღონღაძემ პრეზიდენტი და მისი გარემოცვის წარმომადგენლები კორუფციაში ამხილა. საპროტესტო ტალღა იმდენად მძლავრი გამოდგა, რომ ამან კუჩმა სერიოზულად შეაშფოთა. პრეზიდენტმაც საჯაროდ დადო პირობა, რომ მკვლელობის ყველა მონაწილეს გამოავლენდა. მაგრამ პირობა პირობად დარჩა. ცხადი გახდა, რომ კუჩმა დანაშაულის გახსნას არ აპირებდა. ამან მისი საწინააღმდეგო განწყობილებები კიდევ უფრო გააღვივა. ბოლოს მოხდა „ნარინჯისფერი რევოლუცია“ და ხალხი დამშვიდდა.

– ბევრი იმედოვნებდა, რომ ხელისუფლებაში იუშჩენკოს მოსვლით ღონღაძის მკვლელობა გაიხსნებოდა, – წერს „უკრაინსკე სლოვო“.

თავდაპირველად თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. თანამდებობაზე აღადგინეს გენპროკურორი პისკუნი, რომელიც კუჩმას დროს ამ საქმის გამოძიებას ხელმძღვანელობდა და, როგორც კი პირველ სერიოზულ შედეგებს მიაღწია, თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ხელისუფლებაში ვიქტორ იუშჩენკოს მოსვლის შემდეგ პისკუნს პოსტზე კვლავ აბრუნებენ. მალე საზოგადოებას ემცნო, რომ დაკავებულია ღონღაძის მკვლელობის უშუალო მონაწილე. დანაშაულის ორგანიზატორთა შორის დასახელდა ექს-შინაგან საქმეთა მინისტრ კრავჩენკოსა და შსს მაღალჩინოსნის გენერალ პუკაჩის გვარები. კრავჩენკო დაკითხვაზე დაიბარეს. ამის შემდეგ ექს-მინისტრი თავის აგარაკზე ტყვიით მკვდარი იპოვეს. „თვითმკვლელობა“, – ასეთი გახლდათ ოფიციალური ვერსია.

– კრავჩენკოსთან არაერთგზის მომიწია შეხვედრა. ეს იყო ძალიან ძლიერი პიროვნება. წარმოუდგენელია, რომ ასეთ კაცს თავი მოეკლა, – აღნიშნავს ღონღაძის ქვრივი, ქალბატონი მიროსლავა.

რაც შეეხება გენერალ პუკაჩს, ის მიიმალა. მის მიმართ გამოცხადდა ძებნა. მალე პისკუნი კვლავ მოხსნეს. გამოძიება ისევ ჩიხში შევიდა.

– ეს ხელისუფლებაში დემოკრატი პრეზიდენტის იუშჩენკოს ყოფნის დროს მოხდა. ცხადი გახდა, რომ ვიქტორ ანდრეევიჩი სუსტი პიროვნებაა და საზოგადოების იმედებსაც ვერ გაამართლებდა, – წერდა „შლიახ პერემოგი“.

გენერალ ალექსეი პუკაჩს უკრაინის შსს-ში წლების მანძილზე მაღალი თანამდებობები ეკავა. ყველა, ვინც მას იცნობდა, ერთხმად აღნიშნავდა, რომ ესაა ენერგიული, ფიზიკურად ძლიერი (სპორტის ოსტატობის კანდიდატი სამბოში), მაგრამ ძალზე პატივმოყვარე ადამიანი. ამისთანა კარიერის გულისთვის ყველაფერს იკადრებსო.

– მას ყველაზე ბინძურ საქმეებს ავალებდნენ. ექს-მინისტრი კრავჩენკო ამბობდა, რომ პუკაჩი მისი მარჯვენა ხელია, რომელსაც ისეთი არწივები ჰყავს, რკინას დაგლეჯენო, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

გაუჩინარებულ პუკაჩს უკრაინელი ძალოვნები ამაოდ დაეძებდნენ. დაირხა ჭორი, რომ გენერალმა კარგა ხანია თავი რუსეთს შეაფარა. ჟურნალისტებს ეს სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ.

– ყველამ კარგად იცის, რომ პუკაჩი უკრაინაშია. ისიც იციან, თუ სად იმალება, მაგრამ ხელს არ ახლებენ. რატომ? იმიტომ, რომ მისი დაკავება არ აწყობთ, – წერდა „უკრაინსკა პრავდა“.

გენერალი მხოლოდ 2009 წელს აიყვანეს. ის მართლაც უკრაინაში, ჟიტომირის ოლქის ერთ-ერთ სოფელში იმალებოდა. დაპატიმრებულმა პუკაჩმა ჩვენება რამდენჯერმე შეცვალა, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, იძულებული გახდა, ღონღაძის მკვლელობა ეღიარებინა.

– მისი მოკვლა არ მინდოდა. ეს უბედური შემთხვევა იყო, – ამტკიცებდა გენერალი.

პუკაჩი ამბობდა, რომ გააჩნდა ცნობები ღონღაძის უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან კავშირის შესახებ.

– „მისი სტატიები ჩირქს სცხებდნენ სახელმწიფოს პირველ პირებს და საფრთხეს უქმნიდნენ სტაბილურობას უკრაინაში“, – განაცხადა გენერალმა. შეკითხვას, თუ რომელი ქვეყნის სპეცსამსახურებს გულისხმობდა, გენერალმა არ უპასუხა, სამაგიეროდ, ღონღაძის მკვლელობის დეტალებზე დაწვრილებით ილაპარაკა.

– ჩვენ მას დიდხანს ვუთვალთვალებდით. შემდეგ ეს უბედურებაც მოხდა, რაც არავის სურდა, განსაკუთრებით კი – მე, – ამტკიცებდა გენერალი, – ჩვენ მისგან მხოლოდ ინფორმაციის „ამოგლეჯა“ გვსურდა.

პუკაჩი მოყვა, როგორ დააწვინეს ღონღაძე მიწაზე და როგორ დაუწყეს დახრჩობა. გენერალი მას პირადად ახრჩობდა ჯერ ხელით, შემდეგ – ქამრით.

– ამ დროს უბედურებაც მოხდა. მე ეს არ მინდოდა, – ამტკიცებდა პუკაჩი.

შეკითხვაზე, თუ ვისი დაკვეთით მოქმედებდა, გენერალმა ფრიად უცნაური პასუხი გასცა: „ეს კუჩმას მოჰკითხეთ“. ასევე ფრიად უცნაური იყო მისი რეაქცია განაჩენის გამოტანაზე. გენერალს ხომ სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

– ამ მსჯავრს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავეთანხმები, თუკი გვერდით მომისვამენ ექს-პრეზიდენტ კუჩმასა და პარლამენტის ყოფილ სპიკერ ლიტვინს, – განაცხადა მან.

ამრიგად, გენერალი პუკაჩი გაასამართლეს. ის „ღონღაძის საქმეში“ უდავოდ ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა, ერთ-ერთი, მაგრამ არა – ყველაზე მთავარი. მართლმსაჯულებისთვის დღემდე დაუდგენელია მკვლელობის მოტივი, აგრეთვე ისიც, თუ კონკრეტულად ვინ იყო დამკვეთი.

– როგორც ჩანს, პუკაჩმა ბრძანება კრავჩენკოსაგან მიიღო, მაგრამ კრავჩენკოს ვინ უბრძანა?

მოკლულის ოჯახიც გამოტანილი განაჩენით უკმაყოფილოა. ღონღაძის დედის, ქალბატონი ლესიას ადვოკატი ა. ფედური აცხადებს, რომ ვერ დადგინდა ვერც მკვლელობის მოტივები, ვერც ის, თუ ვის დაკვეთას ასრულებდა კრავჩენკო. პირიქით, ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რათა ეს მიჩქმალულიყო. ღონღაძის ქვრივის ადვოკატი ვ. ტელიჩენკო კი აცხადებს, რომ განაჩენს გაასაჩივრებს, რადგანაც მთავარი დამნაშავენი კვლავაც დაუსჯელნი დარჩნენ.

– ამრიგად, ღონღაძის საქმეში კვლავაც ბევრი კითხვის ნიშანი რჩება, – წერს „ნეზავისიმაია გაზეტა“.

უკრაინელი ექსპერტები თვლიან, რომ ამ „კითხვის ნიშნებს“ პასუხი კიდევ დიდხანს არ გაეცემა, რადგან ძალზე სერიოზული ძალები არიან დაინტერესებული იმით, რომ ღონღაძის საქმე არ იქნეს სრულფასოვნად გამოძიებული. ობიექტურმა გამოძიებამ შესაძლოა რიგი პიკანტური დეტალები გამოამზეუროს, უწინარეს ყოვლისა კი უკრაინელი მაღალჩინოსნების რუსულ მაფიასთან და რუსულ სპეცსასახურებთან კავშირები გამოააშკარაოს.

– ეს ხალხი თავის დროზე კუჩმას გარშემო ტრიალებდა. ახლა ზოგიერთ მათგანს რეგიონების პარტიაში მაღალი პოსტები უკავია, ზოგიერთი კი რეგიონალებთან მეგობრობს, – წერს „უკრაინსკა პრავდა“.

შესაბამისად, გამოძიებაც პუკაჩზე გაჩერდა. გენერალი თავისი შეფის, კრავჩენკოს ბრძანებას ასრულებდა. კრავჩენკო მკვდარია. ისინი კი, ვინც მას მართავდნენ, ჩრდილში რჩებიან.

– ასე გაგრძელდება მანამ, სანამ უკრაინაში ფართომასშტაბიანი დემოკრატიული რეფორმები არ გატარდება. ეს კი მხოლოდ ევროკავშირთან დაახლოების შემდეგაა შესაძლებელი, – თვლის ეროვნულ-დემოკრატიული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ვიტალი კლიჩკო, – ჯერჯერობით ჩვენ პოსტსაბჭოურ ქვეყნად ვრჩებით, სადაც ბევრი საბჭოური გადმონაშთია შენარჩუნებული. უწინარეს ყოვლისა, ესაა კლანები, ორგანიზებული დანაშაული და კორუფცია.

უკრაინის რეფორმირება უახლოესი მომავლის საქმეა. მანამდე კი საზოგადოება იმ ნახევარსიმართლით უნდა დაკმაყოფილდეს, რომელიც ოფიციოზმა „ღონღაძის საქმესთან“ დაკავშირებით მიაწოდა.

ნიკა თევზაძე

ირანი სირიის სამხედრო დახმარებას ზრდის

ირანი სირიის სამხედრო დახმარებას ზრდის. ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომელიც საკუთარ პოსტს ტოვებს. კლიტონის თქმით, არის იმის ვარაუდის საფუძველიც, რომ რუსეთიც აგრძელებს ბაშარ ასადის ხელისუფლების დახმარებას ფულითა და ტექნიკით.

ასევე ამერიკული მხარის განცხადებით, დამასკო მეზობელ ლიბანში რადიკალურ დაჰგუფება „ჰეზბოლას“ შეიარაღებით არ უნდა ეხმარებოდეს.

„სირიამ რეგიონში დესტაბილიზაციის ხელშეწყობა არ უნდა განაგრძოს“, - განაცხადა ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ბენ როდსმა.

ხუთშაბათს, სირიის სამხედრო სარდლობამ განაცხადა, რომ ისრაელის თვითმფრინავებმა დამასკოს ჩრდილო-დასავლეთით სამხედრო-კვლევით ცენტრ „ჯამრაიიაზე“ მიიტანეს საჰაერო იერიში. თუმცა, როგორც „ბი-ბი-სის“ ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენელმა განუცხადა, იერიშის მიზანი სატრანსპორტო კოლონა იყო, რომელსაც სირიიდან ლიბანში რუსული წარმოების ჰაერსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემები გადაჰქონდა. სირიამ აღნიშნულთან დაკავშირებით გაეროში ოფიციალური საჩივარი უკვე შეიტანა. ისრაელს მომხდართან დაკავშირებით კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

რუსეთის დიპლომატიური უწყების განცხადებით, თუ ეს საჰაერო იერიში დადასტურდა, აღნიშნულს გაეროს დადგენილების უხეშ დარღვევად მიიღებენ.

ამ ფონზე, გაეროს, ამერიკისა და რუსეთის მაღალჩინოსნები სირიის ოპოზიციასთან შაბათს მიუნხენში გამართავენ შეხვედრას. აღნიშნულის შესახებ „როიტერს“ სირიის ოპოზიციის წყარომ აცნობა.

როგორც სირიის კოალიციის ოფიციალური წარმომადგენელი აღნიშნავს, სირიის ეროვნული კოალიციის პრეზიდენტი მოაზ ალხათიბი ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვსა და სირიაში გაეროს სპეციალურ წარმომადგენელს ლაკდარ ბრაჰიმს შეხვდება.

2011 წლის მარტში ქვეყანაში დაწყებულ კონფლიქტს, გაეროს მონაცემებით, 60 000 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა.

გ. მ.

სამგლოვიარო განცხადებები

მამა მერაბ (დეკანოიძე), გურიელ და რომან წურწუმიები, იოსებ ბლიაძე, მაია, გელა და დავით ყიფიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ბადრი ლეფსაიას დედის

ნელი შენგელია-ლეფსაიას

გარდაცვალების გამო.

ჭიათურის მეხუთე საშუალო სკოლის 1973 წლის კურსდამთავრებულები მწუხარებით იუწყებიან რუსუდან ბაქრაძის დედის, ქალბატონ

ლეილა შანიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 2. მონასტერი ხარაგაულის რაიონში; 3. ვენესუელას დედაქალაქი; 4. ყველაზე დიდი ტბა მექსიკაში; 5. თანამედროვე ქართველი პოეტი მამაკაცი; 6. ღამის პეპელა; 11. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 13. ძალიან ლამაზი ბაღი; 14. მარადმწვანე ხე, ისხამს ზეთით მდიდარ კურკოვან ნაყოფს; 15. უნგრეთის დედაქალაქი; 17. იპოდრომი ლონდონის მახლობლად, სადაც ყოველწლიურად იმართება სამეფო დღი; 18. სიბრტყეზე ჰორიზონტალური მდგომარეობის დასადგენი სადურგლო ხელსაწყო; 19. აზიაში და აფრიკაში გავრცელებული შინაური ცხოველი, კუზიანი ხარი.

თარაზულად: 7. დაბადების დღის აღნიშვნა; 8. კუბელი დიპლომატი, მოჭადრაკე, ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი; 9. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 10. ირანის შაჰის კარზე მოღვაწე მე-17 საუკუნის ქართველი მხატვარი; 12. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 14. მორალი ანუ...; 16. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 18. მწვერვალი კავკასიონზე; 20. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 21. ჯარის ძველებური სახელწოდება; 22. ლიტერატურული პერსონაჟის დახასიათება, აღწერა; 23. პოპულარული ბალნეოლოგიური კურორტი საფრანგეთში; 24. მდინარე გურიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პაროდია; 2. ჩხუტი; 3. კაკანათი; 4. მალაგა; 5. ავსტრია; 6. ნოკაუტი; 11. იგავი; 13. რუსტიკა; 14. კონსტებლი; 15. ცუგცვანგი; 17. რიბოკი; 18. კოზაკი; 19. ჯამე.

თარაზულად; 7. მარეხი; 8. საქართველო; 9. ტოიოტა; 10. მალაქიტი; 12. საფრანგეთი; 14. კვარცი; 16. კრასნოვი; 18. კინოლოგი; 20. აზოტი; 21. ავი; 22. კონკლავი; 23. შუნი; 24. მემორიალი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ალპები; 2. სოსელო; 3. რაუტი; 5. უშბა; 6. კაკაჩი; 8. სტუდია; 11. ბუტლეგერი; 13. არომატი; 14. კაბერნე; 15. სისტემა; 19. ნიცა.

თარაზულად; 1. ალადასტური; 4. გატუიკი; 7. პანკისი; 9. ტოსტერი; 10. აბული; 12. რედისონი; 16. უაიტჰოლი; 17. ბოჰემია; 18. პერგამონი; 20. რაციონი; 21. ლილი; 22. ანოტაცია.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6602	ევრო — 2,2308
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6870	რუსული რუბლი — 0,0553

ამინდის პროგნოზი 2 თებერვლისთვის

„ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 1 ამერიკული ზღაპრები



მალე, მალე, მალე „ახალ თაობასთან“ ერთად

ილია II ოქროს ხანა

სამტომეულის მე-2 ტომი

სამინისტრო მოჭიდავეთა კურსს იზიარებს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი ჭიდაობის ფედერაციაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სამინისტროს სათათბირო დარბაზში ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ ლუკა კურტანიძეს მწვრთნელებთან და ფედერაციის წარმომადგენლებთან ერთად შეხვდა. შეხვედრას მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი და ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური დაესწრნენ.

შეხვედრაში მონაწილეობა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნული, ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრების ყოფილ მწვრთნელებმა ზაზა თურმანიძემ, ნუგზარ სხირელმა და თემურ ბენდიანიშვილმა, ასევე ედიშერ მაჩაიძემ, მარლენ ოსიყმაშვილმა და ლევან თედიაშვილმაც მიიღეს.

ჭიდაობის ფედერაციისა და ხელმძღვანელობის შეხვედრა სპორტის სამინისტროში დაახლოებით 3 საათს გაგრძელდა. პირველებმა სხდომის დარბაზი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების, ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელებმა დატოვეს. მათ შემდგარ მოლაპარაკებას აბსურდის თეატრი უწოდეს და აღნიშნეს, რომ მათ მიერ გაცხადებული პოზიცია არ იქნა გათვალისწინებული. აბსოლუტურად განსხვავებული კომენტარი გააკეთა ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ, მართალია, სანაკრებო დონეზე განხორციელებული ცვლილებები ხელშეუხებელია, მაგრამ ყოფილ მთავარ მწვრთნელებს გეგმის ახალ ნაწილში თანამშრომლობას სთავაზობს, რომლითაც ჭიდაობაში საკლუბო სისტემა ამოქმედდება.

ბოლოს კი ჟურნალისტებს სპორტის მინისტრმა ლევან ყიფიანმა მიმართა:

– სპორტი ცოცხალი მექანიზმია, ხდება გაუთვალისწინებელი მომენტებიც, რაც სამინისტრომ უნდა დაარეგულიროს და არამცდაარამც ჩაერიოს. დღევანდელ შეხვედრას არ ესწრებოდა ყაზარაშვილი, მე მას აუცილებლად შევხვდები, თუმცა ვიმედოვნებ, რომ ეს პრობლემა უჩემოდაც მოგვარდება. ჭიდაობის ფედერაციას გააჩნია გეგმა და, როგორც ვხედავ, გუნდში იდეალური მდგომარეობაა, ლუკა კურტანიძის მიერ დასახულ გეგმას სამინისტრო სრულ მხარდაჭერას უცხადებს.

ჯოსვოიდი ა

შვეულად: 1. დაუმუშავებელი უხნავი ნიადაგი; 2. მუსიკალური ინტერვალი; 3. სპექტრის ერთ-ერთი ძირითადი ფერი; 5. გემბანის წინა ნაწილი; 6. მთის ბროლის ქართული სახელწოდება; 8. ესპანელი დიქტატორი; 11. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 13. სპრივატიზაციო ფასიანი ქაღალდი; 14. ხეობა საქართველოში; 15. ჟურნალ „პლეიბოის“ დამფუძნებელი; 19. ბრიტანული ლუდხანა.

თარაზულად: 1. რაინდული ბუნების, ქცევის მქონე მამაკაცი, ძველი თბილისის კოლორიტი; 4. ნიკოტინის შემცველი ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე; 7. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი ფირმა; 9. ქურციკი ანუ...; 10. მრავალრიცხოვანი ხმაურიანი ბრბო; 12. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 16. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 17. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 18. ცნობილი დანიელი კარიკატურისტი მხატვარი; 20. მე-12 საუკუნის ინგლისის მეფე რიჩარდ პირველის მეტსახელი; 21. ერთგულების მტკიცე პირობა; 22. ქართული სპორტული გაზეთი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



ასტროპროგნოზი

2 თებერვალი – ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ

ვერძი – ეს დღე მშვიდ სიტუაციაში გაატარეთ, ასე აჯობებს. **კურო** – ნუ დახარჯავთ ბევრ ფულს, ცოტა ხვალისთვის შემოინახეთ. **ტყუპები** – ნუ აყვებით სხვებს, თავს მიხედეთ. **კირჩხიბი** – შეყვარებულთან დაშორება თქვენი ბრალია. **ლომი** – ეს დღე სწავლასა და საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. **ქალწული** – ფულს შოულობთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **სასწორი** – არ იაქტიუროთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – სახლში კარგი ამბები გელით. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **მერწყული** – ამ დღეს შინაარსიანად გაატარებთ. **თევზები** – დღეს დაისვენეთ, გადაღლილი ხართ.

3 თებერვალი – შემოქმედებითი დღეა

ვერძი – დღეს თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კურო** – რომანტიკული თავგადასავლი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ტყუპები** – გადაიხალისეთ გარდერობი, საქმიანი შეხვედრა გელით. **კირჩხიბი** – ახალ საქმეს მოჰკიდებთ ხელს, კმაყოფილი დარჩებით. **ლომი** – ყურადღების ცენტრში ხართ, სხვები გბაძავენ. **ქალწული** – არ იდარდოთ, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **სასწორი** – ცხოვრებას გაიხალისებთ, ამაში მეგობრები დაგეხმარებიან. **ღრიანკალი** – ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **მშვილდოსანი** – ცხოვრების შეცვლა გინდათ, ამაში ვერავინ დაგეხმარებათ. **თხის რქა** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, ყველაფერი გამოგდით ხელიდან. **მერწყული** – მეგობრების წრეში კარგად გაერთობით და საჭირო ინფორმაციასაც მიიღებთ. **თევზები** – თავს დაჩაგრულად გრძნობთ, ამის მიზეზი არ გაქვთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯანო მხოლოდ ერთია

რუსული სპორტული გამოცემის „სპორტ-ექსპრესის“ ჟურნალისტმა ალექსანდრ კრუუკოვმა საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ შემტევ ნახევარმცველ ჯანო ანანიძეს სტატია მიუძღვნა სათაურით – გახდება ჯანო ატომური ჭიანჭველა?

– ნამდვილი ჯანო ჯერ არ გინახავთ! მისი ნიჭი ბოლომდე გაიხსნება, როდესაც ხორცს შეისხამს და მომძლავრდება, – მითხრა ცოტა ხნის წინ ცნობილმა ქართველმა ფეხბურთელმა გიორგი ქინქლაძემ.

გასაკვირი ის არის, რომ ეს აქამდე არ მოხდა. ჯანო უკვე 20 წლისაა. „ფიზიკაში“ მომატება ფეხბურთში ყველაზე ადვილია, ხოლო ისეთი ტალანტი, როგორიც ჯანოს აქვს – არასტანდარტულად თამაში, მწვავე პასი, ბურთის გრძნობა – ღმერთისგან ბოძებული ნიჭია.

17 წლის ანანიძემ საქართველოს ნაკრებსა და „სპარტაკში“ დებიუტით რამდენიმე რეკორდი გააუმჯობესა. თუმცა, არსი ამაში არაა. იმ საუცხოო მომენტიდან 3 წელი გავიდა და ყველა საუბარი ერთისკენ მიდის – როდის მოუმატებს „ჰაეროვანი“ ჯანო ფიზიკურად? აი, ისე, ეპიზოდურად რომ არ აფეთქდეს და მოედანზე 90 წუთი მშვიდად გაძლოს. ანანიძეს მხდალს ვერ უწოდებ – პირიქით, ნებისმიერ „ჯახში“ ისეთი თავგანწირვით შედის, რომ ნაპერწკლები სცვივა. თავს იქ ყოფს, სადაც ბევრი ფეხს არ შეყოფს. თუმცა, მისგან ატომური ჭიანჭველა ჯერ არ გამოვიდა.

თუ ვინმემ არ იცის, „ატომური ჭიანჭველა“ სწორედ სებასტიან ჯოვინკოს შეარქვეს
იტალიაში. მისი სიმაღლე 164

გაგრძელება მე-8 გვერდზე



ჰილარი კლინტონმა სახელმწიფო მდივნის პოსტზე მუშაობა დაასრულა

პირველ თებერვალს აშშ სახელმწიფო მდივნმა ჰილარი კლინტონმა აღნიშნულ პოსტზე მუშაობა დაასრულა. კლინტონმა დიდი ხნის წინ განაცხადა, რომ იგი ობამას პირველი საპრეზიდენტო ვადის დასრულების შემდეგ პოსტს დატოვებდა.

2012 წლის 21 დეკემბერს ბარაკ ობამამ სახელმწიფო მდივნად ჯონ კერის კადიდატურა დაასახელა. 30 იანვარს აშშ-ის სენატმა საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე ჯონ კერი ქვეყნის სახელმწიფო მდივნად დაამტკიცა. სენატორი ჯონ კერი 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს იყრიდა დემოკრატიული პარტიიდან. იგი 8 წელია სენატის საერთაშორისო კომიტეტში საქმიანობს, მათგან 4 წელი კომიტეტის თავმჯდომარედ. ჰილარი კლინტონი 2009 წლიდან ბარაკ ობამას ადმინისტრაციაში მუშაობდა. იყო აშშ-ის სენატორი ნიუ-იორკიდან 2001-09 წლებში, პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან 2008 წლის არჩევნებში. აშშ-ის პირველი ლედი 1993-2001 წლებში ბილ კლინტონის პრეზიდენტობის დროს.